დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ-დასავალი

WWW.ASAVALI.COM

2025 წლის 27 იანვარი - 2 თებერვალი

N 5 1576

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი



## გაერო-ვანი კოცნა

3

## ირაკლი წერეთელი:

### დარწმუნებული ვარ, ბრამპი ივანიშვილს სანქციებს გაუუქმებს!

14



## მიხეილ ცაგარელი:

### საქართველოც უნდა გამოვიდეს ჯანმოდან და მათი თანამზრახველებიც დაიჭირონ, ამირან გამყრელიძით და პაატა იმნაძით დაწყებული, ფხაკაძით დამთავრებული!




10

## ანა რკიას სიმართლე წამოსცდა!





## დონალდმა ხელი ხმალს იკრა!

2

ქართველო, ხელი ხმალს იკარ!



## ირაკლი გოგავა:

### მიმდინარე წლის მარტიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი დაიძვრება!

7



## ლალი მოროშკინა:

### საქართველოს გაჭირვის სანაცვლოდ მილიონ დოლარს მთავაზობდნენ!

6

„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ყველაფერი მოვახსენე!“



## ლაშა ნადარეიშვილი

## არ გამყიდო, მამული ვარ!

ეს რა უცხო
ხმაურია?
ეს რა მეხმა
იგრიალა?
არ გამყიდო —
მამული ვარ!
არ მესროლო —
ილია ვარ!

სისხლიანი
ჩემი მიწა
მტერმა გალმა
გაზიდაო,
წმინდა ნინომ
ჯვარი მიწნა
უფლის ბაღის
ვაზითაო...

ჟამი ლხინად
შენიღბული
მომიღერებს
კვლავ სატევარს,
გახსნილი მაქვს
შენთვის გული
ყველა დარდის
დასატევად!

ეს მუხთალი
დრო და ბედი
ვერასოდეს
ამატირებს,
მაპატიე,
რომ დავბერდი,
რომ მიყვარხარ,
მაპატიე!

ეს რა უცხო
ხმაურია?
ეს რა მეხმა
იგრიალა?
არ გამყიდო —
მამული ვარ!
არ მესროლო —
ილია ვარ!

## ბალტიისჭირეთის ქვეყნები










20





# დონალდმა ხელი ხმალს იკრა!

***ამერიკის შეერთებული შტატების 47-ე პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა 2025 წლის 20 იანვარს, მისი ინაუგურაციის ფორმალური ნაწილის დასრულების შემდეგ, ხმლით ხელში შეასრულა თავისი საფირმო ცეკვა ცნობილი ამერიკული დისკო-ჯგუფის — „სოფლის ხალხის“ სიმღერაზე „YMCA“, რაც ინგლისური აკრონიმია და იშიფრება, როგორც „ახალგაზრდა ქრისტიანთა ასოციაცია“.***





**პრეზიდენტმა ტრამპმა** ხმლით, რომელიც მას საიდუმლო სამსახურის აგენტებმა გადასცეს, ჯერ ბოინგის ფორმის დიდი ტორტი გაჭრა, ხოლო შემდეგ ცეკვის რეკვიზიტადაც გამოიყენა, რაზეც აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა **ჯეი დი ვენსმა** იქვე იხუმრა — **საიდუმლო სამსახური ახლა ძალიან ნერვიულობს!**

აღსანიშნავია, რომ **დონალდ ტრამპი** ამერიკის შეერთებული შტატების ერთადერთი პრეზიდენტი არ არის, რომლის ცეკვაც მსოფლიოს და, მათ შორის, საქართველოს უნახავს, რადგან ჯერ კიდევ 20 წლის წინათ, 2005 წელს, თბილისში ჩამოსული აშშ-ის პრეზიდენტი **ჯორჯ ბუში (უმცროსი)** ქართული მუსიკის ჰანგებზე აცეკვდა.

მართალია, თბილისში აცეკვებულ **ბუშს** ხელში ხმალი არ სჭერია, მაგრამ მის მიერ სააკაშვილის „დემოკრატიის შუქურად“ შერაცხვა საქართველოსთვის **ზურგში ხმლის ჩაცემისა თუ კისერში დანის გამოსმის ტოლფასი აღმოჩნდა,** რადგან აშშ-ის პრეზიდენტის ამ განცხადებით ნაცრეჟიმმა მწვანე შუქი და პოლიტიკური ინდულგენცია მიიღო ყველა ძალადობაზე, უკანონობასა და სისხლიან დანაშაულზე, რაც მანამდე ჰქონდა ჩადენილი და რასაც შემდგომი წლების განმავლობაში ჩაიდენდა.

ამდენად, ამერიკის პრეზიდენტის ცეკვა ქართველებში მაინცდამაინც სახარბიელო ასოციაციებს არ აღძრავს, მაგრამ იმედია, 2025 წელს ვაშინგტონში **ხმლით ხელში აცეკვებული ტრამპის** მმართველობა საქართველოსთვის, სულ მცირე, ზიანის მომტანი მაინც არ იქნება, განსხვავებით 2005 წელს თბილისში აცეკვებული **ბუშის** მმართველობისაგან, რომელსაც ქართველი ხალხისათვის უბედურების მეტი არაფერი მოუტანია!

აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ქართველ ხალხს ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფალთა **ხელში ხმლის აელვარებაც** ცუდად აქვს დაცდილი, რადგან 1992 წლის 26 მაისს ნაპუტჩარ და ძმათამკვლელი ომით სისხლისგან დაწრეტილ საქართველოში შევარდნაძისა და მისი ხუნტისათვის ლეგიტიმაციის მისანიჭებლად ჩამოსულ **ჯეიმს ბეიკერს** — შეერთებული შტატების მაშინდელ სახელმწიფო მდივანს — **ედუარდ ამბროსოვიჩმა ხმალი და ნაბადი აჩუქა, ხოლო ჯაბა იოსელიანმა „მხედრიონის“ საპატიო წევრად მიიღო და სპეციალური მედალი დაჰკიდა.**

მოკლედ, წარსულის გამოცდილება გვკარნახობს, რომ, როცა ამერიკის პირველი პირები, ცეკვა და ხმალი ერთ კომბინაციაში იყრიან თავს, საქართველოსათვის კარგი არაფერი ხდება! თუმცა, დარწმუნებული ვართ, ამჯერად ნავსი გატყდება და თუ **შევარდნაძის** მიერ თბილისში ხმლით დასაჩუქრებულმა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა **ჯეიმს ბეიკერმა** საქართველოს ხელისუფლებაში სამხედრო გადატრიალებით მოსულ პუტჩისტებს ლეგიტიმაცია მისცა, ხმლით ხელში აცეკვებული აშშ-ის პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი** არავითარ შემთხვევაში არ მოახდენს იმ შიგევროპელი პუტჩისტების ლეგიტიმაციას, რომლებიც დღეს საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებისა და ე.წ. ნაცმაიდნის მოწყობას ცდილობენ.

ზოგადად, **საკუთარ ინაუგურაციაზე აცეკვებული ტრამპის მიერ ხელში ხმლის ათამაშება** იმ კარდინალური ცვლილებებისა და ახალი გეოპოლიტიკური რეალობის მეტაფორად უნდა მივიჩნიოთ, რომლის პოზიტიურ ეფექტს საქართველოც აუცილებლად იგრძნობს.

კაცმა რომ თქვას, საქართველოს უკვე შეეხო კიდეც **ტრამპის ეფექტი,** რადგან მისი ინაუგურაციიდან ხუთიოდე დღეში, 2025 წლის 25 იანვარს, გაეროს გენერალურმა მდივანმა **ანტონიუ გუტერეშმა მიხეილ ყაველაშვილს** — პრეზიდენტად არჩევა, ხოლო **ირაკლი კობახიძეს** პრემიერის პოსტზე ხელმეორედ დანიშვნა მიულოცა, რაც, ცხადია, 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებისა და საქართველოს ხელისუფლების ლეგიტიმაციის აღიარებას ნიშნავს.

ნაკლებად სავარაუდოა, **ხმლით ხელში აცეკვებულ ტრამპს** მოსმენილი ჰქონდეს ჩვენებური სალაშქრო სიმღერა — **„ქართველო, ხელი ხმალს იკარ!“** — მაგრამ, პოლიტიკური თვალსაზრისით, აშშ-ის 47-ე პრეზიდენტმა **ხელი ხმალს ნამდვილად იკრა,** რაც არამხოლოდ მის რიტორიკაში გამოიხატება, არამედ ათეულობით ახალ ბრძანებასა და განკარგულებაში, რომელიც ამა წლის 20 იანვარს ინაუგურაციის ცერემონიალის დასრულებისთანავე გამოსცა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ **ბაიდენის** ადმინისტრაციის მიერ გამოცემული 80-ზე მეტი განკარგულების გაუქმებით **ტრამპის ხმალმა** ლეტალური ჭრილობა მიაყენა ფაშიზმში გადაზრდილ ნეოლიბერალიზმს, რომელიც არამხოლოდ ამერიკას, არამედ მთელ მსოფლიოს წამლავდა!

**ტრამპის ხმალი** აუცილებლად მისწვდება და იმედია, თავსაც წააგდებინებს ამერიკულ დიფ სთეითს, ანუ ფარულ დასს, რომელიც მარტო შეერთებული შტატების კი არა, მთელი ცივილიზებული სამყაროს, მათ შორის, საქართველოს უდიდეს პრობლემად იქცა!

და მაინც, ქართველებმა უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენს გასაკეთებელს არც **ხმლიანი თუ უხმლო ტრამპი** გააკეთებს და არც — სხვა რომელიმე უცხოელი! ჩვენი საქნელი ჩვენვე უნდა ვქნათ და საბრძოლო შეძახილი — **„ქართველო, ხელი ხმალს იკარ!“** — სასიმღერო ფრაზიდან პოლიტიკურ დევიზად და ეროვნულ სამოქმედო გეგმად ვიქციოთ!

# ქართველო, ხელი ხმალს იკარ!

**ახლა ყველაზე ხელსაყრელი დრო და ვითარებაა იმისათვის, რომ საქართველოში ფარული დასის აგენტურისა და ნაცლიბერალური „მეხუთე კოლონის“ პოლიტიკური თავები დაგორდეს!**

ასე რომ, **ქართველო, ხელი ხმალს იკარ!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**დონალდ ტრამპი**
*ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი*



დღეიდან შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალური პოლიტიკა იქნება **მხოლოდ ორი სქესის — მამრობითისა და მდედრობითის** აღიარება.

ჩვენი წარმატება გაიზომება **არამხოლოდ იმ ბრძოლებით, რომლებსაც მოვიგებთ, არამედ იმ ომებით, რომლებსაც დავასრულებთ** და, რაც შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვანია, **იმ ომებით, რომლებშიც არასდროს ჩავებმებით.**

„საერთო გაზეთი“

**ილია მეორე**
*სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი*



**დონალდ ტრამპს** — ძალიან დიდია თქვენდამი ხალხის მოლოდინი არამარტო ამერიკაში, არამედ მთელ მსოფლიოში. მართალია, **საინაუგურაციო გამოსვლაში მთავარი აქცენტი თქვენი ქვეყნის გაძლიერებაზე გააკეთეთ, მაგრამ ყველა იმედოვნებს, რომ დასახული მიზნების წარმატებით განხორციელება ზოგადადაც სასიკეთო ცვლილებებს მოიტანს** და დაძლევს არაერთ სერიოზულ გამოწვევას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თქვენი მისწრაფება, **დაიცვათ ქრისტიანულ ცნობიერებაზე დაფუძნებული საერთო-საკაცობრიო ტრადიციული ღირებულებები** და არ დაიშუროთ ძალისხმევა დედამიწაზე მშვიდობისთვის.

„ჯორჯიან თაიმსი“

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



დარწმუნებული ვარ, **ეს წელი იქნება წარმატებული როგორც საქართველოს მთავრობისთვის, ასევე მთლიანად ჩვენი ქვეყნისთვის,** გვაქვს 4-წლიანი პროგრამა, რომლის შესრულებაც იწყება.

„ინტერპრესნიუსი“

# გაერო-ვანი კოცნა

***ჭაეროვანი კოცნა რაც არის, კარგად მოგეხსენებათ, ხოლო გაეროვანი კოცნა გახლავთ ის, რაც 2025 წლის 25 იანვარს საქართველოს ნიუ-იორკიდან, კერძოდ კი, გაეროს შტაბბინიდან გამოუგზავნეს.***



საქართველოსათვის გამოგზავნილი **გაეროვანი კოცნის** ავტორი გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე ძირძველი საერთაშორისო ინსტიტუტის — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის **(გაეროს)** გენერალური მდივანი **ანტონიუ გუტერეში,** რომელმაც **მიხეილ ყაველაშვილს** — პრეზიდენტად არჩევა, ხოლო **ირაკლი კობახიძეს** პრემიერ-მინისტრად ხელმეორედ დანიშვნა მიულოცა.

**გაეროვანი** კოცნის გამომგზავნი გუტერეში საქართველოს პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს სწერს — **საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ღირებული წევრია და თქვენთან თანამშრომლობის გაღრმავებას მოუთმენლად ველით!**

იქიდან გამომდინარე, რომ **ირაკლი კობახიძე** საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტზე 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგად დაკომპლექტებულმა პარლამენტმა დანიშნა და **მიხეილ ყაველაშვილის** პრეზიდენტად ამრჩევ ხმოსანთა კოლეგიაშიც იმავე პარლამენტის წევრები შედიოდნენ, **გაეროს** გენერალური მდივნის განცხადება თავისთავად ნიშნავს იმ შედეგის აღიარებასა და ლეგიტიმაციას, რომელიც 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში დადგა.

რა ლაპარაკი უნდა, რომ საქართველოში **გაეროვანი კოცნის** გამომგზავნი და „ოცნების“ ხელისუფლების აღიარებელი **ანტონიუ გუტერეში** არც **რასა იუქნევიჩიენეა,** არც — **ანდრიუს კუბილიუსი** და არც — **ჯო უილსონი...** იგი თავისი რანგითა და სტატუსით ბევრად აღემატება ამ პოლიტიკურ შარლატანებსა და მარგინალებს, რომლებიც 1 120 000 ამომრჩევლის მიერ არჩეული ქართული ხელისუფლების ლეგიტიმაციას არ ცნობენ და ხელახალი არჩევნების ჩატარებას ითხოვენ.

ჰოდა, სწორედ **გაეროს** გენერალური მდივნის რანგისა და სტატუსის გათვალისწინებით, მის მიერ 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების აღიარება საქართველოს ხელისუფლების საერთაშორისო ლეგიტიმაციის პროცესში ჯერჯერობით ყველაზე სერიოზულ გარღვევად უნდა ჩაითვალოს.

შესაბამისად, **გაეროს** გენერალური მდივნის მიერ საქართველოს ხელისუფლებისათვის **გაეროვანი კოცნის** გამოგზავნა ყველაზე დიდი მარცხი და გაწბილებაა ქართველი ლიბერფაშისტებისა და ნაცსექტანტებისათვის, რომლებიც ყველა ღონეს ხმარობენ და უკადრებელსაც კი კადრულობენ იმისათვის, რომ ქართული სახელმწიფოს საერთაშორისო იზოლაციას მიაღწიონ.

ამ რენეგატულ და ანტისახელმწიფოებრივ გზაზე კოლექტიურმა ნაცლიბერალებმა სერიოზული პოლიტიკური დარტყმა პირველად 2024 წლის დეკემბრის მიწურულს იგემეს, როცა ევროსაბჭოს გენერალური მდივანი **ალენ ბერსე** თავის დელეგაციასთან ერთად თბილისში 3-დღიანი სამუშაო ვიზიტით ჩამოვიდა და საქართველოს ხელისუფლების პირველ პირებს შეხვდა.

ასეთი მაღალი რანგის ევროპული დელეგაციის თბილისში ჩამოსვლა, ცხადია, საქართველოს ხელისუფლების ლეგიტიმაციის აღიარებას ნიშნავდა, რის გამოც კოლექტიური ნაცლიბერალები ისტერიკაში ჩაცვივდნენ, პოლიტიკური გულყრა დაემართათ და ევროსაბჭოს გენერალური მდივანი ლამის კრემლის აგენტად და კორუმპირებულ ჯოჯოდ გამოაცხადეს.

იმასაც შეგახსენებთ, რომ 2025 წლის 8-10 იანვარს საქართველოში დელეგაციით ჩამოსვლას გეგმავდა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი **პია კაუმაც,** მაგრამ მისი ვიზიტი **გლობალურმა დიფ სთეითმა, ანუ ფარულმა დასმა** და საქართველოში მოქმედმა მისმა აგენტურამ ჩაშალეს.

მართალია, მას შემდეგ ბევრ წყალს არ ჩაუვლია, მაგრამ შეიცვალა მთავარი — 2025 წლის 20 იანვრიდან ამერიკის შეერთებული შტატების მართვა ოფიციალურად გადავიდა **დონალდ ტრამპისა** და მისი ადმინისტრაციის ხელში, რაც **გლობალური ფარული დასის** დასასრულის დასაწყისს ნიშნავს და მოასწავებს საერთაშორისო პოლიტიკური ინსტიტუტების გათავისუფლებას ულტრალიბერალური **დიფ სთეითის** ზეგავლენისაგან.

**გაეროს** გენერალური მდივნის მიერ საქართველოში **გაეროვანი კოცნის** გამოგზავნაც სწორედ ამ პროცესის გამოძახილი და შედეგია!

აბა, საქართველოში საპარლამენტო არჩევნების ჩატარებიდან 3 თვე გავიდა, **მიხეილ ყაველაშვილის** საპრეზიდენტო ინაუგურაციიდან კი ერთი თვე იწურება და **გაეროს** გენერალური მდივანი მთელი ამ ხნის განმავლობაში სად იყო, საქართველოს პრემიერსა და პრეზიდენტს მხოლოდ ახლა რომ გამოუგზავნა მისალოცი წერილები?

რა თქმა უნდა, **გაეროს** გენერალური მდივანი **ტრამპის** ინაუგურაციას ელოდებოდა და როგორც კი 20 იანვარს ვაშინგტონში ყველაფერმა მშვიდობით ჩაიარა, მაშინვე აფრინა საქართველოში **გაეროვანი კოცნა.**

უნდა ვივარაუდოთ, რომ **გაეროს** გენერალური მდივნის მიერ საქართველოს ხელისუფლებისათვის **გაეროვანი კოცნის** გამოგზავნა გადამდებ ეფექტს იქონიებს და პატივცემულ გუტერეშს სხვა საერთაშორისო თუ ევროპული ინსტიტუტების ლიდერებიც მიჰბაძავენ!

ტყუილად კი არ ამბობდნენ ცალკე **სააკაშვილი** და ცალკე **გახარია** — **საქართველოში ხელახალი არჩევნების დანიშვნას და ხელისუფლების შეცვლას 20 იანვრამდე უნდა მივაღწიოთ, თორემ მერე არაფერი გამოგვივა!**

20 იანვარმა ჩაიარა და კოლექტიურ ნაცლიბერალებს რომ მართლაც არაფერი გამოუვათ, ამას **გაეროს** გენერალური მდივნის მიერ საქართველოს ხელისუფლებისათვის გამოგზავნილი **გაეროვანი კოცნაც** ადასტურებს!

აწი ამერიკიდან და ევროპიდან საქართველოსკენ კიდევ ბევრი **პოლიტიკური პაჩი-პუჩი** წამოვა!

***ჯაბა ხუბუა***

**8 თებერვალს, დავითობას, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ კედლებში, „ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დოქტრინის“ განხილვის მიზნით,**

## გაიმართება მეცნიერთა კონგრესი,

**რომელზეც საბოლოო სახით წარმოჩინდება მეცნიერთა დიდი ჯგუფის მიერ შექმნილი „ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დოქტრინის“ პროექტი და კონცეფცია „ეროვნული თანხმობის“ ხელისუფლების ფორმირების თაობაზე.**

*გადაწყვეტილი გვაქვს, სწორედ **გელათის კონგრესზე** მიღებული ეს ისტორიული დოკუმენტი წარვადგინოთ საქართველოს საპატრიარქოში, მეცნიერებათა აკადემიაში, სახელისუფლებო შტოებში, სასწავლო და სამეცნიერო მიმართულების ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში, პოლიტიკურ პარტიებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, მედიის საშუალებებში და **მივცეთ მას ხალხის მხარდაჭერის ძალა.** სწორედ ასეთ დოკუმენტს შეუძლია ქვეყნის დაცვა როგორც შიდა, ასევე გარე ძალთა შემოტევებისგან, ხელისუფლებების მანიპულაციებისგან.*

**ვიწვევთ ყველას, ვისაც მიაჩნია, რომ დაპირისპირება დამანგრეველია, ვინც თვლის, რომ ჩვენ გვჭირდება ბედნიერი მორიგება ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად.**

*გელათში გამგზავრება მოხდება **8 თებერვალს, დილის 9 საათზე.** კონგრესი დაიწყება **14 საათზე.** დაბრუნება მოხდება იმავე დღეს.*

**საკონტაქტო პირები:**

**ვახში უვანია** (577 40 71 82)

**ბესიკ ბოგველი** (595 01 65 66)

**ქართული ერთობის დარბაზი, მეცნიერთა კონგრესი. „გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“ მხარდაჭერის ფონდი**

## კვირგვინოსნები

**ანტონიუ გუტერეში**

*გაეროს გენერალური მდივანი*



მიხეილ ყაველაშვილს — **თქვენო აღმატებულებავ, მინდა, მოგილოცოთ საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობის დაკავება.** საქართველო გაერთიანებული ერების ღირებული პარტნიორია და **მოუთმენლად ველი ჩვენი თანამშრომლობის გაღრმავებას** საერთო მიზნების მისაღწევად.

ირაკლი კობახიძეს — **მინდა, მოგილოცოთ საქართველოს პრემიერ-მინისტრად ხელახლა დანიშვნა.** გაერთიანებული ერების ორგანიზაცია **მოუთმენლად ელის საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობის გაღრმავებას** 2030 წლისთვის მდგრადი განვითარების დღის წესრიგისა და მომავლის პაქტის მიზნების მიღწევაში.

„იმედინიუსი“

**მიხეილ ყაველაშვილი**

*საქართველოს პრეზიდენტი*



დიდი იმედი მაქვს, რომ **დონალდ ტრამპის** ლიდერობით შევძლებთ **საქართველო-აშშ-ის ურთიერთობების** თვისებრივად ახალ ეტაპზე გადაყვანას.

„ინტერპრესნიუსი“

**კახა კალაძე**

*თბილისის მერი*



ოპოზიციამ **ბიძინა ივანიშვილის** თანხებზე არ ინერვიულოს, ისეთ მდგომარეობაში არიან, სჯობს, საკუთარ თავზე იფიქრონ, **რადიკალების სახით დღეს ვხედავთ გაფარჩაკებულ ოპოზიციას.**

„პირველი არხი“

**მამუკა მდინარაძე**

*საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი*



**ტრამპს ეძახდნენ რუსულ პროექტს** და დღეს რამდენი „ვაზელინიც“ არ უნდა შეიძინონ თავიანთი ძველი განცხადებების დასარბილებლად, არ ეყოფათ. **ეტენებიან იმ ადამიანს, რომელსაც თავის დროზე სასტიკად ლანძღავდნენ.**

„ინტერპრესნიუსი“


Laura Thornton @LauraLThornton · 11h
I understand that it is in Georgia's interests to make the case for Georgian democracy. But understand that he is a rapist and a criminal, so for many of us it, as the Georgians say, "cuts our ears" to hear lavish praise and ingratiation of him from our Georgian friends.

# ტურტლიანი ტორნტონის ტარანტულები ტრამპს ეტინგიცებიან!

*სათაური ცოტა ენის გასატეხივით კი გამოგვივიდა, მაგრამ რეალობა სწორედ ასეთია — მაკკეინის ინსტიტუტის ერთ-ერთი დირექტორი ლორა ტორნტონი მართლა პოლიტიკური ტურტლიანი ბრძანდება, კოლექტიური ნაცსექტანტები მართლა მისი ტარანტულები, ანუ ობობები არიან და მართლა ეტინგიცებიან ამერიკის შეერთებული შტატების 47-ე პრეზიდენტ დონალდ ტრამპს, რომლის ინაუგურაციაზეც ვაშინგტონში კისრისტეხით გარბოდნენ.*




თუმცა, სანამ **ტურტლიანი ტორნტონის ტარანტულებზე** ვისაუბრებთ, მანამდე თავად **ტურტლიან ტორნტონზე** უნდა შევჩერდეთ და ვთქვათ, რომ მან პრეზიდენტ **დონალდ ტრამპს „გამაუპატიურებელი“** და **„კრიმინალი“** უწოდა.

ეს მოხდა **ილონ მასკის** სოციალურ ქსელ „X“-ში, სადაც **ლიაკა ხოშტარიას** თანაპარტიელმა, **ვინმე მარიკა მიქიაშვილმა** ქართველების მიერ **ტრამპის** მხარდამჭერის თაობაზე პოსტი გამოაქვეყნა, **ტურტლიანმა ტორნტონმა** კი პოსტის ქვეშ ასეთი კომენტარი დატოვა:

> *„მესმის, რომ საქართველოს ინტერესშია ქართული დემოკრატიის დაცვა. მაგრამ გაიგეთ, ის **გამაუპატიურებელი** და **კრიმინალია,** ამიტომაც, როგორც ქართველები იტყოდნენ, ბევრ ჩვენგანს ყურს ჭრის, როცა ისმენენ მისი მისამართით ქებასა და დიდებას“.*

არადა, სწორედ იმ დროს, როცა **ტურტლიანი ტორნტონი** სოციალურ ქსელში წერდა — ტრამპი გამაუპატიურებელი და კრიმინალია, რომლის ქება-დიდებისგანაც ქართველებმა თავი უნდა შეიკავონ, **ტურტლიანი ტორნტონის ტარანტულები — სალომე ზურაბიშვილი, მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე, გრიგოლ გეგელია, გიორგი ვაშაძე** და სხვები — ვაშინგტონში ტრამპის ინაუგურაციას ესწრებოდნენ.

მაშ, რა გამოდის, **ტურტლიანი ტორნტონის ტარანტულები,** რომლებსაც **მაკკეინის ინსტიტუტმა** საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების გეგმა ჯერ კიდევ 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე დაუწერა და მიუთითა — არჩევნების შედეგები და ლეგიტიმაცია არავითარ შემთხვევაში არ აღიაროთო, იმ კაცის საპრეზიდენტო ინაუგურაციას დაესწრნენ, რომელიც მათ ერთ-ერთ მეურვეს — **ტურტლიან ტორნტონს** კრიმინალად და სექსუალურ მოძალადედ მიაჩნია?

განსაკუთრებით საინტერესოა, რას ფიქრობს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი,** რომელსაც **ტურტლიანი ტორნტონის ორგანიზაციამ — მაკკეინის ინსტიტუტმა** ჰენრი კისინჯერის სახელობის პრემია დაუნიშნა — **ტრამპი თავადაც გამაუპატიურებლად და კრიმინალად მიაჩნია თუ ამერიკის პრეზიდენტის შესახებ ტურტლიანი ტორნტონის განცხადებას კატეგორიულად ემიჯნება?**

ყოველ შემთხვევაში, **ზურაბიშვილსა და ტურტლიანი ტორნტონის სხვა ტარანტულებს,** რომლებიც ტრამპის ინაუგურაციაზე დასასწრებად ვაშინგტონში საგანგებოდ ჩავიდნენ, მაკკეინის ინსტიტუტის ხელმძღვანელის განცხადება დღემდე არ დაუგმიათ!

დიდი ალბათობით, **ტურტლიანი ტორნტონის ტარანტულები** ვერც გაბედავენ, რომ **ტრამპის** შესახებ მის ბინძურ განცხადებას გაემიჯნონ და საჯაროდ განაცხადონ — ჩვენ გამაუპატიურებლისა და კრიმინალის კი არა, ამერიკელი ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციას დავესწრებით!

აქვე იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ **ტურტლიანი ტორნტონის ტარანტულებს — მამუკა ხაზარაძეს, ბადრი ჯაფარიძესა და გრიგოლ გეგელიას** თავხედობა ეყოთ, ტრამპისათვის საჯაროდ დაეცინათ, არც ის არის გამორიცხული, აშშ-ის პრეზიდენტის თაობაზე **ტურტლიანი ტორნტონის** ბინძურ განცხადებას თავიდან ბოლომდე ეთანხმებოდნენ.

დიახ, **ტურტლიანი ტორნტონის ტარანტულებმა — ხაზარაძემ, ჯაფარიძემ და გეგელიამ,** რომლებიც ტრამპის ინაუგურაციაზე დასასწრებად ვაშინგტონში იყვნენ ჩასული, სამარცხვინოდ იტინგიცეს და აშშ-ის 47-ე პრეზიდენტს თავის გუნდთან ერთად კონგრესის შენობაშივე დასცინეს. კერძოდ, სოციალურ ქსელ ტიკტოკში, **მამუკა ხაზარაძის** გვერდზე გამოქვეყნებულია ვიდეო, რომელშიც ჩანს, რომ **ის, ბადრი ჯაფარიძე და გრიგოლ გეგელია** კაპიტოლიუმის შენობის დერეფანში მიაბიჯებენ, თვითკმაყოფილ სახეზე ღიმილი დასთამაშებთ და ქალის ხმას, რომელიც ეკითხება — **„რას ეძებთ?“** — პასუხობენ: **„დიფ სთეითს ვეძებთ, მოვიარეთ ტუნელები და რომელიღაცაში უნდა იყოს დიფ სთეითი“.**

მიუხედავად იმისა, რომ **დონალდ ტრამპი და მისი გუნდი** დიდი ხანია, ამერიკის სახელმწიფოსათვის ძირგამომთხრელი საქმიანობით დაკავებული **დიფ სთეითის, ანუ ფარული დასის** შესახებ საუბრობენ და მის განეიტრალებას ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიიჩნევენ, **ტურტლიანი ტორნტონის ტარანტულებს** — კოლექტიური ნაცსექტის წარმომადგენლებს **დიფ სთეითის, ანუ ფარული დასის** არსებობაზე საუბარი სასაცილოდ არ ჰყოფნით.

როგორც **ტურტლიანი ტორნტონის ტარანტულები** აცხადებენ, **დიფ სთეითი** „ქართული ოცნების“ პროპაგანდისტული მითი და შეთქმულების თეორიაა, რეალურად კი,









«- რას ეძებთ? - დიფ სთეითს ვეძებთ, მოვიარეთ ტუნელები და

## კვირგვინოსნები

**ილონ მასკი**
*აშშ-ის მთავრობის ეფექტურობის დეპარტამენტის თანახელმძღვანელი*



**ევროპაში ბევრ ადამიანს არა აქვს მომავლის იმედი** ან ფიქრობს, რომ ევროპა რაღაცნაირად „ცუდია“. **ღრმა პესიმიზმი — ეს გამოიწვევს ევროპის დასასრულს.** ამიტომ ეს უნდა შეიცვალოს.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ნანა კაკაბაძე**
*„ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი*



**„მადამ ფრანცუჟენკამ“** და სხვა ვაი-პოლიტიკოსებმა, ვინც ასევე **მოახერხა ინაუგურაციის შორიახლო ტრიალი,** კარგად იციან, რომ ასეთი „კარწინკები“ „გოიმ ქართველებზე“ შთაბეჭდილებას ახდენს, მითუმეტეს, რომ **მათი რწმენით, დღევანდელ პოლიტიკაში მთავარია აღქმები და არა — ფაქტები.** ყველაფერი უცხოურისადმი მონური დამოკიდებულება კარგად გამოჩნდა **ტრამპის** მიერ **მხოლოდ ორი სქესის** არსებობის შესახებ გაჟღერებული ნარატივის შეფასებაში. დამფრთხალი და დაბნეული **ქართველი ლიბერალ-ფაშისტები** იმის თქმასაც კი ვერ ბედავდნენ, რომ **მხოლოდ ორი სქესის** არსებობაა ნორმა.

„იმედინიუსი“

**ბრანისლავ ონდრუში**
*ევროპარლამენტარი*



ყველაზე **აბსურდული ბრალდებაა,** რომ საქართველოს მთავრობა პრორუსულია.

„პირველი არხი“

**ტიერი მარიანი**
*ევროპარლამენტარი*



ბრიუსელი აძლიერებს ჩარევას, რათა **გააუქმოს ქართველი ხალხის გადაწყვეტილება** — საქართველო **ბრიუსელის კოლონია** არ გახდება.

„იმედინიუსი“

არანაირი **ფარული დასი და გლობალური ომის პარტია** არ არსებობს!

ჰოდა, ტიკ-ტოკში ხაზარაძის გვერდზე გამოქვეყნებული ვიდეოს მიზანიც სწორედ იმ ხალხის დაცინვა და მასხრად აგდებაა, რომლებიც ვითომ „ქართული ოცნების" პროპაგანდით არიან გაბრუებული, კონსპირაციულ თეორიებს აჰყოლიან და **დიფ სთეითის, ანუ ფარული დასის** არსებობის სჯერათ. თუმცა,

**ტურტლიანი ტორნტონის ტარანტულები – ხაზარაძე, ჯაფარიძე და გეგელია, რომლებიც ყველა უბედურებასთან ერთად, პიტალო უნიჭოებიც არიან, ვერც კი ხვდებიან, რომ ამერიკის კონგრესის შენობაში იძენნური ქირქილით – აქაოდა, დიფ სთეითი არ არსებობსო, „ქართულ ოცნებას" კი არა, დონალდ ტრამპსა და მის ადმინისტრაციას ეტინგიცებიან!**

მაგალითისთვის რომ ვთქვათ, **ტურტლიანი ტორნტონის ტარანტულები** დასცინიან ტრამპის მიერ მთავრობის ეფექტიანობის დეპარტამენტის თანახელმძღვანელად დანიშნულ **ილონ მასკს,** რომელმაც ბაიდენის ადმინისტრაციისაგან 300 მილიონი დოლარით დაფინანსებულ ბრიტანულ საინფორმაციო სააგენტო „როიტერს" **დიფ სთეითის** მიერ დაფინანსებული კორუმპირებული მედია უწოდა.

**ტურტლიანი ტორნტონის ტარანტულების** აზრით, ასევე დასაცინი და მასხრად ასაგდებია ტრამპის გარემოცვასთან დაახლოებული ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი **ტაკერ კარლსონი,** რომელმაც კონსერვატორ აქტივისტ **ნედ რაინთან** ამასწინათ ჩაწერილი ინტერვიუ, რომელშიც იგი საუბრობს, რომ ტრამპმა მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში **დიფ სთეითის** მილიონ ნაწილად დაშლა უნდა შეძლოს, ასე დაასათაურა — **„ტრამპის გეგმა დიფ სთეითის გასანადგურებლად!"**

**დიფ სთეითის, ანუ ფარული დასის** განადგურების გეგმა ტრამპს მართლაც გააჩნია და ამის თაობაზე ღიად და ხმამაღლა საუბარსაც არ ერიდება, ხოლო

**ტურტლიანი ტორნტონის ტარანტულები უკვე თვით-განადგურების რეჟიმში იმყოფებიან და თავიანთ ძაღლუმადურ პოლიტიკურ ყოფას ზუსტად ისე უსახურად და უსახელოდ დაასრულებენ, როგორც ფარული დასის აგენტებსა და უსამშობლო რენეგატებს შეეფერებათ!**

*ჯაბა ხუბუა*






**რომელიდაცაში უნდა იყოს დიფ სთეითი.»**



# თქვენი გამარჯვება არის დიფ სთეითის გრძელი ხელის შემოკლება საქართველოში!

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, ბატონ დონალდ ტრამპს**



ვხედავთ რა პირველივე დღეებიდანვე თქვენს საპრეზიდენტო მოღვაწეობას, კომუნისტური დროის დისიდენტთა სახელით, საქართველოდან გილოცავთ ამერიკის პრეზიდენტის პოსტზე მტკიცედ შედგომას და გისურვებთ, კეთილი ნების ხალხთა იმედების გასამართლებლად, შეუბრკოლებრივ მმართველობას. ხოლო მე — როგორც რელიგიური დისიდენტი და საეკლესიო მწერალი, შემდეგსაც მოგახსენებთ: **მიუხედავად იმისა, რომ იატაკქვეშეთის მონათა ცილისმწამებლურმა ღვარმა გადაგიარათ — ტრადიციული ღირებულებებისა და მშვიდობისათვის მლოცველ საქართველოს მართლმადიდებლებმაც შეიტანეს წვლილი თქვენს წარმატებაში, რამეთუ თქვენი გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაცაა და დიფ სთეითის** *(იგივე* ***ფარული დასის.*** *რედ.)* გრძელი ხელის შემოკლება საქართველოში...

ეკლესიის მამები ამბობენ, **სანამ იქნებიან ჭეშმარიტი მლოცველნი, მანამ იქნება მშვიდობა და გადაიწევს მსოფლიო მოვლენათა კულმინაცია — ცრუქრისტიანული დიქტატურის გარდუვალი შედეგი თუ აპოკალიფსური საშინელებანი...** ჭეშმარიტების მღაღადებელთა ლოცვას მართლაც დიდი ძალა აქვს. მათი სულიერი თანადგომით, თქვენც განვლეთ სიკვდილ-სიცოცხლის ბეწვის ხიდი, რათა შეანელოთ სოდომიის პროპაგანდისტთა მიერ დანთებული საღმრთო წყრომილების ალი... სამართალი თქვენს მხარესაა! ჭეშმარიტი დემოკრატიულობისათვის წამოწყებულ კურსს თუ განავითარებთ და შებოჭავთ გეი-აღლუმების პროპაგანდისტულ პარპაშს ჩრდილოამერიკაში, **თქვენი სამშვიდობო მისიაც ხანგრძლივი და უძლეველი იქნება,** ხოლო ჩვენ კვლავაც შევეცდებით, ენთუზიაზმით ვილოცოთ თქვენი დღეგრძელობისათვის. გაზეთ „ასავალ-დასავალის" და ამერიკის საელჩოს მეშვეობით ჩვენ უწინაც მოგილოცეთ პრეზიდენტად არჩევა და დაე, მესამედაც მოგვეულოცოს თქვენთვის ეს ...

***ძველ მეგობრებთან ერთად, ჟურნალ „ლაზარეს აღდგინების" რედაქტორ-გამომცემელი***

***მირონ მერაბ სულაქველიძე***

## კვირგვინოსნები

**ირმა ჭკადუა**
*ადვოკატი*



ვერავინ ჩააჩუმებს **იმ მილიონ ორასი ათასი ამომრჩევლის ხმას,** რომელმაც განსაზღვრა ქვეყნის მშვიდობიანი მომავალი! ოპოზიციური პარტიების მიერ **ევროკომისიაში წერილების გაგზავნა, რაც ქვეყნის დასჯის სურვილითაა განმსჭვალული,** ცდება ცივილურ პროტესტს და არ შეიძლება შეფასდეს რაციონალურ პოლიტიკურ ნაბიჯად.

„იმედინიუსი"

**დანიელო დელა ვალე**
*ევროპარლამენტარი*



მიუღებელია ევროპული ელიტების სურვილი, **შეცვალონ არჩევნების შედეგი საქართველოში.** იქამდეც კი მიდიან, რომ **ლეგიტიმაციას ანიჭებენ პრეზიდენტს, რომელიც კანონიერად აღარ არის თანამდებობაზე.**

„პირველი არხი"

**ტომაშ ფროელიხი**
*ევროპარლამენტარი*



ევროკავშირი მუდამ ჩივის **უცხოურ ჩარევაზე,** მაშინ როცა თვეებია, **ერევა საქართველოს საქმეებში,** ემუქრება სანქციებით და **მხარს უჭერს გადატრიალებას თბილისში,** რომელიც გვახსენებს „მაიდანს".

„პირველი არხი"

**რასა იუკნევიჩიენე**
*ევროპარლამენტარი*



მოვუწოდებ ევროკავშირის ლიდერებს, თავი შეიკავონ ქმედებებისგან, რომლებიც ლეგიტიმაციას მისცემს **თვითგამოცხადებული „ქართული ოცნების" ხელისუფლებას,** კრიზისიდან გამოსავალი არის **ახალი არჩევნები,** შეფერხების გარეშე.

„პირველი არხი"

# ლალი მოროშკინა: საქართველოს გაწირვის სანაცვლოდ მილიონ დოლარს მთავაზობდნენ!

***ჟურნალისტი და პოლიტოლოგი ლალი მოროშკინა იმ კონფიდენციალურ შეხვედრას იხსენებს, სადაც უცხოეთში მცხოვრებმა და საქართველოში საგანგებო მისიით მოვლინებულმა დიფ სთეითის, ანუ ფარული დასის ქართველმა აგენტებმა, დაახლოებით 1 მილიონი დოლარის სანაცვლოდ, მისი გადაბირება და დაგეგმილ სახელმწიფო გადატრიალებაში ჩათრევა სცადეს:***



**„— თქვენ ისეთ განცხადებებს აკეთებთ, დარწმუნებული ვარ, ამით გენერალური პროკურატურა დაინტერესდება!**
— ამაზე უკვე თავად ვიზრუნე! ის ჩემი ახლობელი თავის ამფსონებთან ერთად თბილისიდანაც კი არ იყო წასული, როცა „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს“ ყველაფერი მოვახსენე და ჩვენი შეხვედრის ამსახველი ფოტოებიც გადავეცი...“



## „ეგ არაფერი, უარესიც ხდება!“ – სწორედ ასე უთხრა კელი დეგნანმა ირაკლი ღარიბაშვილს, როცა რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნაზე უარი მიიღო!“

— 2024 წლის ივლისში, როცა მთელი საქართველო ერთობოდა და არჩევნებისთვის არავის ეცალა, დამირეკა ჩემმა უახლოესმა ადამიანმა — ქართველმა მამაკაცმა, რომელიც დიდი ხანია, საქართველოში არ ცხოვრობს და სასწრაფოდ შეხვედრა მთხოვა!

**— ქალბატონო ლალი, პიროვნების სახელსა და გვარს ვერ მეტყვით?**

— არა, გამორიცხულია, რადგან ძალიან ახლობელია! მაშინ გამიკვირდა, რადგან შუა ზაფხულში ასეთი გადაუდებელი და სასწრაფო საქმე რა უნდა ყოფილიყო?! შეხვედრა შედგა ქალაქგარეთ, ერთ-ერთ რესტორანში... ამ შეხვედრაზე მარტო არ მივსულვარ, თუმცა, მოხდა ისე, რომ რესტორანში შემთხვევით დამხვდა ერთი ძალიან ახლობელი ქალბატონი, რომელიც იქ განვითარებულ ამბავს შეესწრო; ყოველ შემთხვევაში, ფინალური სცენის შესახებ საქმის კურსშია. მოკლედ, ჩემმა ახლობელმა, რომელმაც შეხვედრა დამინიშნა, გამომიცხადა — ლალი, მალე საქართველოში დაიწყება სერიოზული გამოსვლები და შენი სატელევიზიო ჩართვებით და ფეისბუქ-პოსტებით არანაირად არ უნდა ასოცირდებოდე „ქართულ ოცნებასთან“... ამ მთავრობის ბედი გადაწყვეტილია, ევროპასა და ამერიკაში ყველაფერი შეთანხმებულია, მოვა ახალი მთავრობა... შენ ცოტა ხნით დაიცდი და მერე ახალ ხელისუფლებასთან ყველაფერს დაგილაგებთო! რომ ვუპასუხე — ნაცნობ-მეგობრობა, მორალი, ბოლოს და ბოლოს, ციხის კადრები ხომ არსებობს-მეთქი?! — ამაზე პირდაპირ მითხრეს — რა გაგიკეთა „ქართულმა ოცნებამ“? სასჯელაღსრულებაში ერთი 1600-ლარიანი სამსახური გქონდა და ბანკის ამოდენა ვალი — 300 ათასი ევრო გაქვს აკიდებულიო!

**— ეს პიროვნება მარტო იყო?**

— არა, ორ კაცთან ერთად იყო, რომლებსაც არ ვიცნობდი! ისინიც უცხოეთში ცხოვრობენ... ეს ადამიანები საკმაოდ მაღალ პოზიციებზე არიან ევროპაშიც და ამერიკაშიც.

**— ცნობილი ადამიანები არიან?**

— კი, საკმაოდ ცნობილი, ყოველ შემთხვევაში, „გუგლის“ საძიებო სისტემაში იძებნებიან! მოკლედ,

**ეს ადამიანები ცდილობდნენ ჩემს გადაბირებას და მავალებდნენ, რომ, როცა საჭირო გახდებოდა, გამოვსულიყავი საჯაროდ, ტელევიზიით და დამეგმო ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება!**

**— მაინც რა უნდა გაგეკეთებინათ?**

— მოგეხსენებათ, სტრასბურგის სასამართლოში **ვანო მერაბიშვილის** ვითომდა საკნიდან გაყვანის საქმეზე ოქროს მოწმე ვარ. სტრასბურგს სწორედ მე მივეცი ჩვენება, რომ იგი საკნიდან არავის გაუყვანია. მავალებდნენ და მეუბნებოდნენ — ოპოზიციას გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავს და შენ უნდა აიღო ხელში ინიციატივა, სწორედ შენ უნდა გამოხვიდე ქუჩაში და თქვა, რომ თითქოს **ვანო მერაბიშვილი** საკნიდან მართლა გაიყვანეს და სტრასბურგის სასამართლოს ცრუ ჩვენება ზეწოლისა და მუქარის შედეგად მიეციო! ასევე უნდა დაარტყა პროკურატურას და თქვა, რომ თითქოს პენიტენციურ სისტემაში „ქართული ოცნების“ დროს, ე.წ. „ციხის კადრებზე“ უარესი ხდებოდაო! საერთოდ, „ციხის კადრებზე“ ძალიან არიან ჩაციკლულები...

**— თქვენ ისეთ განცხადებებს აკეთებთ, დარწმუნებული ვარ, ამით გენერალური პროკურატურა დაინტერესდება!**

— ამაზე უკვე თავად ვიზრუნე! ის ჩემი ახლობელი თავის ამფსონებთან ერთად თბილისიდანაც კი არ იყო წასული, როცა „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს“ ყველაფერი მოვახსენე და ჩვენი შეხვედრის ამსახველი ფოტოებიც გადავეცი... სხვათაშორის, სუსი ამ ორი წლის წინაც ჩავაყენე საქმის კურსში, როცა ერთ-ერთ შეხვედრაზე, რომელიც ასევე რესტორანში შედგა, უკრაინელები მოვიდნენ და მითხრეს, რომ ე.წ. **ჭუჭუ ვაშაძის** მეთაურობით თბილისში შექმნილი იყო შტაბი, რათა მომხდარიყო საქართველოს მეიდანიზაცია... მე ვარ საქართველოს მოქალაქე, საქართველო არის ჩემი სამშობლო, ამ ქვეყნიდან არსად წასვლას არ ვაპირებ და თუკი ვხედავ, რომ რაღაც ჩემი ქვეყნისთვის საფრთხეს წარმოადგენს, მაშინვე ვთანამშრომლობ შესაბამის სამსახურებთან. მიმაჩნია, რომ, ვისაც ამ ქვეყნის სიკეთე და გადარჩენა უნდა, ყველა ასე უნდა მოიქცეს! აი, მაგალითად, შარშან ჩემთან, ჩაქვში, სასტუმროში ჩამოსული იყო ცოლ-ქმარი, რომლებიც გამეცნენ როგორც ყაზახეთში მცხოვრები ებრაელები. აღმოჩნდა, რომ საქართველოს მიმართ მათი მიზნები საიდუმლოებით იყო მოცული და ჩაქვში პატარა პენტაგონს აშენებდნენ... ჯერ კიდევ სასჯელაღსრულების სისტემიდან მოყოლებული, მაქვს პირადი კონტაქტები და მაშინვე დავურეკე ახლობლებს **სუს**-ში — აი, ესა და ეს ხალხი არ მომწონს და ყურადღება მიაქციეთ-მეთქი! ამ ორი წლის წინათ ასეთი შემთხვევები არაერთი იყო...

**— რას გთავაზობდნენ ყოველივე ზემოთქმულის საფასურად?**

— ისეთ რამეებს მეუბნებოდნენ, ჭკუიდან გადამიყვანეს და იქ ჩოჩქოლი და ხმამაღალი ლაპარაკი ატყდა... **საქართველოს გაწირვის სანაცვლოდ დაახლოებით მილიონ დოლარს მთავაზობდნენ! პირდაპირ მითხრეს — ამ ფულის ნაწილით შენს სასტუმროს ბანკიდან გამოიხსნი, რომელსაც მაშინვე გაყიდი და მერე ცოტა ხნით ევროპაში წახვალ ოჯახითო!** — კი მაგრამ, აქ რომ მეორე ფრონტი გაიხსნება და საქართველო მიწასთან გასწორდება, ამაზე რას მეტყვით, ამ საქმეს რა ეშველება-მეთქი? აი, აქ მივიღე პასუხი, რომელმაც ამჭრა... მითხრეს — დიდი ამბავი, ეგეთები მომხდარა?! სამაგიეროდ, შენ ამოდენა ფულით რომ დაბრუნდები, მერე კაპიკებად ჩაიგდებ ხელში ყველაფერსო! საუბარი, იცით, რით დაასრულეს და სანამ ვაგინებდი, რა მითხრეს? — თუ ასე არ მოიქცევი და ჩვენ არ დაგვიჯერებ, საქართველოში გადატრიალება მაინც მოხდება და მერე ჩვენ ველარ გიშველითო! აი, მანდ გადამეკეტა და ვაგინე... **მერე შევიტყვე, რომ, თურმე, ესენი დადიოდნენ, არიგებდნენ მილიონებს და მუშაობდნენ ცნობილი ადამიანების გადაბირებაზე...** აი,

## კვირგვინოსნები

**ზაზა შათირიშვილი**
*ფილოსოფოსი*



მარტივად იკვეთება **პოლიტიკური შანტაჟი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ.** როდესაც შვეიცარიის ბანკი, ერთი მხრივ, **ხელოვნურ ბარიერებს უქმნის კეთილსინდისიერ კლიენტს,** ხოლო, მეორე მხრივ, **ხელს აფარებს გამოძიების ქვეშ მყოფ პირს** და არ აწვდის სამართალდამცველებს მასზე ინფორმაციას, მარტივი მისახვედრია, რომ **ბაჩიაშვილს** ამ პროცესების წარმმართველი ძალები **ბიძინა ივანიშვილისა** და საქართველოს წინააღმდეგ იყენებენ.

„იმედინიუსი“

**ავთანდილ ქუნჭულია**
*ფრაქცია „ქართული ოცნების“ აპარატის უფროსი*



**შვეიცარიის საბანკო სისტემამ** მას შემდეგ გადაწყვიტა **ბიძინა ივანიშვილისთვის** გარკვეული ხელოვნური პრობლემების შექმნა, რაც მან **ამხილა „გლობალური ომის პარტია“, იგივე დიფ სთეითი.**

„იმედინიუსი“

**გიორგი ვოლსკი**
*პარლამენტარი*



**ნაცები** და მათი დანამატები **ზურაბიშვილის** ჩათვლით, **თავს ერთგულ ტრამპისტებად ასაღებენ.** მოვითხოვოთ, ხმამაღლა და ცალსახად დაგმონ მათ მიერვე, სულ ახლახან, **ტრამპის, როგორც რუსეთის პროექტის მოხსენიება.**

„იმედინიუსი“

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



საქართველოში **ოპოზიციას კარგი დღე არ უდგას,** რადგან ყველაფერი, რაც „ქართული ოცნების“ მიერ გამოითქვა, ასევე გამოითქვა **დონალდ ტრამპის** მიერ.

„პირველი არხი“

**„სუს-ი ამ ორი წლის წინაც ჩავაყენე საქმის კურსში, როცა ერთ-ერთ შეხვედრაზე, რომელიც ასევე რესტორანში შედგა, უკრაინელები მოვიდნენ და მითხრეს, რომ ე.წ. ჭიჭე ვაშაძის მეთაურობით თბილისში შექმნილი იყო შტაბი, რათა მომხდარიყო საქართველოს „მეიდანიზაცია!"**

სწორედ ამ ფინალურ მომენტს შეესწრო ის ჩემი ახლობელი ქალბატონი, რომელიც შემთხვევით იმ რესტორანში იყო... გაგიჟებული და ანერვიულებული რომ დამინახა, ამოვარდა და მითხრა — ამათ ახლა დედას მოვ...ავო! **(ცენზურა ჩვენია. რედ.)**

**— საბოლოოდ რით დასრულდა ეს ყველაფერი?**

— ცხადია, სასწრაფოდ წამოვედი იქიდან! მერე რომ გავაანალიზე ყველაფერი, დავრწმუნდი, რომ ამ აგენტურას ხალხის გადასაბირებლად ერთი და იგივე მესიჯი ჰქონდათ მზად — „ეგ არაფერი, უარესიც ხდება!" სწორედ ასე უთხრა **ქელი დეგნანმა ირაკლი ღარიბაშვილს,** როცა რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნაზე უარი მიიღო! ჩემთვის ცნობილია, ტელევიზიის თანამშრომლებს, მსახიობებსა და ცნობილ ადამიანებს ვის რამდენი შესთავაზეს, რათა სახელმწიფო გადატრიალებაში ჩაეთრიათ!

## — ანუ, ვინც დღეს რუსთაველზეა გამოსული და რაღაც საშინელებებს გაიძახის,

## ყველა ნაყიდია?

— მთავარი ბირთვი ნაყიდია, ხოლო დანარჩენები სასარგებლო იდიოტები არიან, რომლებზეც მუშაობს მასების ფსიქოლოგია...

**— სადამდე გაგრძელდება ეს ღრიანცელი და უმსგავსობა?**

— ვფიქრობ, დიდხანს ვეღარ გაგრძელდება, რადგან დაფინანსების წყაროები უკვე გადაკეტილი აქვთ. ხომ წარმოგიდგენიათ, მე რომ დაახლოებით 1 მილიონს მთავაზობდნენ, მთავრობის წევრების მოსყიდვისთვის რამდენი ფული იქნებოდა გამოყოფილი... ამაოდ დაშვრნენ! ვიღაც-ვიღაცები კი გადაიბირეს და გადადგნენ, მაგრამ სახელისუფლებო ვერტიკალი არ ჩამოიშალა და ხელისუფლება მყარად დგას, ანუ

**დღევანდელი ხელისუფლების დასამხობად ამ ორი წლის წინათ ჰქონდათ მუშაობა დაწყებული და გასულ ზაფხულს სია დააზუსტეს — ვინ უღალატებდა სამშობლოს და ვინ — არა!**

**ევროპაში მცხოვრებ ჩვენს კოლეგებს, რომლებიც საქართველოსა და ამ ხელისუფლებაზე საზიზღრობებს წერენ, ვის რამდენი გადაუხადეს, ისიც ვიცი!**

**— ეს ხალხი, ვინც თქვენს გადაბირებას აპირებდა, დაიბარეს თუ არა დაკითხვაზე სუს-ში და დღეს სად არიან? ხომ არ დგანან ისინი დღევანდელი გაფარჩაკებული საპროტესტო აქციების ავანგარდში?**

— არა, **სუს**-ში არ დაუბარებიათ, რადგან საქართველოდან მალე წავიდნენ... ისინი დღესაც საზღვარგარეთ არიან, თუმცა, მათი უცხოელი უფროსები აქციაზე გამოჩნდნენ. უკვე ყველამ ყველაფერი იცის და, იცით, რა მაკვირვებს? საქართველოს ხელისუფლებამ გარკვეული ადამიანები, მაგალითად, **მიხაელ როთი,** „პერსონა ნონ გრატად" რატომ არ გამოაცხადა? აი, ეს დღემდე ვერაფრით ამიხსნია!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

**„საქართველოს ხელისუფლებამ გარკვეული ადამიანები, მაგალითად, მიხაელ როთი, „პერსონა ნონ გრატად" რატომ არ გამოაცხადა? აი, ეს დღემდე ვერაფრით ამიხსნია!"**





***2025 წლის 20 იანვარს კაპიტოლიუმის შენობაში შთამბეჭდავად ჩატარდა დონალდ ტრამპის საპრეზიდენტო ინაუგურაცია, რასაც მსოფლიოში ახალი ერის დასაწყისად მოიაზრებენ. როგორი პოლიტიკური გზავნილები მიიღო საერთაშორისო საზოგადოებამ აშშ-ის 47-ე პრეზიდენტის საინაუგურაციო სიტყვიდან, რა სიმბოლოებით იყო დატვირთული თავად ინაუგურაციის ცერემონია და რას უნდა ელოდოს საქართველო ტრამპის მმართველობის პირობებში? ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი ირაკლი გოგავა გვესაუბრება:***



**ირაკლი გოგავა:**

# მიმდინარე წლის მარტიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი დაიძვრება!

— **ტრამპის** პრეზიდენტობით ამერიკის შეერთებული შტატები ტრადიციულ რელიგიასა და ბიბლიაზე ორიენტირებულ პოლიტიკაზე გადადის, რაც ევროპასა და საქართველოზეც აუცილებლად აისახება. ამასთან, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მას წინასაარჩევნო რიტორიკა გაპრეზიდენტების შემდეგაც არ შეუცვლია და ინაუგურაციის დღიდანვე შეუდგა იმ დაპირებების შესრულებას, რომლებიც ამერიკელ ამომრჩეველს მისცა. **ტრამპმა,** ფაქტობრივად, გააცამტვერა ლიბერალური დღის წესრიგი, რადგან გააუქმა **ბაიდენისა** და სხვა წინა პრეზიდენტების მიერ გამოცემული 78 დეკრეტი, რომელიც გენდერულ საკითხებს არეგულირებდა. რაც მთავარია, 90 დღით შეაჩერა საგარეო დახმარების ყველა პროგრამა, რომელიც ამერიკის სამთავრობო ფულს „იუესეიდის", „ნედისა" და სხვა ლიბერალური ფონდების მეშვეობით ანაწილებდა. საბოლოო ჯამში, ეს ნიშნავს, რომ **ლიბერალური ჯგუფების ამერიკული ფულით დაფინანსება მთელ მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოში, პრაქტიკულად, შეწყდება.**

**— ანუ საქართველოში მოქმედი ე.წ. ლიბერალური და მდიდარი არასამთავრობო ორგანიზაციები სალაფავის გარეშე დარჩებიან?**

— რა თქმა უნდა! ლიბერალური ქართული ენჯეოები ამერიკის სამთავრობო სახსრებიდან ყოველწლიურად 40-50 მილიონ დოლარს იღებდნენ და ე.წ. კრიტიკული მედიასაშუალებების, სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმული ვაიხელოვანების, პრაიდისა და სხვა ფემინისტურ-გენდერული გიჟობების დაფინანსებაც სწორედ ამ ფულით ხდებოდა, მაგრამ ამიერიდან ასე აღარ იქნება.

მართალია, **ანა დოლიძე** საჯაროდ ითხოვს — საქართველოში ვითარების შესაცვლელად რამდენიმე მილიარდი დოლარი გვჭირდებაო, მაგრამ **ესენი უკვე ჩარეცხილები არიან** და თავიანთი დესტრუქციული გეგმების განსახორციელებლად ცენტსაც ვეღარ მიიღებენ.



საბოლოოდ წასულია ნაციონალური მოძრაობის საქმეც, რადგან იგი დაარსების დღი-

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*



**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის" წევრი*



უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში, საქართველოში ჩატარებული რადიკალური აქციების, **ხელისუფლების დამხობისკენ მიმართული არეულობების** და რიგი რადიკალური ჯგუფების **დამფინანსებელი** გიორგი ბაჩიაშვილია.

„იმედინიუსი"

**ვლადიმერ ბოჭაძე**
*პარლამენტარი*



**ბაჩიაშვილი,** რომელიც ცნობილია **ბიძინა ივანიშვილის ქონების სავარაუდო მიტაცებით** და ახლა ძალიან აქტიურობს ოპოზიციურ ფლანგზე, აფინანსებს, სავარაუდოდ, იმ აქციებსაც, რომლებიც ოპოზიციის ორგანიზებით ტარდება.

„იმედინიუსი"

**მეუფე იაკობი**
*ბოდბელი ეპისკოპოსი*



**ვინც ღმერთის და საქართველოს წინააღმდეგ წავა, დამარცხდება!**

„იმედინიუსი"

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის" წევრი, პარლამენტარი*



**გამჭვირვალობის კანონი** გვინდოდა იმიტომ, რომ **შავი ფული არ გადმორიცხულიყო საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ. ტრამპის** ბრძანებაშიც ზუსტად ეს წერია.

„იმედინიუსი"

**კონსტანტინე გამსახურდია**
*პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი*



ეს მიტინგები **რევოლუციური სცენარია.** თუ ფრთხილად არ მოვიქცევით, **ჩელიაბინსკში კი არა, ლაზაში გავიღვიძებთ.**

„ჯორჯიან თაიმსი"

# ირაკლი გოგავა:

# ტრამპის პრეზიდენტობით ამერიკის შეერთებული შტატები ტრადიციულ რელიგიასა და ბიბლიაზე ორიენტირებულ პოლიტიკაზე გადადის!



დონალდ ტრამპი ინაუგურაციის ცერემონიალზე საპრეზიდენტო ფიცის დადებისას. 2025 წლის 20 იანვარი

*დასაწყისი მე-7 გვერდზე*

დანვე ამერიკის დემოკრატიული პარტიის პროექტი იყო. 1990-იან წლებში შეერთებულ შტატებში დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს შორის ერთგვარი გარიგება შედგა, რომლის თანახმადაც რესპუბლიკელებმა აზერბაიჯანზე აიღეს შეფობა, ხოლო დემოკრატებმა — საქართველოზე და ხელისუფლებაში არანორმალური სააკაშვილის მოყვანაც ამ პროექტის ნაწილი გახლდათ.

**— თუმცა, ფაქტია, რომ კოლექტიური ნაცები, რომლებსაც ტრამპის ლანძღვა-გინების მეტი არაფერი უკეთებიათ, ახლა უკვე მის ადმინისტრაციასთან მისასვლელ გზებს ეძებენ. აკი, სალომე ზურაბიშვილი, მამუკა ხაზარაძე და ნაცოპოზიციის სხვა წარმომადგენლები დიდი ამბით ჩავიდნენ ვაშინგტონში ტრამპის ინაუგურაციაზე დასასწრებად!**

**– ზურაბიშვილისა და ხაზარაძის მსგავს გაკოტრებულ და მარგინალიზებულ პოლიტიკოსებს, რომლებსაც ქართველი ხალხის თვალში გახვრეტილი შაურიანის ფასიც არ გააჩნიათ, არაფერი გამოუვათ, რადგან წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა საქართველოს ხელისუფლებაში მოსასვლელად მხოლოდ უცხო ძალებისაგან მხარდაჭერა იყო საკმარისი.**

დაგვიანებულია, მაგრამ მაინც კარგია, რომ საქართველოს პარლამენტში იქმნება საგამოძიებო კომისია, რომელიც ნაციონალური მოძრაობის დანაშაულებრივ ქმედებებს სამართლებრივ შეფასებას მისცემს, ეს სისხლიანი პარტია აიკრძალება და ყველა იმ პირს, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის დროს გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობდა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის უფლება ჩამოერთმევა.

საერთოდ, პოლიტიკური პარტიები საქართველოზე დამღუპველად მოქმედებენ, რის შესახებაც ჯერ კიდევ **ილია ჭავჭავაძე** წერდა და დროა, პარტიული სისტემიდან მთლიანად მაჟორიტარულ სისტემაზე გადავიდეთ, როგორც ეს აშშ-ში, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთშია.

**— და მაინც, როდის და როგორ შეიძლება, აისახოს საქართველოზე ის სერიოზული ცვლილებები, რომლებიც ტრამპის მმართველობას მთელ მსოფლიოში მოჰყვება?**

— საქართველოს საკითხი უკრაინის პრობლემის მოგვარებაზე იქნება მიბმული, რადგან ახალი მსოფლიო წესრიგი სამ დიდ სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებულ შტატებს, ჩინეთსა და რუსეთს შორის შეთანხმდება. რუსეთი შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს აუცილებლად მოსთხოვს, მისი საზღვრების გასწვრივ უზრუნველყოფილი იქნას უსაფრთხოების ბუფერული ზონა, რაც იმას ნიშნავს, რომ ნატო უკრაინისა და სამხრეთ კავკასიის მიმართულებით არ უნდა გაფართოვდეს. ეს ვარიანტი ჩვენთვისაც მისაღებია, რადგან საქართველოს ხელს აძლევს სამხედრო ნეიტრალიტეტი და მრავალვექტორიანი საგარეო პოლიტიკა, რაც ამერიკასთან, ევროპასთან, რუსეთთან, ჩინეთთან, ინდოეთთან და არაბულ სამყაროსთან ეკონომიკურ თანამშრომლობას გულისხმობს.

**— ტრამპის ინაუგურაციის კვალდაკვალ, უნგრეთის პრემიერმა ვიქტორ ორბანმა ძალიან ხისტი განცხადება გააკეთა — გადამწყვეტ შეტევაზე უნდა გადავიდეთ და ბრიუსელის ოკუპაცია მოვახდინოთ! რა პროცესები შეიძლება, განვითარდეს ევროკავშირში?**

— **ორბანი** მართალს ამბობს — ბრიუსელს სოროსისტები აკონტროლებენ და ევროკავშირის წამყვანი სტრუქტურები ულტრალიბერალთა ხელშია. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ახალ რეალობაში, რომელიც მსოფლიოში ტრამპის მმართველობით დგება, მთავარი წაგებული და დაზარალებული სწორედ ევროკავშირი იქნება, რადგან დაიწყება მისი დეზინტეგრაცია და 7-8 წელიწადში შესაძლოა, დაიშალოს კიდეც! შესაბამისად, დღის წესრიგიდან მოიხსნება დიდი ბლეფი საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ, რომელიც დასავლეთიდან მხოლოდ იმიტომ შემოგვიგდეს, რომ თავიანთი ინტერესებისათვის გამოგვიყენონ.



ამერიკაში საგანგებოდ ჩასულმა **ხაზარაძემ** და **ჯაფარიძემ ტრამპის** ინაუგურაციას **ქუჩიდან უცქირეს!**



ტრამპის ინაუგურაციაზე მიმავალი სალომე ზურაბიშვილი

და კიდევ, საქართველოს განვითარებას სერიოზულად უშლის ხელს ის ფაქტი, რომ აფხაზეთის რკინიგზა და როკის გვირაბი დღემდე დაკეტილია! არადა, ჩინეთისა და ინდოეთის პოზიციაა, რომ ე.წ. შუა დერეფნის, ანუ ახალი აბრეშუმის გზის ფარგლებში სამხრეთ კავკასიის ყველა საკომუნიკაციო კვანძი ღია იყოს, რაც ავტომატურად გულისხმობს ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარებას.

**— ანუ არსებობს შანსი, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი დღის წესრიგში დადგეს?**

— შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი უკვე დღის წესრიგში დგას! **რუსეთის ინტელექტუალურ ელიტაში კარგა ხნის მომწიფებულია აზრი, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა მშვიდობიანი, პოლიტიკური გზებით გადაიჭრას, თუმცა, ამ პროექტს დასავლეთში სერიოზული მოწინააღმდეგები ჰყავს, რომლებმაც აფხაზეთში ე.წ. გუდაუთის დაჯგუფება ააბუნტეს და დე ფაქტო პრეზიდენტი ასლან ბჟანია ჩამოაგდეს, რათა ამა წლის 15 თებერვალს დაგეგმილ ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებში საქართველოსადმი გაცილებით უფრო რადიკალურად განწყობილ ფიგურას გაამარჯვებინონ.**

მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, მიმდინარე წლის მარტიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი დაიძვრება და ამას ხელს ვერავინ და ვერაფერი შეუშლის! ევრაზიული გეოპოლიტიკა გარდაუვლად მიდის იქითკენ, რომ ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის შედგეს შეთანხმება ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში დაბრუნების შესახებ!

**— კოლექტიური დასავლეთის ლიბერალური „მეხუთე კოლონა“ არ შეეცდება, საქართველოს გამთლიანების საკითხს ხელი შეუშალოს?**

— როგორც კი ამერიკის შეერთებული შტატებიდან და დასავლეთიდან ლიბერალური სიგიჟეების დაფინანსება შეწყდება ან კარდინალურად შემცირდება, საქართველოში მოქმედი „მეხუთე კოლონის“ ერთი ნაწილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ასპარეზიდან უკვალოდ გაქრება, მეორე ნაწილი კი, რომელსაც ყოვლად უპრინციპო პოლიტიკოსები წარმოადგენენ, ახალ რეალობაზე მორგებას შეეცდება.

ყოველივე ამის ფონზე, საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე ევოლუციურად და ბუნებრივად გაჩნდებიან ახალი, ჯანსაღი და კომპეტენტური ძალები, რომლებიც საქართველოს გამთლიანებასა და ეკონომიკურ განვითარებას ხელს შეუწყობენ! **ასე რომ, წინ დიდი და კარგი ამბები გველოდება!**

*ესაუბრა*

**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები

**თამარ ჩიხურდანიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ტრამპმა** განაცხადა, რომ **ამერიკაში დემოკრატია და თავისუფლება ბრუნდება,** ანუ აქამდე არ არსებობდა. არადა, ყოფილი ადმინისტრაცია **დემოკრატიის უკუსვლაში** ჩვენ გვადანაშაულებდა.

„იმედინიუსი“

**ნიკოლოზ სამხარაძე**
*საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე*



მთავარი ინდიკატორი იმისა, **რამდენად სწორად იარა საქართველომ,** არის ის, რომ **დღეს არის მშვიდობა და თბილისში არ ფრიალებს რუსეთის დროშა,** რადგან ამის დიდი ალბათობა არსებობდა, ჩვენ რომ ერთი მცდარი ნაბიჯი გადაგვედგა.

„იმედინიუსი“

**ირაკლი რუხაძე**
*ტელეკომპანია „იმედის“ მეპატრონე, ბიზნესმენი*



აბსოლუტურად ტყუილია, რომ „იმედს“ აქვს **ანტიდასავლური ნარატივი.** არ აქვს არანაირი **ანტიამერიკული განწყობა,** მაგრამ **ამერიკა თუ ცუდად მოიქცა ჩემს ქვეყანასთან მიმართებით,** „იმედმა“ არ უნდა თქვას?!

**ყველა ის პარტია,** რომელიც ნაცმოძრაობის გვერდით დგას, **ჩემთვის იგივე ნაცმოძრაობაა.**

„რადიო თავისუფლება“

**ლევან მაჭავარიანი**
*„ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე*



რაც უფრო დრო გადის, **აქციების მუხტი მცირდება.** ჩვენი ნაბიჯებით მოქალაქეებს დავარწმუნებთ, რომ **ჩვენი გზა არის ევროპისკენ,** მაგრამ ღირსებით.

„TV იმედი“

# ანა რკიას სიმართლე წამოსცდა!

***ანა დოლიძემ, რომელიც ადრე სოლიდური და რესპექტაბელური ქალბატონის იმიჯით სარგებლობდა, ბოლო დროს სულ სხვანაირი სახე გამოაჩინა და საზოგადოებას თავი ქუჩის აქციებსა და ტელეეთერში ისტერიული წივილ-კივილით დაამახსოვრა.***



**ანა რკია – მკივანი ანა დოლიძე**



სხვანაირად რომ ვთქვათ, ოდესღაც გაწონასწორებული და რაფინირებული **ანა დოლიძის** მაგივრად საზოგადოებამ იხილა **ანა წითლიძის მსგავსად გამარგინალებული, გაოდიოზურებული და გაანჩხლებული** ანა დოლიძე, რომლისთვისაც **ანა რკიას** მეტსახელი ძალიანაც ზედგამოჭრილი იქნება.

**რკია** მეგრულად კივილს ნიშნავს და, შესაბამისად, **ანა რკია** ქართულად ითქმის, როგორც **მომკივანი** ანდა **მკივანი ანა,** ხოლო, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ **ანა დოლიძეს** ისტერიული **წივილ-კივილები** მას შემდეგ დაეწყო, რაც **ანაკლიის** ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის ჩამფლავებლის — **მამუკა ხაზარაძის** პოლიტიკურ კოალიციაში შევიდა, ერთი ხალხური თქმულების საწყისებთან მივალთ.

საქმე ის არის, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელი **ანაკლია,** სადაც **ხანდაზმულ თაღლით მამუკა ხაზარაძეს** ღრმაწყლოვანი პორტი უნდა აეშენებინა, მაგრამ ვერ ააშენა, თავისი ტოპონიმით სწორედ **ანას კივილთან** არის დაკავშირებული. ლეგენდის თანახმად, იმ ავბედით დროში, როცა საქართველოში ტყვეთა სყიდვა იყო გაჩაღებული და მონად გასაყიდ ქართველ გოგო-ბიჭებს ოსმალეთში გემებით ეზიდებოდნენ, სამეგრელოს ერთ ზღვისპირა სოფელში ქალს — სახელად **ანას** — პატარა ვაჟი გასტაცეს. მისმა **კივილმა** მთელი სოფელი შეძრა, მაგრამ წაგვრილი შვილის დედისათვის დაბრუნება ვერავინ შეძლო. იმ დღიდან მოყოლებული, სოფელს ხშირად ესმოდა ზღვის ნაპირთან მდგარი გაუბედურებული ქალის **განწირული კივილი,** რაზეც ხალხი ამბობდა — **„ანა რკიანს!"** — ანუ **ანა კივისო!**

ხალხური გადმოცემით, სწორედ ამ სიტყვებს — **„ანა რკიანს!"** — უკავშირდება ტოპონიმი **„ანაკლია",** ხოლო **ანა რკიას,** ანუ **მკივანი ანა** დოლიძის ისტერიკა დაკავშირებულია პოლიტიკურ ფიასკოსთან, რომელიც მან და სხვა კოლექტიურმა ნაცებმა ჯერ 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში განიცადეს, შემდეგ კი — ე.წ. ნაცმაიდნის პროცესში, როცა გლობალური **დიფ სთეითის, ანუ ფარული დასის** მიერ საქართველოში დაგეგმილი სახელმწიფო გადატრიალება ვერ შედგა.

კი, სწორედ საპარლამენტო არჩევნებსა და რევოლუციურ პროცესებში განცდილი კრახით არის გამოწვეული კოლექტიური ნაცებისა და, მათ შორის, **ანა რკიას** მძიმე მენტალური მდგომარეობა, რის ფონზეც საქართველოში ერთი დიდი და თანამედროვე ევროსტანდარტების შესაბამისი ფსიქიატრიული კლინიკის არარსებობის პრობლემა კიდევ უფრო მძაფრად იკვეთება.

თანაც, **ანა რკიასა** და კოლექტიური ნაცსექტის სხვა **მომკივანთა** არასახარბიელო ფსიქოლოგიურ კონდიციას კიდევ უფრო ამძიმებს შეერთებულ შტატებში ტრამპის ხელისუფლების მოსვლა, რაც ამერიკულ **დიფ სთეითს, ანუ ფარულ დასს** და, შესაბამისად, საქართველოში მოქმედ მის აგენტურასაც შავ დღეს უქადის.

ამას **ანა რკიაც** კარგად აცნობიერებს და კრიტიკული დღეების მოლოდინში აცხადებს — დასავლეთმა რამდენიმე მილიარდი დოლარის დახმარების პაკეტი უნდა გამოგვიყოს, რათა საქართველოში სიტუაცია შევცვალოთო, თუმცა, ტრამპის პრეზიდენტობის პირობებში **გლობალური ფარული დასის „მეხუთე კოლონას"** უცხოეთიდან დაფინანსება არათუ არ გაეზრდება, არამედ მთლიანად შეუწყდება ან, როგორც მინიმუმ, რადიკალურად შეუმცირდება.

## საქართველოში ანა რკიებისა და გლობალური ფარული დასის აგენტურის პარპაში უნდა დამთავრდეს!

ასე რომ, **ანა რკია** და მისნაირები საქართველოში ძველებურად ვეღარ იპარპაშებენ და ქართული სახელმწიფოს გამუდმებულ რყევასა და ჯანჯღარს ვეღარ შეძლებენ!

საინტერესოა, რომ კოლექტიური ნაცსექტის მოქმედებას **პარპაში** თავად **ანა რკიამ** უწოდა, როცა **მამუკა ხაზარაძის** კარის ტელევიზია „ტვ პირველში" გამოსვლისას განაცხადა:

> ***„ბელარუსში ოპოზიცია 10 თვე იყო ქუჩაში და ეს პროტესტები სისხლიანი რეპრესიებით დასრულდა. მეორე მხრივ, ჩრდილოეთ მაკედონიაში ოპოზიცია ორი წელი იყო ბევრად უფრო რთულ ვითარებაში. მათთან შედარებით ჩვენ ვპარპაშებთ".***



***ედუარდ მუნკი. კივილი (ფრაგმენტი)***

როგორც გაფუჭებული საათი დღე-ღამეში ერთხელ სწორ დროს აჩვენებს, ზუსტად ასე წამოსცდა სიმართლე პოლიტიკურ ცრუპენტელა **ანა რკიას,** რომელმაც პარპაშად შეაფასა ის, რასაც რადიკალური და ანტისახელმწიფოებრივი ნაცოპოზიცია საქართველოში აკეთებს.

დიახ, რასაც საქართველოს მოსახლეობა განსაკუთრებით უკანასკნელი 2 თვის განმავლობაში ადევნებს თვალს, ეს არც პოლიტიკური პროცესია, არც — საპროტესტო მოძრაობა და არც — გამოხატვის თავისუფლება, არამედ ეს გახლავთ უსამშობლო რენეგატებისა და უცხოეთიდან დაფინანსებული აგენტურის თავაწყვეტილი პარპაში, რაც ქართული სახელმწიფოს ჩამოქცევასა და მისი სუვერენიტეტის დასამარებას ემსახურება.

**ანა რკიამ,** რომელიც რუსთაველის გამზირზე ქართველ პოლიციელებს გაჭინთული უკიოდა — **„რუსები", „ოკუპანტები"** და **„პუტინის მონები"** ხართო, ძალიან კარგად იცის, რომ არათუ რუსული და ავტორიტარული რეჟიმი, არამედ არცერთი დემოკრატიული ქვეყნის ხელისუფლებაც კი იმდენს არ მოითმენს, რამდენსაც ქართული სახელმწიფო ამ გაპარპაშებული ნაცლიბერალებისაგან ითმენს და იტანს.

**ანა რკიას** ისიც მშვენივრად მოეხსენება, რომ რუსული და ავტორიტარული რეჟიმის პირობებში ვერანაირად ვერ იარსებებს იმდენი ოპოზიციური პარტია, იმდენი ოპოზიციური ტელევიზია, იმდენი ოპოზიციური არასამთავრობო ორგანიზაცია და იმდენი ოპოზიციურად განწყობილი ბიზნესი, რამდენიც დღეს საქართველოში **პარპაშებს.**

ამიტომაც თქვა **ანა რკიამ** — **გაპარპაშებული** ვართო!

სწორი თქვა **ანა რკიამ** — მართლა **გაპარპაშებული** არიან!

და საკითხავია — კიდევ რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს საქართველოში გლობალური ფარული დასის აგენტებისა და ქართული სახელმწიფოს შიდა მტრების **პარპაში?**

კიდევ რამდენ ხანს უნდა აიტანონ ქართულმა სახელმწიფომ და ქართველი საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა ის ზიზღითა და სიძულვილით გაჟღენთილი, ლიბერალური ფაშიზმისა და ლიბერალური ბოლშევიზმის ელემენტებით გაჯერებული გარემო, რომელსაც **გაპარპაშებული კრებსითი ანა რკიები** ქმნიან?

ვფიქრობთ, ახლა მაინც, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში **დონალდ ტრამპის** გაპრეზიდენტებით მსოფლიოში სრულიად ახალი და განსხვავებული პოლიტიკური რეალობა დადგა, საქართველოში **ანა რკიებისა და გლობალური ფარული დასის აგენტურის პარპაში** უნდა დამთავრდეს!

დროა, საქართველოს ხელისუფლებამ **გაპარპაშებულ** ნაცლიბერალთა წინააღმდეგ ფსევდოდემოკრატიული დოგმების კი არა, ქართული სახელმწიფოს სუვერენული ინტერესების შესაბამისად იმოქმედოს!

**ანა რკიასა და მისნაირთა** ანტიქართული გეგმები ისევე უნდა ჩაიფუშოს, როგორც **ანა რკიას** პოლიტიკურმა პარტნიორმა **მამუკა ხაზარაძემ** ჩააფლავა ანაკლიის პორტის მშენებლობა!

მერე **ანა რკიამ და მისნაირმა მომკივანეებმა** იმდენი **იკივლონ,** რამდენიც უნდათ!

იქნებ **კოლექტიურ ანა რკიებს გია ბუღაძემ** ნახატიც მიუძღვნას, როგორც ნორვეგიელი მხატვრის **ედუარდ მუნკის** ცნობილი ნამუშევრის — **„კივილის"** რემინისცენცია!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**ლევან იოსელიანი**
*სახალხო დამცველი*



**20 000-ზე მეტი დამკვირვებელი ჰყავდათ** პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, მაგრამ **მხოლოდ 11 საჩივარი დაწერეს.** თუ გაყალბება ასეთი მასშტაბური იყო, **ეს ხალხი რას აკეთებდა, ეძინა?**

იქიდან გამომდინარე, რომ **300 000 ხმის გაყალბება ძალიან რთულია** როგორც ინფრასტრუქტურულად, ასევე ტექნიკურად და **წარმოუდგენელია 100 000 კაცისთვის პირადობის ჩამორთმევა,** ოპოზიციონერებს ვკითხე, მტკიცებულებები თუ გაქვთ-მეთქი, პასუხად კი მივიღე — **შენ ხარ მონა, რუსი და „ოცნების" სახალხო დამცველიო.** ოღონდ გამაშავონ და ყველაფერს კადრულობენ.

„კვირის პალიტრა"

**თენგიზ შარმანაშვილი**
*პარლამენტარი*



ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ დავანახოთ ამერიკის ახალ ადმინისტრაციას, **ჩვენი ოპოზიციონერების სახით რა მორალის ხალხთან და რა დონის დიფ სთეითის აგენტურასთან აქვთ საქმე.** „იმედინიუსი"

**მურმან დუმბაძე**
*ყოფილი პარლამენტარი, „ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის" წევრი*



ქვეყნის შიგნით **უნდა გაგრძელდეს პროტესტი** და ქვეყნის გარეთ — სანქციები.

„ახალი თაობა"

**ვახტანგ მაისაია**
*პოლიტოლოგი*



ქვეყანაში **ავტოკრატიული რეჟიმია, რომელიც თალიბანს ჰგავს.** ამდენი უწიგნური, გაუნათლებელი და ხეპრე ადამიანის შეკრება როგორ მოახერხეს, არ ვიცი.

„ახალი თაობა"



# მიხეილ ცაგარელი:

# ამერიკიდან იწყება ცვლილებები და ნელ-ნელა მოვა საქართველომდეც !

***2024 წლის ბოლო ინტერვიუსას ასტროლოგმა მიხეილ ცაგარელმა დასძინა, ნამდვილი ახალი წელი 29 იანვრიდან დადგებაო. საუბარი მასთან სწორედ ამ თემით დავიწყეთ:***

— ჩვენ უკვე ვიზეიმეთ ევროპული, ანუ ძველეგვიპტური ახალი წელი, ზოგჯერ მას ძველბერძნულსაც უწოდებენ, თუმცა, აღმოსავლური, ანუ ჩინური კალენდრის მიხედვით, **ახალი წელი 29 იანვარს დგება და 2026 წლის 16 თებერვლამდე გასტანს.**

გარდა იმისა, რომ 29-ში ჩინური კალენდრის მიხედვით მწვანე ხის სტიქიის გველის წელიწადი დგება, იცვლება კარმული კვანძებიც — წლინახევრით ვერძიდან თევზებში გადადის.

**— ეს რას ნიშნავს?**

— სამყაროს სულიერი მხარეების შესწავლა, მათი კანონზომიერების გათვალისწინება იქნება პრიორიტეტული. თევზები სწორედ სულიერების, რელიგიურობის ნიშანია. სამყარო შემდგომი წლინახევრის განმავლობაში მოითხოვს ყველასაგან — პირველი პირებით დაწყებული რიგითი მოქალაქით დამთავრებული — მაქსიმალურ კონცენტრაციას და გარდაქმნას სულიერებისკენ, რელიგიურობისკენ, ქველმოქმედებისკენ. მატერიალური მხარე მეორე პლანზე გადავა, ანუ უახლოესი წლინახევრის განმავლობაში ცივილიზაციის მთავარი კოსმიური მისია იქნება სულიერების განვითარება და გაფართოება. თევზების ზოდიაქოში კარმული კვანძების გადასვლა საზოგადოებაში დიდ ცვლილებებს გამოიწვევს.

ხის სტიქიის გველი ცეცხლის სტიქიის გველთან შედარებით უფრო მშვიდია, მაგრამ მსუბუქს ვერც ამ წელს ვუწოდებ, მითუმეტეს, ახალი წელი სავსემთვარეობიდან დაიწყო, ხოლო 31 დეკემბერს ახალმთვარეობა იყო.

**— ანუ?**

— ახალმთვარეობა ყოველთვის მძიმე, სატანური დღეა. ახალი წლის ასეთი დღით დაწყება ნიშნავს იმას, რომ მაღალი იქნება მოტყუების, არასწორი ინფორმაციის გავრცელებისა და მიღების მცდელობა.

დრაკონი ყოველთვის რაღაცას ანგრევს, ცვლის, გველის წელი კი ალაგებს. ორი ადამიანი ჩხუბის შემდეგ ფიქრობს, შემდგომში როგორ მოიქცნენ, ბოდიში მოუხადონ ერთმანეთს, კვლავ განაგრძონ ქიშპი თუ დაილაპარაკონ. ახლა სწორედ ამ ეტაპზე ვართ. არაერთხელ აღვნიშნე, მათ შორის, თქვენთან ინტერვიუში, **2024 წელი დაანგრევს, 2025 წელში კი გადაწყდება, რა გზით წავა სამყარო, გადანაწილების შედეგად ვის რა დარჩება. გველის წელი ბევრ რაღაცას გაარკვევს.**

ასევე ჯერ კიდევ როდის ვამბობდი, რომ 2025 წელს იქნებოდა გადამწყვეტი ბრძოლა გლობალისტებსა და ანტიგლობალისტებს შორის. **ტრამპის** გაპრეზიდენტება ნიშნავს იმას, რომ ეს ბრძოლა 2025 წელს პიკს მიაღწევს.

გასაგებია, რომ **ტრამპს** ხელისუფლებაში ყოფნის გამოცდილება აქვს, მაგრამ მისი პრეტენზიები ამჯერად ბევრად უფრო სერიოზულია. შესაბამისად, კიდევ უფრო გაძლიერდა წნეხი მის წინააღმდეგ, მათ შორის, ევროპაში შემორჩენილი ნეოლიბერალებისგან. დღეს **ტრამპის** წინააღმდეგ ყველა იმ ძალის კონსოლიდაცია ხდება, ვინც მასთან ბრძოლაში დამარცხდა. მათ შორის არის დიფ სთეითიც **(იგივე ფარული დასი. რედ.)**. **ტრამპზე** განაწყენებულია ბრიტანეთიც. 12 სპეცოფიცერი იყო მათ მიერ მივლინებული არჩევნებზე, რომ მას არ გაემარჯვა. ეს **ტრამპსაც** ახსოვს ისევე, როგორც მისი სიტყვები დიდ ბრიტანეთს — **კანადა შტატებმა უნდა მიიერთოსო.** როგორ გგონიათ, მოეწონებოდა ინგლისს ტრამპის ეს სიტყვები იმ ქვეყნის მისამართით, რომელიც მათ ზონაში შედის?! დონალდ ტრამპი დაუპირისპირდა დანიასაც. გადასაწყვეტია ირანი-ტაივანის საკითხიც.

ეს ძალები უზარმაზარ ფულს, ძალაუფლებას ფლობენ და ადვილად არ დაუშვებენ საკუთარი თავის განადგურებას. სერიოზული საბოტაჟი და სირთულეები იქნება. თავის დროზე სწორედ **დიფ სთეითთან** ბრძოლას შეეწირა **ჯონ კენედი.** 2020 წელს, რაც ტრამპს გაუკეთეს, ესეც **დიფ სთეითის** მოწყობილი იყო, თუმცა, ამერიკის იმჟამინდელი პრეზიდენტი მაშინ ვერაფერს გახდა და თამაშგარეთ დარჩა. **არის იმის ალბათობაც, რომ კიდევ ესროლონ ტრამპს. ამ ძალის ხელშია მთელი სამხედრო კომპლექსი და ტრილიონები.** დიფ სთეითთან ბრძოლა ძალიან სახიფათოა, მაგრამ, თუ მასთან ბრძოლაში ტრამპი გაიმარჯვებს, მთელი მსოფლიო განთავისუფლდება შავი ჭირისაგან.

**— ამ ორთაბრძოლის დროს განსაკუთრებით საინტერესოა, როგორ გამოიყურება ტრამპის პირადი ჰოროსკოპი?**

— იმიტომაც გახდა პრეზიდენტი და არის ასე ყინჩად, რომ პირადი ჰოროსკოპი მასზე დადებითად მუშაობს. ჯერ ერთი, ტრამპი დრაკონის წელიწადშია დაბადებული, მეორეც ჰოროსკოპით ტყუპებია, სადაც ახლა გამარჯვების პლანეტა იუპიტერი იმყოფება, თუმცა, ივლისიდან იუპიტერი მის ზოდიაქოს ნიშანს დატოვებს და წარმატების ფაქტორიც შემცირდება. ერთ-ორ თვეში ტყუპებში გადავა მოულოდნელობათა მმართველი პლანეტა ურანიც, რაც კიდევ უფრო გაურკვეველს გახდის მის მოქმედებებსაც და სიტუაციასაც. კარგი იქნება, თუ მანამდე მოასწრებს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას.

**— ტრამპმა უკვე გასცა ერთი მნიშვნელოვანი ბრძანება, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციიდან შტატების გამოსვლის შესახებ!**

— ტრამპის ამ გადაწყვეტილებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩემი სიტყვები ჯანმოსთან დაკავშირებით, რის გამოც პანდემიის დროს არაერთი სიბინძურე თქვეს ჩემი მისამართით. ტრამპმა იმთავითვე იცოდა, რომ ეს დიდი აფერა იყო და შეეცადა, ამ ძალას შეწინააღმდეგებოდა, თუმცა, მაშინ **დიფ სთეითმა** (ანუ ფარულმა დასმა. რედ.) გაიმარჯვა, ის ხელისუფლებას ჩამოაშორა, **დოქტორ ფაუჩი** დააწინაურა და შემოგვიტანა ვაქცინები, რამაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

## „საქართველოც უნდა გამოვიდეს ჯანმოდან და მათი თანამზრახველებიც დაიჭირონ, ამირან გამყრელიძით და პაატა იმნაძით დაწყებული, ფხაკაძით დამთავრებული!“



გიორგი ფხაკაძე




ამირან გამყრელიძე და პაატა იმნაძე

**ჯანმო 2025 წლისთვის კვლავ უმზადებს მსოფლიოს ახალ გენმოდიფიცირებულ ვირუსს, გენმოდიფიცირებული ვაქცინაციით. ამჯერად აპირებენ,**

## კვირგვინოსნები

**ნოშრევან ნამორაძე**
*ბიზნესმენი*



ყველას ვალია, **ურთულესად მოპოვებული მშვიდობა დავაფასოთ,** უმადურები არ ვიყოთ, **ქვეყანა ჭეშმარიტ ქართულ გზას ადგას** და არავის ვასალი არ გახდება, ღირსეულად, თავაწეულებმა ვიაროთ.

„პირველი არხი“

**მარკო მიხელსონი**
*ესტონეთის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე*



არ არის ძალიან გვიანი გამოფხიზლება და აღიარება, რომ **დასავლეთი რუსეთთან ომშია.** რუსეთმა შეტევა **ჯერ კიდევ 2008 წელს** დაიწყო საქართველოს ერთი მეხუთედის ოკუპირებით, რითაც, **ფაქტობრივად, შეაჩერა ნატოს გაფართოება.**

„ინტერპრესნიუსი“

**ანრი ბიბინეიშვილი**
*მსახიობი*



ოპოზიციის მიზანია **სამოქალაქო დაპირისპირება,** რადგან იციან, რომ **სამოქალაქო დაპირისპირების** შემდეგ საქართველოს მომავალი აღარ აქვს.

„პირველი არხი“

**ზურაბ ვახანია**
*აკადემიკოსი*



ქვეყანა სავსეა **დიპლომიანი მოქალაქეებით,** მაგრამ როდესაც სპეციალისტი სჭირდებათ ამა თუ იმ დარგში, **ყველაფერში უმდაბლესი დონეა.**

„რეზონანსი“

**ალექსანდრე წულაძე**
*განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი*



ჩვენი მიზანია, **პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში** დაიწყოს ახალი, **სახელმწიფო უნივერსიტეტის კამპუსის მშენებლობა** თბილისში.

„იმედინიუსი“

# „ქვეყნის რევოლუციური გზით გადატრიალების მცდელობა ჩაფლავდა! საქართველოში სიტუაცია თანდათან შეიცვლება უკეთესობისკენ!“

**სახელმწიფოები აიძულონ, ვაქცინაციის აუცილებლობა კონსტიტუციით იყოს გამყარებული.**

რა ვაქცინებს გამოგზავნიან და რამდენ ადამიანს დახოცავენ, ეს უკვე თქვენ განსაჯეთ. ამ გადაწყვეტილებით **ტრამპმა** მათ დაასწრო და შეუწყვიტა დაფინანსება.

საქართველოც აუცილებლად უნდა გამოვიდეს ჯანდაცვის დისკრედიტებული მსოფლიო ორგანიზაციიდან, სადაც ფარული დასის მაფიოზური სტრუქტურები და ფსევდოლიბერალთა ჯგუფები არიან შეყრილი. უნდა დაიჭირონ მათი თანამზრახველები, **გამყრელიძითა და იმნაძით** დაწყებული, **ფხაკაძით** დამთავრებული, ჯერ საფრანგეთიდან რომ გაჰყვიროდა და მერე საქართველოში ჩამოსული უწევდა პროპაგანდას მათ შავ საქმიანობას. გახსოვთ, კუბოების ჩვენებით რამდენი ადამიანი გაანადგურეს მორალურად და ფიზიკურად?

**შესაბამისი ორგანოები უნდა დაინტერესდნენ, საიდან იშოვეს ამდენი ფული და აიშენეს ძვირადღირებული სახლები. კითხვები უნდა დაისვას ლუგარის ლაბორატორიასთან დაკავშირებითაც, რომელიც გამყრელიძის მშობლიური სახლია.**

დაფინანსებები შეგვიწყდება და ქვეყანა დაიღუპებაო, რომ გაჰყვირის ოპოზიციური არხებიდან, აბა, რას იტყვის, ათას მამაძაღლობებში უამრავ ფულს უხდიან. ეს მისთვის იგივეა, ჟანგბადი რომ გადაუკეტო.

**— როგორ ფიქრობთ, გადაიარა რევოლუციურმა ტალღამ თუ კვლავ არის ქვეყანაში ხელისუფლების დამხობის საფრთხე?**

— ქვეყნის რევოლუციური გზით გადატრიალების მცდელობა ჩაფლავდა! დღეს ახალგაზრდები, მათ შორის, ჩემი სტუდენტები რუსთაველზე დროის გასატარებლად, პაემნებზე დადიან. კომპიუტერთან გაზრდილმა თაობამ აღმოაჩინა, რომ ქუჩაში გავლა კარგი ყოფილა.

არ დაგიმალავთ, გაოცებული ვარ ამ თავყრილობებში **ზურაბ ჟვანიას** ოჯახის ხილვით. თუ რაიმე თანხები შემოსდით უცხოეთიდან და წყაროების გადაკეტვის ეშინიათ, არ ვიცი, მაგრამ ვერ ვიგებ, რა უნდათ მათ ამ აქციებზე? ვინმემ თქვა, ევროპა არ გვინდაო? იქ მდგომი ადამიანები რეალურად მხარს უჭერენ იმას, რაც კრებსით ნაციონალურ მოძრაობას სურს. მათ რომ რევოლუცია მოეხდინათ, ვინ იქნებოდა დღეს საქართველოს მთავრობაში?! ცხადია, სააკაშვილი და მისი ჯგუფი. ასე რომ, ვის უჭერენ მხარს, ზურაბ ჟვანიას მკვლელებს?!

ყოველგვარ ზღვარს სცილდება **თემურ ჭყონიას** განცხადებები — არ ვამბობ, არჩევნები არასწორად ჩატარდა, უბრალოდ, ახალი არჩევნები გვინდაო. ცინიზმსაც ხომ აქვს საზღვარი?!

**— თუ ასეა, რატომ აიტკივა აუტკივარი თავი?**

— დღეს კი გრძნობს თავს კარგად, მაგრამ იქნება კი ხვალ ასევე არხეინად? ხვდებიან, რომ მათი დრო ნელ-ნელა სრულდება, ყველას და ყველაფრის ლუსტრაცია ხდება. **თემურ ჭყონიაზე** ყველამ ისედაც ყველაფერი იცოდა, მაგრამ კოჰაბიტაცია იცავდა. რადგანაც ბიძინა ივანიშვილის მხრიდან გაკეთდა განცხადება კოჰაბიტაციის დასრულების შესახებ, შეშინდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ არავინ არაფერზე თვალს აღარ დახუჭავს. **თუ ბიზნესის წარმომადგენელი ეწევა ანტისახელმწიფოებრივ პროპაგანდას, აფინანსებს მთავრობის ჩამოგდების პროგრამას, მასაც უნდა შეეხონ!** ის, რასაც **თემურ ჭყონია** აკეთებს, არის ანტისახელმწიფოებრივი, მოღალატეობრივი ქმედება!

ამ ქვეყნის ტრაგედიაა, რომ დღესაც აქციების ავანგარდში ხელოვანები დგანან, რომლებიც მეხუთე კოლონას წარმოადგენენ. მათ ხელშია თეატრები, საგანმანათლებლო დაწესებულებები. იმის შემდეგ, რაც ვნახეთ ლექტორთა მიერ წაქეზებული სტუდენტები, როგორ უნდა ვირწმუნოთ მათი? რა გარანტია გვაქვს, რომ ხვალ უარესს არ გააკეთებენ?!

**ნავიდნენ და თავიც უტეხიათ ევროპაში. საქართველო უნდა გაიწმინდოს მოღალატეებისგან!**

**— ეს თქვენი აზრია, თუმცა, დავით დოიაშვილი და მის ირგვლივ შეკრებილი ადამიანები მიიჩნევენ, რომ ქვეყანა იღუპება და შველა სჭირდება.**

— ქვეყანა ზუსტად იმიტომ იღუპება, რომ **დოიაშვილისნაირები** გვყავს მრავლად. აზრზე არ არიან, რა არის გეოპოლიტიკა და იქ ეჩრებიან, სადაც მათი საქმე არ არის. **დოიაშვილმა** აკეთოს ის, რაც მას ესმის, რატომ ყოფს ცხვირს იმ სფეროში, რომლის გაგებაშიც არ არის?! იმ უმცირესობის პოზიციიდან საუბრობს, რომელსაც გვერდს უმშვენებს, მეტიც, მართავს ფულზე გაყიდული ვაი-ოპოზიცია, მევახშე, ქართველი ხალხის გამკოტრებელი **მამუკა ხაზარაძე** და რეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი** თავისი გამყიდველური პოზიციითა და მამა-პაპით. აღარ ახსოვს, რა უქნა ამ ადამიანებმა და მათ უკან მდგომმა ნაციონალებმა ამ ქვეყანას? **სად იყო მაშინ, რატომ არ იღებდა ხმას, როცა მისი სამშობლო ქუცმაცდებოდა და იყიდებოდა?!**

დღევანდელ ხელისუფლებას რეჟიმს რომ უწოდებენ, ვეკითხები **დოიაშვილსა და მის გვერდით** მდგომთ, კარგია ძალოვნების მისამართით გამოჩენილი აგრესია? მათი მისამართით ქვებისა და პიროტექნიკის სროლა? რომელი ქვეყნის ხელისუფლება პატიობს საკუთარ მოქალაქეებს ასეთ აგრესიას?! მოსაწონია საჭმელში ჩაფურთხება?! თუ არ იცით, გეტყვით — ეს არის აკერმანის ბოლო პუნქტი, ე.წ. დაპირისპირება მასებთან! **რისთვის გამართეს საჭმელში ჩაფურთხების კამპანია? იმისთვის, რომ მეორე ნაწილის აღშფოთება და დაპირისპირება გამოეწვიათ. საბედნიეროდ, ხალხი უკვე გამოცდილია და მათ პროვოკაციას აღარ წამოეგო!**

ევროპა-ევროპის ძახილი ეს არის თითიდან გამოწოვილი, ცარიელი სიტყვები. მეც მინდა ევროპაში, ოღონდ იმ ევროპაში, რომელიც ჩემს ტრადიციებსა და ეროვნულ ფასეულობებს არ ავნებს. ჩვენს მსახიობებს მოვუწოდებ — აზრზე მოვიდნენ, გაემიჯნონ ამ სიბინძურეს და დაიკავონ ეროვნული პოზიცია. **ჯერ გაერკვიეთ გეოპოლიტიკაში, რა დგას ამ ევროკავშირის უკან და მერე გააკეთეთ პოლიტიკური განცხადებები!**

დარწმუნებული ვარ, რაც მეტი დრო გავა, ოპოზიცია **სალომე ზურაბიშვილის** მეთაურობით უფრო მეტად დაკარგავს ფასს, გაუფასურდება მათი ნებისმიერი სიტყვა და მოქმედება. ამათ ეს იციან და ამიტომაც ძრწიან ასე გამწარებით. მთავარია, „ქართულმა ოცნებამ“ სწორად და დროულად იმოქმედოს!

**— და მაინც, როგორ უნდა მოიქცეს ხელისუფლება ამ პოლიტიკურ მოცემულობაში?**

— სწორია, რომ ამ ეტაპზე არ ჩქარობენ. ჯერ უნდა გაირკვეს, რას შვრებიან დიდი მოთამაშეები — აშშ, ჩინეთი და რუსეთი, საით მიდის სიტუაცია. ახლა რომ დაიჭირონ და დასაჯონ ყველა, ვინც დასასჯელია, მთელი ფსევდოლიბერალური ევროპა აყაყანდება. როდესაც სიტუაცია შეიცვლება, გაეხსნებათ ხელ-ფეხი და შეეძლებათ სერიოზული გადაწყვეტილებების მიღება. პირველი ვიქნები, ვინც ხელისუფლებისაგან ძალიან აქტიურ და ენერგიულ მოქმედებას მოვითხოვ არამხოლოდ დამნაშავე ნაციონალების, არამედ ყველა მოღალატის მიმართ, ვინც გადამწყვეტ ვითარებაში საკუთარი თავის ლუსტრაცია მოახდინა.

**ბიძინა ივანიშვილმა** ჩემზე უკეთ იცის, რა უნდა გააკეთოს. უკვე მერამდენე წელია, **დიფ სთეითის** მეშვეობით მას ბანკები ებრძვიან. ისიც კარგად ესმის, როგორც კი ეს ფარული დასი დასუსტდება, ყველაფერი თავისით დალაგდება, ბანკიც უცებ ჭკვიანი გახდება და სულ სხვა განცხადებები გაკეთდება. ორიოდე კვირის წინათ ფეისბუქის შეფმა რა აღიარა? — მავალებდნენ ცენზურასო. მოკლედ, ამერიკიდან იწყება ცვლილებები და ნელ-ნელა მოვა საქართველომდეც. მთავარია, ყინული დაიძრა!

თავადაც ნახავთ, საქართველოში სიტუაცია თანდათან უკეთესობისკენ შეიცვლება. ამ ეტაპზე ბიძინა ივანიშვილს სწორად მიჰყავს პროცესები და როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნე, ჩვენს მთავრობას ამ ტურბულენტური ზონის გავლაში ხელი არ უნდა შევუშალოთ!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***



„ჩვენს მსახიობებს მოვუწოდებ, აზრზე მოვიდნენ, გაემიჯნონ ამ სიბინძურეს, დაიკავონ ეროვნული პოზიცია!“

# „დოიაშვილმა აკეთოს ის, რაც მას ესმის, რატომ ყოფს ცხვირს იმ სფეროში, რომლის გაგებაშიც არ არის?!“

## კვირგვინოსნები

**რობერტ ფიცო**
*სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრი*



**ნატოს გაფართოება** უკრაინის გაწევრიანებით იქნება მესამე **მსოფლიო ომის დაწყების საფუძველი.**

„რეზონანსი“

**მამუკა ახვლედიანი**
*საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე*



მოსამართლეების ნაწილმა მხოლოდ წერა-კითხვა იცის, **გამზადებულ გადაწყვეტილებებს კითხულობენ!** პირდაპირ გეუბნებით, ჩემს დროსაც, საქალაქო სასამართლოში **მომიტანეს მომდევნო კვირაში გამოსაცხადებელი გადაწყვეტილებების სია იმ საქმეებზე, რომელიც არც კი იყო ჩატარებული.** რა გადაწყვეტილება უნდა მიეღო, ამას წინასწარ წერდნენ.

„ახალი თაობა“

**თემურ ჭყონია**
*ბიზნესმენი*



**ჩვენ არ ვიძახით, რომ არჩევნები გაყალბდა** იმიტომ, რომ ჩვენ არ ვართ ამის ანალიტიკოსები, მაგრამ ჩვენ ვიძახით, რომ დღევანდელი სიტუაცია რომ განიმუხტოს, პრაგმატულად რომ შევხედოთ, **საჭიროა არჩევნები, იმიტომ, რომ არ შეიძლება იზოლაციაში ცხოვრება.**

„რეზონანსი“

**დავით ბერძენიშვილი**
*რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი*



**ივანიშვილი** ხომ აპირებდა ქართველი **ახალგაზრდების დალლას.** ახალგაზრდები კი არა, **მისი თაობის და მასზე უფროსი ადამიანები ვერ დაღალა.** პირიქით, ხელისუფლებაა ქანცგამოცლილი.

„ახალი თაობა“

# რთული იქნება ფარული დასის კლანჭებიდან თავის დაძვრენა, რომელსაც საქართველო სამედიცინო ექსპერიმენტების პოლიგონად ჰქონდა გადაქცეული!

## თინა თოფურია:



— მადლობა **ბატონ ტრამპს,** რომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციიდან გამოსვლის დოკუმენტს მოაწერა ხელი, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს ჯანმოს საბოლოოდ დატოვებას. აწი იწყება მთელი რიგი რთული პროცედურები, რომელთა დასრულებას 1 წელი მაინც სჭირდება. საქართველომ სასწრაფოდ უნდა მიჰბაძოს ამერიკის მაგალითს და ანალოგიური ნაბიჯი გადადგას! **— მიაჩნია ადამიანის ეკოლოგიის ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარეს, მედიცინის დოქტორ თინა თოფურიას:**

— სრულდება სრული სიგიჟე, რაც კოვიდიდან მოყოლებული, სხვადასხვა ფორმით დღემდე გრძელდებოდა. დიდ იმედებს ვამყარებ **რობერტ კენედიზე,** რომელსაც ტრამპმა ამერიკელი ხალხის ჯანმრთელობა ჩააბარა, რადგან მის ორგანიზაციასთან 10 წელზე მეტია, ვთანამშრომლობ და ზუსტად ვიცი, როგორი თავგამოდებით იბრძვის ბავშვთა ჯანმრთელობისათვის მთელ მსოფლიოში. მაგარი გუნდია და რისკიანი, მასშტაბური გეგმები აქვთ: **ტრამპი** მსოფლიო პოლიტიკის მოწესრიგებას გეგმავს, **ილონ მასკი** — გალაქტიკის ათვისებას, **რობერტ კენედი** — კაცობრიობის გაჯანსაღებას! უშიშრად დაუპირისპირდნენ ისეთ მონსტრს, როგორიც არის **დიპ სთეითი.** ამ დაჯგუფებას „ასავალ-დასავალის" რედაქტორმა **ლაშა ნადარეიშვილმა** ზედგამოჭრილი ქართული შესატყვისი უპოვა, როცა **„ფარული დასი"** უწოდა! სწორედ, **ფარული დასის** — მსოფლიოს ამ რუხ კარდინალთა კისერზეა ხელოვნურად გამოწვეული ცრუ პანდემია, რომელმაც უამრავი ადამიანი იმსხვერპლა;

**ფარული დასის უშუალო მითითებით შეიქმნა ცრუ ვაქცინები, რომელმაც კოვიდზე არანაკლები პრობლემები შეუქმნა პლანეტის მოსახლეობის ჯანმრთელობას.**

რომ იტყვიან, ტრამპის გაპრეზიდენტებამ სულზე მოგვისწრო!

**— რა ელოდა კაცობრიობას არჩევნებში ტრამპის დამარცხების შემთხვევაში?**

## კლაუს შვაბი:

### არავინ იქნება დაცული, თუ ყველა არ აიცრება!




## ტედროს გებრეისუსი:

### დროა, მივხედოთ ანტივაქსერებს! უნდა გადავიდეთ მათ მიმართ უფრო აგრესიულ მიდგომებზე, რათა უკან დავახევინოთ!



— გავიხსენოთ **ფარული დასის** წარმომადგენელთა მიდგომები:

***„არავინ იქნება დაცული, თუ ყველა არ აიცრება!"*** — ამბობდა **კლაუს შვაბი,** ანუ პლანეტის მოსახლეობის 100 პროცენტს აცრას უპირებდნენ!

***„შემდეგი პანდემია იქნება გაცილებით უფრო სასტიკი!"*** — გაიძახოდა ჯანმოს დირექტორი **ტედროს გებრეისუსი,** რაც ასევე პლანეტის მოსახლეობის იძულებით აცრას მოასწავებდა და იქვე დასძენდა: ***„დროა, მივხედოთ ანტივაქსერებს! უნდა გადავიდეთ მათ მიმართ უფრო აგრესიულ მიდგომებზე, რათა უკან დავახევინოთ! ჩვენ გვაქვს მეცნიერება და ვაქცინები, რომლებიც კარგად მუშაობს!"***

***„ეს იქნება ყველაზე სასტიკი რეჟიმი, როგორიც ჯერ ისტორიას არ ახსოვს"*** — გვაპარებდა **იუვალ ნოე ჰარარი,** ახალი მსოფლიო წესრიგის მთავარი იდეოლოგი.

***„კოვიდი იყო გენერალური რეპეტიცია. ჩვენ მივიღეთ გამოცდილება, გავაანალიზეთ შეცდომები და შემდეგი პანდემიის დროს ამას აღარ დავუშვებთ!"*** — აცხადებდა **ბილ გეითსი** და მსოფლიო მასშტაბით სიტყვის თავისუფლების ჩახშობაზე მიანიშნებდა, რადგან ცალკეულ აქტივისტ-მეცნიერთა ღაღადი პანდემიასა და ვაქცინებზე — თვალს უხელდა პლანეტის მოსახლეობის დიდ ნაწილს!

***„ჩვენ რომ გვეთქვა, რომ ამ RNM ვაქცინებით უჯრედის თერაპია უნდა ჩავუტაროთ, პლანეტის მოსახლეობის 95 პროცენტი ამაზე ნებაყოფლობით არ დაგვეთანხმდებოდა!"*** — გამოტყდა ბაიერ-მონსანტოს კონცერნის დირექტორი **შტეფან ოელრიხი.**

ვიდრე პლანეტის მოსახლეობის ყურადღება მიქცეულია მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე, **ფარული დასი** კვლავ ემზადება პლანეტაზე ახალი წესრიგის დასამყარებლად. ამისათვის, პირველ რიგში, უნდა მოხდეს პენსიონერების უტილიზაცია, ბავშვების გენის რედაქტირება და ახალგაზრდებში შობადობის ფუნქციის დაქვეითება პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო აცრით. მოკლედ, საჭიროა მხოლოდ პანდემია და როცა მოსახლეობის 100 პროცენტს აცრიან, აღარ დასჭირდებათ ახალი საკანონმდებლო ბაზა. ეს მათ მოახერხეს 2024 წლის აპრილში ჯანმოს 77-ე სამიტზე, როცა შესაბამისი რეზოლუცია მიიღეს.

**— მაგრამ ახალი პანდემიური ხელშეკრულება ხომ ჩავარდა?**

— მაგრამ ბოლო დღეს მოულოდნელად გამოაცხადეს, რომ მუშაობა გრძელდება. ამავდროულად, ყველაფერი, რაც სჭირდებოდათ თავიანთი მზაკვრული გეგმის განსახორციელებლად, მაინც შეიტანეს უკვე არსებულ დოკუმენტში „შესწორებების" სახით. ეს არის 2005 წლის **„საერთაშორისო სანიტარიული რეგულაციები",** რაც აქამდე ემსახურებოდა ტვირთების და მგზავრების მიმოსვლის ეპიდემიოლოგიურ უსაფრთხოებას. შესწორებების

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ ძაბირაძე**
*პოლიტოლოგი*



თუ **„ქართულმა ოცნებამ"** ეს ხმები ალალად მიიღო, მაშინ **დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები.**

„კვირის პალიტრა"

**ნინია სადღობელაშვილი**
*მწერალი*



**ოპოზიციაზე** არც ვიცი, რა უნდა ვთქვა, **ეს ჩვენი დიდი სატკივარია, ქვეყნისთვის კი უბედურებაა** და ამით ძალიან მოითბო ხელი „ქართულმა ოცნებამ".

„კვირის პალიტრა"

**თორნიკე შარაშენიძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი*



**ტრამპი მალე პუტინს შეხვდება** და არ ეშინია, რომ ვინმე დააბულინგებს.

„კვირის პალიტრა"

**ლევან ლორთქიფანიძე**
*ანალიტიკოსი*



სპეციალურად მოვძებნე ფაქტი, **რომელიმე ქვეყნის მოქმედი პარლამენტარები ხულიგნობის ან დებოშის გამო თუ დაუკავებიათ საზღვარგარეთ.** აღმოჩნდა, რომ ასეთი ორი ქვეყანაა — **ბანგლადეში და სამხრეთ აფრიკის სახელმწიფო ესვატინი.** ამ ქვეყნების სიის ჩამონათვალს **ახლა საქართველო შეემატა.** ის იქნება მესამე ქვეყანა, რომლის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრები **რესტორანსა და სასაუზმეში დებოშს ტეხენ,** არცხვენენ ქვეყანას.

„კვირის პალიტრა"

**ლაშა ძებისაშვილი**
*პოლიტოლოგი*



მარშებმა თავი ნელ-ნელა ამოწურა. **მუდმივი პროტესტი და დგომა რუსთაველზე,** მათ შორის, მარშების სახით, მნიშვნელოვანია, მაგრამ არ წარმოადგენს **ზეწოლის მთავარ ბერკეტს** „ოცნებაზე".

„კვირის პალიტრა"


ილონ მასკი, დონალდ ტრამპი, რობერტ კენედი



# „ტრამპი მსოფლიო პოლიტიკის მოწესრიგებას გეგმავს, ილონ მასკი – გალაქტიკის ათვისებას, რობერტ კენედი – კაცობრიობის გაჯანსაღებას!“

შეტანის შედეგად კი ის გადააქციეს სერიოზულ პოლიტიკურ დოკუმენტად, რითაც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციას მიენიჭა განუსაზღვრელი უფლებები. მასზე დაყრდნობით, ჯანმოს დირექტორი შეძლებს, ერთპიროვნულად მართოს მთელი მსოფლიო როგორც პანდემიების, ისე პანდემიათაშორის პერიოდში, ანუ **მუდმივად!** ყველა ქვეყანა, რომელიც შეუერთდება ამ დოკუმენტს, ვალდებული იქნება, დაემორჩილოს მის მოთხოვნებს. **თუ აქამდე ჯანმოს დადგენილებებს ჰქონდა საკონსულტაციო ხასიათი, ახლა უკვე მათი შესრულება სავალდებულო იქნება.** თუ რომელიმე ქვეყანას არ სურს ბრძანებებში გაწერილი ვალდებულებების შესრულება, რეზოლუციის მიღებიდან, ანუ ჯანმოს 2024 წლის აპრილის სამიტიდან 12 თვის განმავლობაში უნდა განაცხადოს ამ დოკუმენტების მიღებაზე წერილობითი უარი, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაეთვლებათ „მდუმარე თანხმობად“ და დოკუმენტი მაინც შევა ძალაში.

**ტრამპმა** ახლავე განაცხადა უარი ამ რეზოლუციით მიღებულ დოკუმენტებზე. ეს ძალზე ჭკვიანური სვლაა, რადგანაც ჯანმოდან გამოსვლა შესაძლებელია მხოლოდ განაცხადის შეტანიდან 1 წელიწადში! ამ დროის მანძილზე კი ქვეყანა რჩება ჯანმოს წევრად და ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს... **ამ ახალ დოკუმენტებზე ტრამპის მიერ გაცხადებული უარით აშშ დაზღვეული იქნება ჯანმოდან გასვლამდე ჯანმოს დიქტატისაგან!**

**— ანუ ჯანმო შტატებისთვის დარჩება მხოლოდ საკონსულტაციო ორგანოდ?**

— დიახ! ჯანმომ რომ გამოაცხადოს პანდემია და დაუწესოს ამ ხელშეკრულებების მონაწილე ქვეყნებს ლოკდაუნი, სავალდებულო ვაქცინაცია, მკურნალობის პროტოკოლები, მწვანე პასპორტები, „დარჩი სახლში“ და კიდევ სხვა ბევრი რამ, ეს ქვეყნები ვალდებული იქნებიან, უსიტყვოდ დაემორჩილონ დადგენილებებს, ხოლო აშშ, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ რჩება წევრად, მიიღებს მის ვერდიქტებს როგორც რჩევებს და თავად გადაწყვეტს მოქმედების ტაქტიკას. **აი, რას ნიშნავს, რომ ამერიკის პრეზიდენტს გვერდით ჰყავს ისეთი გამოცდილი იურისტი, როგორიც რობერტ კენედია.** მას უკვე შეტანილი აქვს რამდენიმე სარჩელი, რითაც ითხოვს კოვიდის დროს ჩადენილი დანაშაულების გამოძიებას, **ენტონი ფაუჩის** პასუხისმგებლობის დაყენებას, ვაქცინების მწარმოებელთა მხრიდან მოსალოდნელი გართულებების დამალვის ფაქტების გამოძიებას; ბავშვებზე ჩატარებულ სამედიცინო ექსპერიმენტებს, რაც სხვათაშორის, საქართველოშიც დიდი ხანია, მიმდინარეობს!

**— როგორი რეაქციები მოჰყვა მსოფლიოში ტრამპის ამ განცხადებას?**

— ჩინეთმა და გერმანიამ გააპროტესტეს და განაცხადეს, რომ პირიქით, ჯანმოს მეტი უფლებები უნდა მიეცეს და გაძლიერდესო! ჰოლანდია და რამდენიმე ქვეყანა აპირებენ, მიჰბაძონ ტრამპს. გაეროც და ევროკავშირიც უკმაყოფილოა.

**დროა, საქართველომაც მიჰბაძოს ტრამპის ამერიკას და წერილობითი უარი განვაცხადოთ სამიტზე წარმოდგენილი „საერთაშორისო სანიტარიული რეგულაციების“ შესწორებულ ვარიანტზე. თუ ასე მოვიქცევით, აღარ ვიქცევით ჯანმოს და მის უკან მდგომი ფარული დასის ვერაგი გეგმების მსხვერპლი.**

ზოგმა ქვეყანამ უკვე განაცხადა უარი ამ რეზოლუციის მიღებაზე. ეს უნდა მოხდეს სასწრაფოდ, რადგან მალე ავტომატურად შევა ძალაში და ჯანმოდან გამოსვლაზე ოცნებაც ზედმეტი გახდება.

**— როგორია ჩვენი ქვეყნის ჯანდაცვის უწყების პოზიცია?**

— ვერ ვხვდები, სირაქლემის პოლიტიკაა თუ მართლა აზრზე არ არიან, რა ნაღმებია ჩადებული ამ დოკუმენტში?! არ გამიკვირდება, წაკითხულიც არ ჰქონდეთ! **არც იმას გამოვრიცხავ, ჯანდაცვის ქართულ უწყებას სულაც არ მოეწონა ტრამპის ეს განცხადება, რადგან რაღაც პროგრამებზე ჯანმოდან დაფინანსებას ელოდებიან.** თანაც, როგორც ჩვენს წერილებზე მათი პასუხებიდან ჩანს, ბრმად ენდობიან ჯანმოს, რომელიც „ზრუნავს კაცობრიობის კეთილდღეობაზე!“

**ტრამპის განცხადების მერე მომეცა იმედი, რომ ამ დამღუპველი დოკუმენტის მიღებაზე ჩვენი მთავრობაც უარს იტყვის!**

იქნებ გაითვალისწინონ ამერიკის პრეზიდენტის პოზიცია, რომელიც მსოფლიოს გასაგონად აცხადებს, რომ ჯანმო არის უუნარო ორგანიზაცია, რაც პანდემიის დროს კიდევ ერთხელ გამოჩნდა. რთული იქნება **ფარული დასის** კლანჭებიდან თავის დაძვრენა, რადგან ასე ადვილად არ შეელევა ქვეყანას, რომელიც ათწლეულების განმავლობაში თავისი სამედიცინო ექსპერიმენტების ლაბორატორიად და პოლიგონად ჰქონდა გადაქცეული!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

## ბილ გეითსი:



კოვიდი იყო გენერალური რეპეტიცია. ჩვენ მივიღეთ გამოცდილება, გავაანალიზეთ შეცდომები და შემდეგი პანდემიის დროს ამას აღარ დავუშვებთ!

## იუვალ ნოე ჰარარი:



**ეს იქნება ყველაზე სასტიკი რეჟიმი, როგორიც ჯერ ისტორიას არ ახსოვს!**

## კვირგვინოსნები

**ლევან ჭოტორლიშვილი**
*გერმანიაში მოღვაწე ქართველი ფიზიკოსი, პროფესორი*



**ნაცებს, როგორც ტოტალიტარულ სექტას,** არსებობა შეუძლია მხოლოდ მონოლოგის, ცალმხრივი პროპაგანდის ფორმატში. **ნებისმიერი დისკუსია და დიალოგი მათთვის დამღუპველია.**

„იმედინიუსი“

**მამუკა გამყრელიძე**
*„ევროპელი დემოკრატების“ გენერალური მდივანი*



ჩვენთან **კამალა ჰარისით აღტაცება იყო დაუფარავი ოპოზიციურ ველზე** და როდესაც იტყოდი — **იქნებ ტრამპი** — მაშინვე ჩაგქოლავდნენ,. ახლა კი **დადგნენ რიგში და გავარდნენ** მის ინაუგურაციაზე დასასწრებად. ჩემში პირადად გულის რევას იწვევს ასეთი დამოკიდებულება. **რა უნდა მოსთხოვო ასეთ პოლიტიკოსებს,** ერთი მითხარით?!

„ახალი თაობა“

**გიგი უგულავა**
*ოპოზიციონერი პოლიტიკოსი*



როგორ ცინიკურადაც არ უნდა ჟღერდეს, **თუ რამე დააბრუნებს ნაციონალურ მოძრაობას ხელისუფლებაში,** სწორედ ტელეკომპანია „იმედია“.

„აიპრესი“

**გია ნოდია**
*პოლიტოლოგი*



**ტრამპის** საინაუგურაციო სიტყვა იყო თავისი სტილით **დემაგოგიური, ნარცისისტული და მკვეხარა.**

„აიპრესი“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი*



ახალი არჩევნები იმიტომაა აუცილებელი, რომ **ნაკლები ინდაური იყოს ახალ პარლამენტში,** რათა, უბრალოდ, ვინმეს მიესვლებოდეს **ტრამპის** ადმინისტრაციასთან.

„აიპრესი“

*საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი წერეთელი დონალდ ტრამპის ინაუგურაციას ეხმიანება და საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს მიმოიხილავს:*

# ირაკლი წერეთელი: დარწმუნებული ვარ, ტრამპი ივანიშვილს სანქციებს გაუუქმებს!







— უპირველეს ყოვლისა, **დონალდ ტრამპს** ვულოცავ გაპრეზიდენტებას. მან თავისი საინაუგურაციო სიტყვით ხაზი გადაუსვა როგორც დიფ სთეითს, ასევე სამარცხვინო ქართულ პორნო და პედეროოპოზიციას! ყველა ლოგიკით, **დონალდ ტრამპი,** რომელმაც ხაზგასმით ილაპარაკა უკრაინის ომის დამთავრებაზე, რუსეთთან სტრატეგიულ საკითხებში ურთიერთობის დარეგულირებაზე და სანქციების მოხსნის შესაძლებლობაზეც, აუცილებლად იქნება ჩვენი მოკავშირე და მფარველი.

**მე, როგორც პირველი ევრო-ატლანტიკოსი და პროამერიკელი, ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რათა პრეზიდენტმა ტრამპმა ხმამაღლა აღიაროს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგები.**

> **„მინდა, მივულოცო ყველას, რომ ტრამპმა საჯაროდ მოაწერა ხელი ბრძანებულებას, რომლის ძალითაც, სამი თვის განმავლობაში საქართველოსა და დანარჩენ მსოფლიოში მოქმედ ენჯეო-აგენტურას ამერიკული დაფინანსება შეუწყდა!“**

მინდა, მივულოცო ყველას, რომ ტრამპმა საჯაროდ მოაწერა ხელი ბრძანებულებას, რომლის ძალითაც, სამი თვის განმავლობაში საქართველოსა და დანარჩენ მსოფლიოში მოქმედ ენჯეო-აგენტურას ამერიკული დაფინანსება შეუწყდა.

**— ჩვენი სამარცხვინო ოპოზიციონერი ლიდერები — სალომე ზურაბიშვილი, მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე და ჭუჭუ ვაშაძე რომ ვითომ ტრამპის ინაუგურაციაზე ჩავიდნენ და ზოგი კაპიტოლიუმის დარბაზში იყო და ზოგი — ქუჩაში, ამაზე რას იტყვით?**

— ტრამპის ინაუგურაციას გამადიდებელი შუშით ვაკვირდებოდი და ჩვენი პედეროოპოზიციის ლიდერები ვერსად დავაფიქსირე! ესენი იქ არავის მიუწვევია, მაგრამ ამერიკაში არის ტრადიცია, რომ, თუ ფულს გადაიხდი, პრეზიდენტის ინაუგურაციას დაუპატიჟებელი სტუმარიც შეიძლება დაესწროს! სწორედ დაუპატიჟებელი სტუმრების რანგში წავიდნენ ესენი ამერიკაში, თორემ პირადად ტრამპს ან მის უახლოეს გარემოცვას არცერთი მათგანი იქ არ მიუწვევია!

**— მაშ, რა არის ქართველი ოპოლიდერების აღმა-დაღმა უთავმოყვარეოდ წანწალის მიზეზი და მიზანი?**

— ესენი გაგიჟებული და გამწარებული არიან 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგებით! მაგათ ეგონათ, რომ ქართველი ერი ხმას მისცემდა და ამ ხელისუფლებას გაუშვებდნენ, ამიტომ საშინლად არ უხარიათ, რომ გამოჩნდნენ სახელმწიფოები, რომლებმაც აღიარეს არჩევნების შედეგები. **ახლა არიან წყალწაღებულის როლში, მაგრამ ამათი უბედურება კიდევ რა არის, იცით? ეს ჩვენი პედეროოპოზიციის ლიდერები სუფთა წყალს კი არა, კანალიზაციის აქოთებულ ნიაღვარს მიაქვს პოლიტიკურ მოუსავლეთში!**

**— თქვენ კანალიზაციის, ანუ უბორნიის წყალი ახსენეთ. საგულისხმოა, რომ ამერიკაში, ტრამპის ინაუგურაციაზე ჩასულმა ბადრი ჯაფარიძემ სწორედ საპირფარეშოს ფონზე გადაიღო ფოტო და გამოგვიგზავნა — აქა ვართო!**

— ეგენი სურათს სად გადაიღებენ, არ ვიცი და არც აქვს ამას მნიშვნელობა. მას შემდეგ, რაც არჩევნები წააგეს, იმის ნაცვლად, რომ ამ დამპლებს შეეშნოთ ის ხმები, რაც არ ეკუთვნოდათ და შესულიყვნენ პარლამენტში, დაიწყეს არჩევნების შედეგების გაპროტესტება! იმ დღიდან მოყოლებული, ეს უბადრუკები საბოლოოდ ჩავარდნენ კანალიზაციაში და დღემდე იქ ფართხალებენ!

**— რა ბედი ელით მათ?**

— ვერავითარი მრავალდღიანი აქციები მათ ვერ უშველით! როგორც კი საქართველოსა და ამერიკას შორის ურთიერთობა დალაგდება, ეს სამარცხვინო ხალხი ავტომატურად გაქრება... საერთოდ, საინაუგურაციო სიტყვა ნებისმიერი პრეზიდენტის მოღვაწეობას განსაზღვრავს. **დონალდ ტრამპმა** 20 იანვარს კაპიტოლიუმის შენობაში ისეთი რამეები ილაპარაკა, ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ კურსს აბსოლუტურად რომ შეესატყვისება. კაცმა პირდაპირ თქვა, რომ არსებობს ორი სქესი — ქალი და კაცი; ყველა სპორტულ ღონისძიებაში აკრძალა ტრანსგენდერების მონაწილეობა; ძალიან მკაცრად ილაპარაკა საიმიგრაციო პოლიტიკაზე და, ბოლოს და ბოლოს, ამ ენჯეო-აგენტებს სამი თვით შეუჩერა დაფინანსება. უფრო მეტიც, გამოვიდა სახელმწიფო მდივანი **მარკო რუბიო** და განაცხადა — ყველა სახელმწიფომ თავისი ეროვნული ინტერესები უნდა წამოსწიოს წინა პლანზეო! ბევრჯერ ვთქვი და კიდევ ვიმეორებ:

**საქართველოში არჩევნები არ გაყალბებულა, ყველაფერი ჩატარდა დემოკრატიულად და 2024 წლის 26 ოქტომბერს, ღვთის ნებით, გაიმარჯვა საქართველომ!**

**დიახ, 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ კი არა, საქართველომ გაიმარჯვა!**

**— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ტრამპი ბიძინა ივანიშვილს სანქციებს მოუხსნის?**

— დიახ, დარწმუნებული ვარ, ტრამპი ბიძინა ივანიშვილს სანქციებს გაუუქმებს! ტრამპი ბაიდენის მიერ გამოცემული ყველა უკანონო გადაწყვეტილების გაუქმებას აპირებს და ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ბიძინა ივანიშვილსაც შეეხება.

**— ფაქტია, რომ ქართულ ოპოზიციას — ნიკუტა გვარამიას, ჭუჭუ ვაშაძეს, მამუკა ხაზარაძეს, ბადრი ჯაფარიძეს, გიორგი გახარიას, ანა დოლიძესა და მთელ კოლექტიურ სანაცეთს, ძალიან უჭირთ იმის აღიარება, რომ ამ ქვეყნად ორი სქესი არსებობს!**

— როგორც ერთმა ბიოლოგმა მითხრა, ჩვენი პედერო და პორნოოპოზიციის ლიდერები სათითაოდ გამოიკვლიეს და დაადგინეს, რომ საშუალო სქესის წარმომადგენლები არიან!

> ჩვენი სამარცხვინო პედეროოპოზიცია **სამ სქესს** აღიარებს — ქალს, კაცს და დიფ სთეითის მიერ გამოყვანილ რაღაც ახალ უჯიშობას!

ვინაიდან ეს ბარიერგადალახული ოპოზიცია თავიდან ბოლომდე ჩაჯდა ნაცმოძრაობის კლასტერში, თანაც, ჩემდა გასაკვირად, ამ ბოლო დროს რამდენიმე ე.წ. ოპოზიციონერს ძალიან საეჭვოდ გაუნაზდა და გაუწვრილდა ხმა, მოვუწოდებ ხელისუფლებას, მხოლოდ 2003-2012 წლებში ნაცმოძრაობის მიერ ჩადენილი დანაშაულობანი კი არა, ჩვენი სამარცხვინო პედეროოპოზიციის ლიდერების სქესიც გამოიკვლიოს!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**სანდრო თვალჭრელიძე**
*ექსპერტი*



**ტრამპი** საქართველოსთვის, სავარაუდოდ, **გაზაფხულის ბოლოსთვის მოიცლის.**

„კვირის პალიტრა“

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*



**ტრამპის** გარემოცვაში ტრიალებს მოსაზრება, რომ **საქართველო ლიბერალებთან მებრძოლი ქვეყანაა.** ამიტომ არის მოლოდინი, რომ შეიძლება, **საქართველოს, როგორც კონსერვატიული ორიენტაციის მქონე ქვეყნის,** ინტერესები უფრო მეტად დაიცვას ტრამპმა.

„რეზონანსი“

**სალომე ზურაბიშვილი**
*ყოფილი პრეზიდენტი*



მოხარული ვარ, რომ **შევძელი და ამერიკის პრეზიდენტის ინაუგურაციას დავესწარი.** ამ ძალიან მნიშვნელოვან ღონისძიებაზე **საქართველოს, საქართველოს საზოგადოებასა და მთლიანად მოსახლეობას წარმოვადგენდი.**

„რეზონანსი“

**ალექსანდრე რაქვიაშვილი**
*„გირჩის“ წევრი*



ხალხი, რომელიც **ტრამპს** ლანძღავდა, მათ შორის ჩვენს ქვეყანაში, ყველაფერს აკეთებენ, რომ **ფოტო გადაიღონ აშშ-ის პრეზიდენტთან** თუ არა, მის წარმომადგენელთან მაინც.

„პირველი არხი“

**ცოტნე ანანიძე**
*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი*



აშშ-ის პრეზიდენტმა თქვა, რომ **არსებობს მხოლოდ ორი სქესი,** ეს კი იმ პროპაგანდის აკრძალვას ნიშნავს, რასაც ტაშს უკრავდნენ **ზურაბიშვილი და ხაზარაძე.**

„იმედინიუსი“

გვახსოვდეს და არასოდეს ვივიწყებდეთ:

# გენერალისიმუსი

№4 (300) ★ 2025 წლის 27 იანვარი ★ გამოდის 2003 წლიდან


**სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, იარსებებენ მავნებლებიც, დივერსანტებიც, ჯაშუშებიც, მკვლელებიც და ტერორისტებიც, რომლებსაც ჩვენს ზურგში აგზავნიან უცხო სახელმწიფოთა მზვერავი ორგანოები!**

იოსებ სტალინი




# იწყება პირდაპირ ახლა!

მადლობა! დიდი მადლობა ყველას! დიდი, დიდი მადლობა, ვიცე-პრეზიდენტო **ვენს**, სპიკერო **ჯონსონ**, სენატორო **ტიუნ**, მთავარო მოსამართლე **რობერტს**, ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებო, პრეზიდენტო **კლინტონ**, პრეზიდენტო **ბუშ**, პრეზიდენტო **ობამა**, პრეზიდენტო **ბაიდენ**, ვიცე-პრეზიდენტო **ჰარის** და ჩემო თანამოქალაქენო, **ამერიკის ოქროს ხანა იწყება პირდაპირ ახლა!**

## ★ ახალი ერა

დღეიდან ჩვენი ქვეყანა კვლავ აყვავდება და მთელ მსოფლიოში პატივისცემით იქნება გარემოსილი. **ჩვენი შეშურდება ყველა ერს და აღარავის მივცემთ ჩვენი ექსპლუატაციის უფლებას.**

აღდგენილ იქნება ჩვენი სუვერენიტეტი! აღდგენილ იქნება ჩვენი უსაფრთხოება! გაიმართება მართლმსაჯულების სასწორი! ბოლოს მოეღება იუსტიციის სამინისტროსა და ჩვენი მთავრობის გამოყენებას ბოროტ, სასტიკ და უსამართლო იარაღად! ჩვენი მთავარი პრიორიტეტი გახდება ამაყი, აყვავებული და თავისუფალი ნაციის შექმნა! **მალე ამერიკა გახდება უფრო დიადი, ძლიერი და განსაკუთრებული, ვიდრე ოდესმე აქამომდე!**

მე ვუბრუნდები პრეზიდენტის უფლებამოსილების შესრულებას იმ იმედითა და ოპტიმიზმით, რომ ვიმყოფებით ეროვნული წარმატებების ახალი, თვალწარმტაცი ერის სათავესთან. **ქვეყანაში ქრის ცვლილებათა სიო, მთელ მსოფლიოს ეღვრება მზის სხივები და ამერიკასაც, როგორც არასდროს, ეძლევა შანსი, გამოიყენოს ეს შესაძლებლობა, თუმცა, ამისათვის პირუთვნელად უნდა შევაფასოთ ჩვენ წინაშე მდგარი ამოცანები.** ისინი მრავლადაა, მაგრამ მათი გადაჭრა მოხერხდება იმ დიადი იმპულსით, რომელსაც ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში მთელი მსოფლიო ადევნებს თვალს.

დღეს ჩვენი მთავრობა აწყდება ნდობის კრიზისს. მრავალი წლის განმავლობაში რადიკალური და კორუმპირებული ისტებლიშმენტი ეუფლებოდა ამერიკის მოქალაქეთა ძალაუფლებასა და სიმდიდრეს მაშინ, როდესაც ჩვენი საზოგადოების ბურჯები დამსხვრეული და სრულიად მიგდებული იყო. **ამჟამად ჩვენ გვყავს მთავრობა, რომელსაც არ შესწევს ძალა, გაუმკლავდეს თუნდაც უმნიშვნელო კრიზისს ქვეყნის შიგნითაც კი და ამავე დროს მუდმივად ერთვება საზღვარგარეთში მიმდინარე კატასტროფულ მოვლენებში. მას არ ძალუძს, დაიცვას ჩვენი შესანიშნავი, კანონმორჩილი ამერიკელი მოქალაქენი, სამაგიეროდ, თავშესაფარსა და დაცვას სთავაზობს საშიშ დამნაშავეებს, რომელთა უმეტესობამ არალეგალურად შემოაღწია ჩვენს ქვეყანაში მთელი მსოფლიოს ციხეებიდან ან ფსიქიატრიული კლინიკებიდან.**

**ჩვენ გვყავს მთავრობა,** რომელმაც გამოყო შეუზღუდავი დაფინანსება უცხო ქვეყნების საზღვრების დასაცავად, მაგრამ უარს ამბობს, დაიცვას ამერიკის საზღვრები და, რაც მთავარია, დაიცვას საკუთარი ხალხი.

**ჩვენს გვაქვს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემა,** რომელზეც იხარჯება გაცილებით დიდი ფული, ვიდრე მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, მაგრამ იგი უძლურია კატასტროფების ჟამს.

**ჩვენ გვაქვს განათლების სისტემა,** რომელიც ასწავლის ჩვენს შვილებს, რცხვენოდეთ საკუთარი თავის და სძულდეთ თავისი ქვეყანა, მიუხედავად იმ სიყვარულისა, რომელსაც ასეთი რუდუნებით ვუნერგავთ.

დღეიდან ყოველივე ეს შეიცვლება და შეიცვლება ძალიან სწრაფად. **ჩემი ამასწინანდელი არჩევნები არის მანდატი იმისათვის, რათა სრულად და ყოველმხრივ აღიკვეთოს ყველა ეს საშინელი და მრავლობითი ღალატი, ხოლო ხალხს დაუბრუნდეს თავისი რწმენა, თავისი სიმდიდრე, თავისი დემოკრატია და, ცხადია, თავისი თავისუფლება!** ამ მომენტიდან ამერიკის ვარდნას წერტილი ესმება!

ჩვენი ერის თავისუფლებასა და დიდებულ ბედს აწი ვეღარავინ უარყოფს და ჩვენ უმალ აღვადგენთ ამერიკის მთავრობის ერთიანობასა და კომპეტენტურობას!

ბოლო 8 წლის მანძილზე მე გამოვიარე გაცილებით მეტი სირთულე, ვიდრე სხვა რომელიმე პრეზიდენტმა ჩვენი 250-წლოვანი ისტორიის მანძილზე და ბევრი რამ ვისწავლე. ჩვენი რესპუბლიკის აღდგენისაკენ სავალი გზა მარტივი არ ყოფილა. **ვისაც სურდა საქმეში ხელი შეშლა, ცდილობდა, წაერთმია ჩემთვის თავისუფლება და, უფრო მეტიც — სიცოცხლე.** რამდენიმე თვის წინათ პენსილვანიის შესანიშნავ ველზე მკვლელის ტყვიამ ყური გამიხვრიტა. მაგრამ მე მაშინაც ვგრძნობდი და ახლა, მითუმეტეს, მჯერა, რომ სიკვდილს ასე უბრალოდ როდი გადავურჩი. **მე მიხსნა ღმერთმა, რათა ამერიკა კვლავ დიადი გავხადო!**

მადლობა, დიდი მადლობა!

ჩვენ ვიმოქმედებთ და გავირჯებით ყოველდღიურად, რათა ამერიკელი პატრიოტები ჩვენი წინამძღოლობით ღირსეულად და მედგრად შეხვდნენ ნებისმიერ კრიზისს. ჩვენ ვიმოქმედებთ სწრაფად და მიზანმიმართულად, რათა დავუბრუნოთ იმედი, უსაფრთხოება და მშვიდობა ყველა რასის, ფერის, რელიგიისა და აღმსარებლობის მოქალაქეს. **ამერიკელი მოქალაქეებისათვის 2025 წლის 20 იანვარი განთავისუფლების დღეა!**

იმედს გამოვთქვამ, რომ ჩვენი ამასწინანდელი საპრეზიდენტო არჩევნები დაამახსოვრდებათ, როგორც დიადი და ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. როგორც ჩვენმა გამარჯვებამ დაგვანახა, ერი მიზანმიმართულად ერთიანდება ჩვენი პროგრამის გარშემო, მკვეთრად მატულობს საზოგადოების ყველა ფენის მხარდაჭერა, იქნებიან ეს ახალგაზრდები თუ ხანდაზმულნი, მამაკაცები თუ ქალები, აფროამერიკელები, ესპანურენოვანი თუ აზიური წარმოშობის ამერიკელები, ქალაქებისა თუ სასოფლო რაიონების მცხოვრებნი და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, **ჩვენ მოვიპოვეთ დამაჯერებელი გამარჯვება შვიდივე მერყევ შტატში, ამასთან, მოვიგეთ არჩევნები მილიონი ხმის უპირატესობით.**

მინდა, მადლობა გადავუხადო შავკანიან და ესპანურენოვან საზოგადოებას, რომელმაც ხმის მიცემით გამოხატა კოლოსალური სიყვარული და ნდობა. მე მესმოდა თქვენი ხმა და მოუთმენლად ველი შესაძლებლობას, უახლოეს წლებში თქვენთან ერთად ვიმუშაო. დღეს **მარტინ ლუთერ კინგის** დღეა და ეს, მითუმეტეს, დიდი პატივი იქნება! ჩვენ გავაკეთებთ ისე, რომ მისი ოცნება რეალობად იქცეს!

ახლა ამერიკაში ბრუნდება ნაციონალური ერთობა, ხოლო რწმენა და სიამაყე ფართოდ შლის ფრთებს. ყველაფერში, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ჩემი ადმინისტრაცია ისულდგმულებს სრულყოფისა და წარმატებისაკენ ძალუმი სწრაფვით. ჩვენ არ დავივიწყებთ ჩვენს ქვეყანას, ჩვენ არ დავივიწყებთ ჩვენს კონსტიტუციას, ჩვენ არ დავივიწყებთ ჩვენს ღმერთს!

**დღეს მე ხელს მოვაწერ არაერთ ისტორიულ განკარგულებას. ამით ჩვენ დავიწყებთ ამერიკის სრულ აღორძინებას და საღი აზრის რევოლუციას.** უპირველეს ყოვლისა,

## ვაცხადებ საგანგებო მდგომარეობას სამხრეთ საზღვარზე, სადაც უმალ შეწყდება ყველა უკანონო შემოღწევა.

ჩვენ დავიწყებთ მილიონობით და მილიონობით დამნაშავე იმიგრანტის დაბრუნებას იქ, საიდანაც ჩამოვიდნენ. ჩვენ განვაახლებთ ჩემეულ პოლიტიკას — **„დარჩით მექსიკაში!“** და დავასრულებ არსებულ პრაქტიკას — **„დაიჭირეთ და გაუშვით!“** და მე გავგზავნი ჯარებს სამხრეთ საზღვარზე, რათა მოვიგერიოთ კატასტროფული შემოჭრა ჩვენს ქვეყანაში.

ჩემ მიერ ხელმოწერილი განკარგულებების საფუძველზე ჩვენ გამოვამზეურებთ საზღვარგარეთის ტერორისტულ ორგანიზაციათა კარტელებს. დავეყრდნობით რა 1798 წლის კანონს უცხოელი მტრების შესახებ ***(1798 წლის კანონი უცხოელებისა და ამბოხებისკენ მოწოდების შესახებ. რედ.)***, მე დავავალებ მთავრობას, გამოიყენოს ფედერალური და სახელმწიფო სამართალდამცავი ორგა-

# მე მიხსნა ღმერთმა, რათა ამერიკა კვლავ დიადი გავხადო!


დასასრული „გენერალისიმუსის“ ბოლო გვერდზე

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“, 2024 წლის №43-60; 2025 წლის №1-3*



მიხეილ ყვესელავა

## მკვლელობის ფანტაზია...

გერინგის ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო დახოცილი ადამიანების პირადი საკუთრება იყო. ამიტომაც „ჰკადრეს“ მას ასეთი კითხვა:

— იცოდით თუ არა თქვენ, საიდან მოდიოდა მილიონობით ნახმარი ტანისამოსი, ფეხსაცმელი, 20 952 ცალი საქორწინო ბეჭედი, 35 ვაგონი ძვირფასი ბეწვეული? არ კითხულობდით, საიდან? თქვენ ხომ მეურნეობას განაგებდით. ყველაფერი ეს თქვენს უწყებებში შედიოდა და თქვენს გამგებლობაში იყო. ვთქვათ, ცალკეულ ქაღალდებს არ კითხულობდით, არც საჩივრებს, თუნდაც ასეთს, თქვენი ხელქვეითები რომ ჩიოდნენ, ერთი ქალის „სასიკვდილოდ დამუშავებას“ ხუთი წუთი მიაქვს, რადგან წინასწარ თმები უნდა გადავპარსოთ ლეიბების გასაკეთებლად, რაც აბრკოლებს საქმესო...

აქ გერინგი აღელდა და ნიშნის მოგებით შეუბრუნა ბრალმდებელ მაქსუელ-ფაიფს:

— აბა, თქვენ როგორ გგონიათ, მე თუ მეურნეობის მთავარ მიმართულებებს განვაგებდი, ლეიბებისა და ტანისამოსის საქმეებშიც ვერეოდი?

— თქვენი მეგობარი ჰიმლერი არასოდეს დაგლაპარაკებიათ ამაზე?

გერინგს სულ ცეცხლი წაეკიდა და პროტესტი განაცხადა:

— ნუ ამბობთ, რომ ჰიმლერი ჩემი მეგობარია!

ამის საპასუხოდ მაქსუელ-ფაიფმა მსუბუქი ინგლისური ირონია მოიშველია:

— კარგი, მე ვიტყვი: „თქვენი მტერი ჰიმლერი“ „ან, უბრალოდ, „ჰიმლერი“. ხომ მიხვდებით, ვისაც ვგულისხმობ?

— დიახ, — მიუგო გერინგმა.

ჰიმლერისაგან თავის ამგვარი შორს დაჭერა გერინგს რას უშველიდა, როცა ყველა ანტისემიტური კანონი მის მიერ იყო ხელმოწერილი. გარდა ამისა, მას ჰაიდრიხის მიერ ვანზეეში ჩატარებული საგანგებო თათბირის უზარმაზარი ოქმი წაუკითხეს. ამ თათბირს ესწრებოდნენ: გესტაპოს უფროსი მიულერი, ანტიებრაულ ღონისძიებათა სპეციალისტი აიხმანი და დაინტერესებული სამინისტროების მეთაურები: როზენბერგის, ფრიკის, გერინგის, რიბენტროპის და სხვათა წარმომადგენლები. დღის წესრიგში აღნიშნულია ერთი საკითხი: „რაიხსმარშალ გერინგის დავალება ებრაელთა საკითხის საბოლოო გადაწყვეტის შესახებ“.

ჰაიდრიხმა განმარტა, რას ნიშნავს ეს „საბოლოო გადაწყვეტა“. ეს ნიშნავს თერთმეტი მილიონი კაცის მოსპობას, — მოკლედ მოჭრა მან. შემდეგ კი განაცხადა, რომ ამ ისტორიული ამოცანის გადასაწყვეტად საჭიროა „არაჩვეულებრივი ფანტაზია“ და რომ ამ საკითხის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული გერმანელთა საბოლოო გამარჯვება.

## გვამების კუბატურა...

საკონცენტრაციო ბანაკების მაქსიმალურ გამტარუნარიანობაზე რომ დაიწყეს ლაპარაკი, გამოირკვა, რომ ბელზენში დღეში 15 ათას კაცს ხოცავდნენ, ტრებლინკაში კი 25 ათასს. ამ „მძიმე სამუშაოებს“ უშუალოდ ასრულებდა გრუპენფიურერი გლობოჩნიკი. იგი პირადად მიილო ჰიტლერმა, რომელიც ამ საკითხით იყო დაინტერესებული.

დაც ორ მილიონამდე შემცირებაში რამე შეღავათს ხედავს.

ისე, კაცმა რომ თქვას, სადავო აქ, მართლაც, არაფერი იყო. პოლონეთის მთავრობის ოფიციალური ცნობის მიხედვით, ჰიტლერული ოკუპაციის პერიოდში, რაც 2 078 დღე გრძელდებოდა, ე.წ. „საგენერალ-გუბერნატოროში“ დახოცეს 6 მილიონ 28 ათასი კაცი. ყოველდღე იღუპებოდა 2 900 კაცი. მოკლეს 2 250 ათასი ბავშვი და ჭაბუკი 18 წლის ასაკამდე, დასახიჩრდა ნახევარი მილიონი პოლონელი, მილიონზე მეტი დაავადდა ტუბერკულოზით, ათასობით ადამიანი იტანჯებოდა ფსიქიკური დაავადებით.

•

— იცით თუ არა თქვენ რამე იმის შესახებ, რომ საკონცენტ-

ვნენ. იგივე ვაიან კუტიურიე ჰყვებოდა:

— სანტეს ბანაკში, ჩემს გვერდით საკანში იყო ცნობილი ფილოსოფოსი ჟორჟ პოლიცერი და ფიზიკოსი ჟაკ სოლომონი — პროფესორ ლანჟევენის სიძე. სოლომონს ნაციონალ-სოციალიზმის იდეების დასაცავი ბროშურების დაწერა დაავალეს. მან უარი თქვა ასეთ „საპატიო“ დავალებაზე. აწამეს, ტანჯეს, სიკვდილითაც დაემუქრნენ, მაგრამ ის მაინც არ გატყდა. ამის გამო ისე მიასიკვდილეს საკონცენტრაციო ბანაკში, რომ განძრევაც არ შეეძლო. მერე დახვრეტა მიუსაჯეს, ხოლო მის მეუღლეს — ლანჟევენის ქალიშვილს, დამშვიდობების ნება მისცეს. როცა იგი ეზოში შევიდა და მოეხვია ქმარს, სოლომონმა უთხრა:

— მე ვეღარ მოგეხვევი, ძვირ-

ლი ბანაკი“, რომელსაც ხუმრობით „ედემის ბაღს“ უწოდებდნენ. მოწმე გეორგ მორგენი ჰყვებოდა:

— ბანაკში ჰქონდათ საფოსტო განყოფილება, იყო სამკითხველო, კინო, ვარიეტე, იმართებოდა სპორტული შეჯიბრებები. აქვე იყო გახსნილი ბორდელი...

სიტყვა „ბორდელი“ ლოურენსსაც ჩაესმა, მაშინვე ყური ცქვიტა და ბიდლს ჰკითხა:

— რა, რაო? რა ჰქონდათო?!

ბიდლმა უჩურჩულა:

— ედემის ბაღიო...

— რაო?! — მაინც ვერ გაიგო ლოურენსმა.

— ბორდელიო, გაიგე, ბორდელიო, — დაუზუსტა ბიდლმა.

ამ დროს მიკროფონი ჩართული იყო და ეს საუბარი მთელმა დარბაზმა გაიგონა...

...ერთხელ ამ „ედემის ბაღზე“

# ას ერგასის

გლობოჩნიკი „აღფრთოვანებული“ რომ დაბრუნდა იქიდან, ჰკითხეს:

— რა თქვა ამაზე ფიურერმა?

— ჩქარა, ჩქარა, ჩქარა, რაც შეიძლება ჩქარა ჩაატარეთ ეს ოპერაციაო.

ფიურერის ერთმა მხლებელმა იკითხა თურმე:

— გლობოჩნიკ, როგორ გგონიათ, გვამების დამარხვას დაწვა არ სჯობია? თორემ ჩვენს შემდეგ მოვლენ თაობები და ვერ გაიგებენ ამას.

ამაზე გლობოჩნიკს უპასუხია:

— თუ ჩვენს შემდეგ მოვლენ ისეთი გაოხრებული და სუსტძვლებიანი (Knochenweich) თაობები, რომლებიც ამას ვერ გაიგებენ, ნაციონალ-სოციალიზმი დაიღუპება. მე კი მგონია, ისინი იამაყებენ ამით და იტყვიან, რომ ჩვენ, ვინც ეს გავაკეთეთ, მამაცური თაობა ვიყავით.

ფიურერი აღტაცებაში მოუყვანია გლობოჩნიკის სიტყვებს და უთქვამს:

— ყოჩაღ, გლობოჩნიკ! ჩემი შეხედულებაც ასეთია!..

მერე იმაზე უსაუბრიათ, თუ ერთმანეთზე დაწყობილი რამდენი გვამი დაიკავებს კუბიკურ მეტრს...

ყველაფერი ეს გაფორმებულია ოქმში. ბრალმდებლები კითხულობენ ამ ოქმებს, აქვეყნებენ ჯალათების დღიურებს, ისმენენ დამსწრეთა ჩვენებებს. ბრალდებულები წრიალებენ, შუბლიდან ოფლს იწმენდენ. ბრალმდებლები და დამცველები კი ციფრებზე დავობენ — 6 მილიონი დახოცეს თუ ნაკლები, ვითომ ამას რამე შემამსუბუქებელი მნიშვნელობა ჰქონდეს! ის კი არა, უფრო გვიან გერმანელი მწერალი დირკსი წერდა:

— შეურაცხმყოფელია, რომ ქვეყნად არის გერმანელი, რომელიც ამ ექვსი მილიონის თუნ-

რაციო ბანაკის ტუსაღებს ცხელი შანთით ასვამდნენ დაღს? — ჰკითხეს ვაიან კუტიურიეს.

— დიახ, — მიუგო მან, ხელი ასწია და ტრიბუნალს უჩვენა ასეთი ამოშანთული დაღი.

გასაოცარ ამბებს ჰყვებოდა იგი:

— ტუსაღების ფეხსაცმლები მალე ცვდებოდა და ისინი ფეხშიშველნი რჩებოდნენ. ზამთარში მათი ასე წაყვანა სამუშაოზე არ შეიძლებოდა, რადგან ფეხი მაშინვე ეყინებოდათ. ამიტომ, ვინც დილის ამოძახებაზე ფეხშიშველი გამოდიოდა, მაშინვე 25-ე ბლოკში აგზავნიდნენ, იქიდან კი გაზკამერასა და კრემატორიუმში...

ასეა. ტუსაღის სიცოცხლეს მხოლოდ მაშინ ჰქონდა ორიოდე გროშის ფასი, თუ მუშახელად გამოდგებოდა, არადა... არავითარი!.. მაშინაც კი, როცა ის ტუსაღები საყოველთაოდ ცნობილი პიროვნებები იყ-

ფასო, რადგან მკლავები დამტვრეული მაქვს...

მერე დიუბოსტმა მოწმე ექიმი ალფრედ ბალახოვსკი დაჰკითხა, რომელმაც ტრიბუნალს უამბო, თუ როგორ აძრობდნენ ტუსაღებს ტატუირებულ ტყავს, როგორ „ამუშავებდნენ“ და საჩუქრებად არიგებდნენ ლამაზი ყდებისა და აბაჟურების გასაკეთებლად. იქვე აწარმოებდნენ არამარტო მოხატულ, არამედ მოთრიმლულ ტყავსაც.

— მაშასადამე, ტყავს ცოცხალს აძრობდნენ? — იკითხა ისევ დიუბოსტმა.

— დიახ, ჯერ აძრობდნენ და მერე თრიმლავდნენ, — მიუგო მან.

## ედემის ბაღი...

ბუჰენვალდში ხშირად მოჰყავდათ სტუმრები, მათ შორის უცხოელებიც, რომ ეჩვენებინათ „სანიმუშო გამასწორებე-



ჰიმლერი დახაუს საკონცენტრაციო ბანაკში

საპროპაგანდო ფილმის გადაღებაც განიზრახეს და ეს სამარცხვინო საქმე ჰიტლერის ფავორიტ კინორეჟისორს, ლენი რიფენშტალს დაავალეს. გადაღების დღისთვის დადგეს მაკეტები: სამზარეულო, სასადილო, კლუბი, საბავშვო ბაგა. მოიყვანეს ჯერ კიდევ კარგი შესახედაობის ტუსაღი კაცები და ქალები, დაბანეს, გაკრიჭეს, სადღესასწაულოდ გამოაწყვეს და უბრძანეს, ფრენბურთი ეთამაშათ, ესეირნათ ან ბანაკის სიმფონიური ორკესტრისათვის მოესმინათ. გაოგნებული პატიმრები სიამოვნებით ასრულებდნენ ამ „მსახიობურ დავალებას“, ოპერატორები კი იღებდნენ მათ „ხალისიან ცხოვრებას ედემის ბაღში“...

გადაღება რომ დამთავრდა, „მსახიობები“ გაზკამერებში შერეკეს, კრემატორიუმებში დაწვეს და კვამლს გაატანეს. იმ ფილმს კი დიდხანს ატრიალებდნენ უცხოელების წინაშე. ისიც დამახასიათებელია, რომ ომის მიწურულში რეჟისორმა რიფენშტალმა სთხოვა აიხმანს, დამარცხების შემთხვევაში, მოესპო ამ ფილმის ყველა ეგზემპლარი, არა იმ ფილმებისა, სადაც მის მიერვე საკონცენტრაციო ბანაკების საშინელებები იყო გადაღებული, არამედ ეს „სამოთხის იდილია“. როგორც ჩანს, რიფენშტალს იმდენი სინდისი მაინც შერჩა, რომ ეს „მომხიბვლელი ტყუილი“ უფრო სამარცხვინოდ მიეჩნია, ვიდრე ის საშინელი სიმართლე...

## ბელურების დაბრუნება...

დარბაზში შემოიყვანეს ფოტოგრაფი ფრანსუა ბუა, რომელიც სურათებს იღებდა მაუთჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში, „ზემოთ“ გასაგზავნად. ჩვენთან ფოტოგანყოფილებაც იყო, თქვა მან.

დარბაზში სინათლე ჩააქრეს და ეს სურათები უჩვენეს დიაპოზიტივებით. მოწმე ბუა გზადაგზა კომენტარებსაც აკეთებდა.

— ეს არის „მასკარადი“, რაც ბანაკში მოაწყვეს, — ამბობდა იგი, — ერთი ავსტრიელი ტუსაღი დურგლად მუშაობდა. მან გააკეთა ყუთები, რითაც გვამები გაჰქონდათ ბანაკიდან. ის და მისი მეგობრები ფიქრობდნენ, ამ ყუთებში ჩაწოლილიყვნენ და ისე გაპარულიყვნენ. დაიჭირეს და „მასკარადი“ მოუწყვეს: დასვეს გვამების გასატან ური-

# დღე

კაზე, რასაც ასეთი წარწერა ჰქონდა: „ყველა ბეღურა დაბრუნდა“. ასე ჩაატარეს ისინი ათი ათასი ტუსაღის წინაშე და ჩამოახრჩვეს.

საკონცენტრაციო ბანაკის ორკესტრი უკრავდა ცნობილ პოლკას „ბეერ-ბარელს“...

...ეკრანზე სწორედ ეს „ბეღურების დაბრუნება“ უჩვენეს. შემდეგ უამრავი სხვაც. ყველაფერი საშინელება იყო, გარყვნილი სადისტური გონების ისეთი ამაზრზენი ნაყოფი, რომ შეძრწუნებულმა მოსამართლეებმაც ვერ გაუძლეს ამის ყურებას. ლოურენსმა თავი ჩაქინდრა, ბიდლმა ხელი აიფარა თვალებზე, „რესპექტაბელურმა“ ბრალდებულებმა ისევ ზურგი შეაქციეს ეკრანს.

— ვინ გადაიღო ეს სურათები? — ეკითხება ბუას დიუბოსტი.

— ესესის ობერშარფიურერმა, პროფესორმა (!) პაულ რიკერმა, — უპასუხებს მოწმე.

შემდეგ აჩვენეს ისევ რიკერის მიერ გადაღებული სურათი: ვიღაც ტუსაღი თავს იხრჩობს. ჩაბნელებულ დარბაზში გაისმა მოწმის ხმა:

— ეს ტუსაღია, რომელიც ჯერ სასტიკად აწამეს, შემდეგ კი ათი წუთი მისცეს თავის ჩამოსახრჩობად, წინააღმდეგ შემთხვევაში უფრო საშინელ წამებას დაემუქრნენ. ტუსაღმა საკუთარი ქამრით ჩამოიხრჩო თავი...

მერე ისევ სურათები:

...ესესელები ულოცავენ კომენდანტ ცირაისს დაბადების დღეს...

...ბანაკს ათვალიერებს ჰიმლერი...

კაუფმანმა გაიხარა: ისევ ჰიმლერი!..

მაგრამ... აი სხვა ფოტო! ეკრანიდან იყურება ჰიმლერი და... ობერგრუპენფიურერი კალტენბრუნერი. იქვეა კომენდანტი ცირაისი...

**დიუბოსტი:** ეს სურათიც ბანაკშია გადაღებული? ვინ გადაიღო ის?

**ბუა:** ისევ იმ ობერშარფიურერმა პაულ რიკერმა. ეს იყო 1941 წელს. მაშინ ეს ვაჟბატონი *(მოწმემ კალტენბრუნერზე მიუთითა)* ხშირად მოდიოდა ბანაკში.

**დიუბოსტი:** თქვენ ამტკიცებთ, რომ ეს კალტენბრუნერია? *(თითით უჩვენებს ფოტოზე)*

**ბუა:** დიახ, ვამტკიცებ!

**დიუბოსტი:** თქვენ ადასტურებთ აგრეთვე, რომ ეს ფოტო საკონცენტრაციო ბანაკშია გადაღებული?

**ბუა:** დიახ, მე ვადასტურებ ამას.

**დიუბოსტი:** იცნობთ თუ არა თქვენ ბრალდებულთა შორის კიდევ ვინმეს, ვინც მოდიოდა მაუთჰაუზენის ბანაკში?

**ბუა:** შპეერს!

დარბაზი მოულოდნელობისაგან გაქვავდა: კალტენბრუნერი — ჰო, მაგრამ შპეერი?!

— როდის ნახეთ იგი? — ეკითხება გაოცებული დიუბოსტი მოწმეს.

**ბუა:** იგი მოვიდა მაუთჰაუზენში 1943 წელს, ახალი კორპუსების მშენებლობის საკითხებზე. იყო მაუთჰაუზენის ქვასატეხშიც. პირადად მე ეს არ მინახავს, მაგრამ რიკერმა გადაიღო მთელი კოჭი ფირისა ამის შესახებ, რაც მე გავამჟღავნე ლაბორატორიაში. ამ ფირზე ვიცანი შპეერი და სხვა ესესელები, რომლებიც მას ახლდნენ. შპეერს ღია ფერის კოსტიუმი ეცვა...

**დიუბოსტი:** ფოტოფირზე, რომელიც თქვენ გაამჟღავნეთ, იცანით შპეერი?

**ბუა:** დიახ. მე ვიცანი შპეერი 36 სურათზე, რაც ობერშარფიურერმა პაულ რიკერმა გადაიღო 1943 წელს მაუთჰაუზენის ქვასატეხებში. ფოტოებზე მას ძალიან კმაყოფილი სახე ჰქონდა. იყო ისეთი ფოტოებიც, სადაც ხელს ართმევდა და რაღაცას ულოცავდა ობერშტურმბანფიურერ ფრანც ცირაისს. ცირაისი მაშინ მაუთჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკის უფროსად მუშაობდა.

შპეერი საბრალდებო სკამზე ისე დაპატარავდა, რომ ერთ მუჭში ჩაეტეოდა. სამაგიეროდ, კალტენბრუნერს დასთამაშებდა სახეზე კმაყოფილების ღიმილი. შპეერს ხომ „ჯენტლმენ“ ბრალდებულად თვლიან კოლეგები, აქ კი... ჰიმლერისა და კალტენბრუნერის კომპანიაში!..

ის ცირაისი, რომელსაც იგი მეგობრულად ართმევდა ხელს, თვითონ აწამებდა ტუსაღებს და ისე სასტიკად, რომ ჰოსიც კი ვერ შეედრებოდა მას...

...ჯვარედინ დაკითხვაში ახლა საბჭოთა ბრალმდებელი რუდენკო ჩაერია:

— გთხოვთ, გვიამბოთ საბჭოთა სამხედრო ტყვეების შესახებ მაუთჰაუზენში...

— პირველი საბჭოთა სამხედრო ტყვეები მოიყვანეს 1941 წელს, — დაიწყო ბუამ, — სულ 2 ათასი კაცი. ისინი ისე იყვნენ დასუსტებულნი, რომ ძლივს ინძრეოდნენ. მიუხედავად ამისა, იმ დღეს ბანაკში ყველგან დადგეს ტყვიამფრქვევები, რადგან რამე ექსცესებს მოელოდნენ მათგან. ზამთარი იყო, 10 გრადუსი ყინვა, მაგრამ პერანგისა და შარვლის გარდა სხვა ტანსაცმელი ჩამოართვეს და ისე შეყარეს ფარდულებში. საჭმელს თითქმის არ აძლევდნენ, აწამებდნენ და, ვისაც ჯერ კიდევ შეეძლო რამის გაკეთება, უმძიმეს სამუშაოს ასრულებინებდნენ. ჩქარა იმ ორი ათასი კაციდან დარჩა 30 კაცი. მე მაქვს გადაღებული მათი ფოტოსურათები.

**რუდენკო:** თქვენ გაქვთ ეს ფოტო?

**ბუა:** დიახ, მე ის გადავეცი ბატონ დიუბოსტს...

...შემოიყვანეს მოწმე ალოიზ ჰელრიგელი, ესეც მაუთჰაუზენიდან, მაგრამ არა ყოფილი ტუსაღი, არამედ ესესის უნტერშარფიურერი, რომელიც ბანაკის დაცვაში მსახურობდა.

**ეიმენი:** თქვენ მიეცით ჩვენება, რომ ბანაკში ნახეთ კალტენბრუნერი. ასეა ეს თუ არა?

**ჰელრიგელი:** დიახ!

**ეიმენი:** რომ იგი პირადად გაეცნო გაზკამერის მუშაობას?

**ჰელრიგელი:** დიახ!

**ეიმენი:** ხომ არ გქონდათ შემთხვევა, გენახათ საკონცენტრაციო ბანაკში სხვა მნიშვნელოვანი პირები?

**ჰელრიგელი:** მახსოვს, რომ იყვნენ პოლი, გლიუკსი, კალტენბრუნერი, ფონ შირახი და შტირიის გაულაიტერი.

**ეიმენი:** თქვენ პირადად ნახეთ მაუთჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში შირახი?

**ჰელრიგელი:** დიახ, ვნახე.

**ეიმენი:** დაგამახსოვრდათ მისი გარეგნობა ისე, რომ შეგიძლიათ, იცნოთ?

**ჰელრიგელი:** მე მგონი, ბოლო დროს იგი შეიცვლებოდა, მაგრამ, ვფიქრობ, მაინც ვიცნობ.

**ეიმენი:** როდის ნახეთ თქვენ იგი?

**ჰელრიგელი:** ეს იყო 1942 წლის შემოდგომით. შემდეგ მე იგი არ მინახავს.

**ეიმენი:** მიიხედეთ საბრალდებო სკამებისაკენ და თქვით, ცნობთ თუ არა შირახს?

**ჰელრიგელი:** დიახ!

**ეიმენი:** სად არის იგი?

**ჰელრიგელი:** იგი ზის მეორე რიგში, მარცხნიდან მესამე.

აქ დაკითხვაში შირახის დამცველი ზაუტერი ჩაერია.

**ზაუტერი:** თქვენ ნახეთ ბრალდებული შირახი მაუთჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში? და თუ ნახეთ, რამდენჯერ?

**ჰელრიგელი:** მე კარგად მახსოვს, რომ ეს იყო ერთხელ.

**ზაუტერი:** ერთხელ?

**ჰელრიგელი:** დიახ!

**ზაუტერი:** მაშინ შირახი მარტო იყო თუ კიდევ ახლდა ვინმე?

**ჰელრიგელი:** შირახს ახლდნენ სხვებიც. დაახლოებით 10 კაცი. მათ შორის მე ვიცანი გაულაიტერი ნიბერნაიტერი.

**ზაუტერი:** მგონი, იქ იყო არა ათი, არამედ 20 კაცი.;

**ჰელრიგელი:** იცით რა, მე მაშინ არ დამითვლია, რადგან არ ვიცოდი, თუ ეს დამჭირდებოდა.

დარბაზში ერთსულოვანი სიცილი გაისმა...

... შემდეგ ჰელრიგელს წინ მაუთჰაუზენში გადაღებული კიდევ ერთი ფოტო დაუდეს.

**ეიმენი:** შეგიძლიათ თუ არა, გამოიცნოთ, ვინ არის ამ სურათზე გადაღებული?

**ჰელრიგელი:** ამ ფოტოზე მე, უწინარეს ყოვლისა, ვცნობ ესესის რაიხსფიურერ ჰიმლერს, მის გვერდით დგას მაუთჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკის კომენდანტი ცირაისი, მარჯვნივ — კალტენბრუნერი...

... შემდეგ ჩეხი ექიმი ფრანც ბლახა დაჰკითხეს. იგი ხუთიოდე წელი იყო დახაუში.

**დოდი:** დოქტორო ბლახა, თქვენი პატიმრობის დროს ბანაკი ნახა ვინმემ?

**ბლახა:** ჩვენს ბანაკში ისე ბევრი მნახველი მოდიოდა, რომ ტუსაღები ამბობდნენ, გამოფენაზე ვართ ზოოპარკშიო. იყვნენ ექსკურსანტებიც სამხედრო უწყებებიდან, სამედიცინო დაწესებულებებსა და სკოლებიდანაც კი. გარდა ამისა, ბანაკში ხშირად მოდიოდნენ პოლიციიდან და ესესიდან, ბორმანის კანცელარიიდან და სახელმწიფო მოღვაწეებიც. ჩვენთან ყოველთვიურად ტარდებოდა ინსპექცია. ასეთ ინსპექციას უმთავრესად ატარებდა საკონცენტრაციო ბანაკების გენერალ-ინსპექტორი ობერგრუპენფიურერი პოლი, შემდეგ — პროფესორი (!) გრავიცი, შტანდარტენფიურერი დოქტორი ლოლინგი და სხვები.

**დოდი:** მოდიოდნენ თუ არა ბანაკში მთავრობის მსხვილი მოხელეები და თქვენ თვითონ თუ გინახავთ რომელიმე მათგანი?

**ბლახა:** როცა იქ ვიყავი, დახაუში, ბევრი ასეთი პიროვნება მოდიოდა. უფრო ხშირად — რაიხსფიურერი ჰიმლერი... მე ვნახე სხვაც — სამი მინისტრი, ორჯერ — იტალიელი ოფიცრები, ერთხელ — იაპონელი.

**დოდი:** არ გახსოვთ სახელები მთავრობის იმ მსხვილი მოხელეებისა?

**ბლახა:** ჰიმლერის გარდა, ბანაკში იყვნენ ბორმანი, გაულაიტერები — ვაგნერი და ჰისლერი, შემდეგ მინისტრი ფრანკი, როზენბერგი, ფრიკი, ფუნკი, ზაუკელი, კალტენბრუნერი, გენერალი დალიუგე და სხვები. ისინი ათვალიერებდნენ ბანაკს, რაშერის ლაბორატორიას, სადაც ცოცხალ ადამიანებზე ახდენდნენ ცდებს. მათ აჩვენებდნენ აგრეთვე ადრე ცნობილ პიროვნებებს: ვენის ბურგომისტრს დოქტორ შმიდტს, უმაღლეს ჩეხ ოფიცერს, კათოლიკურ ეპისკოპოსს, უნივერსიტეტის პროფესორს და სხვებს...

...დამცველები აწრიალდნენ, ასეთი ჩვენებები მთელ მათ გეგმებს ფუშავდა. ცუდ დღეში იყვნენ ბრალდებულებიც, არასოდეს არაფერი გაგვიგონია საკონცენტრაციო ბანაკებზეო, რომ ამბობდნენ. ბლახას ჯერ ფუნკის დამცველმა ზაუტერმა მისცა შეკითხვა, მერე როზენბერგის დამცველმა თომამ, ფრიკის დამცველმა პანენბეკერმა და სხვებმაც. ისინი ეკითხებოდნენ მოწმეს, რა მანძილიდან ნახეთო, რა ფორმა ეცვათო, ადრე ფოტოებზე თუ გინახავთო და სხვ. მოწმე არ დაიბნა და ყველას სათანადო პასუხი გასცა. ასე, მაგალითად, როზენბერგის დამცველმა თომამ ჰკითხა:

— რა მანძილიდან ნახეთ როზენბერგი?

— იგი მოდიოდა 30-40 ნაბიჯის დაშორებით.

თომამ შეატრიალა:

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ ეს იყო 30-40 მეტრის დაშორებით?

— არა, მე მინდა ვთქვა, 30-40 ნაბიჯისა...

ბრალდებულები, რა თქმა უნდა, უარყოფდნენ ამას, მაგრამ რა! ვთქვათ, როზენბერგი მართლა არ ყოფილიყო. მისი „სამფლობელო“ — საბჭოთა კავშირის დროებით დაპყრობილი ტერიტორიები სულ საკონცენტრაციო ბანაკებით არ იყო დაფარული? ან რა ისეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სასამართლო პროცესისათვის, პირადად ჰქონდათ დათვალიერებული საკონცენტრაციო ბანაკები თუ არა. ისედაც ხომ ცხადი იყო, რომ მთელი ეს საშინელება მათი ხელმძღვანელობით ხდებოდა! ამიტომ იყო, თავმჯდომარე ლოურენსიც რომ ჩაერია დაკითხვაში და დამცველ თომას უთხრა:

— გთხოვთ, მაპატიოთ, თუ შენიშვნას მოგცემთ... განა საჭიროა, ტრიბუნალს ამდენი დრო წაართვათ ასე უმნიშვნელო კითხვებით?..

...უფრო კურიოზული ის იყო, რომ ამ დაკითხვაში ესესისა და ესდეს დამცველი ბაბელიც ჩაერია... დიახ, იყო ასეთი ოდიოზური ფიგურაც: ესესის დამცველი! იგი ვითომ ცდილობდა, დაედგინა, ესესელი მცველები ნამდვილად „უდიერად“ ეპყრობოდნენ ტუსაღებს თუ არა. ბლახამ დააკმაყოფილა მისი „სურვილი“ და ამ „უდიერი მოპყრობის“ ისეთ შემაძრწუნებელ ფაქტზე მიუთითა, რომ ბაბელმა უცებ შეწყვიტა მისი დაკითხვა.





მაუთჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში



## რეპორტაჟი ნიურნბერგის პროცესიდან ★

გაგრძელება შემდეგ ნომერში

***დასაწყისი „გენერალისიმუსის“ პირველ გვერდზე***

ნოების ვებერთელა შესაძლებლობანი ყველა უცხოური ბანდიტური თუ დანაშაულებრივი ქსელის ლიკვიდაციისათვის ამერიკულ მიწაზე.

როგორც უმაღლეს მთავარსარდალს, მე არ გამაჩნია იმაზე მაღალი პასუხისმგებლობა, ვიდრე დავიცვა ქვეყანა მუქარებისა და შემოჭრებისაგან. **მე ვუბრძანებ ჩემი კაბინეტის ყველა წევრს, მოახდინოს უზარმაზარ უფლებამოსილებათა მობილიზება, რათა დაძლეულ იქნას რეკორდული ინფლაცია, სწრაფად შემცირდეს ხარჯები და დაიწიოს ფასებმა.** ინფლაცია გამოწვეული იყო მასშტაბური გადახარჯვებით და ენერგომატარებლებზე ფასების ზრდით. აი, რატომ ვაცხადებ დღეს საგანგებო მდგომარეობას ენერგეტიკის სფეროშიც. ჩვენ გავაგრძელებთ ბურღვას, დიახ, ბურღვას!

**ამერიკა კვლავ გახდება მწარმოებელი ქვეყანა!** ჩვენ გვაქვს ის, რაც არასოდეს ექნება არცერთ სხვა მწარმოებელ სახელმწიფოს — ნავთობისა და გაზის ყველაზე დიდი მარაგი დედამიწაზე — და ჩვენ ვაპირებთ, გამოვიყენოთ ყოველივე ეს!

**ჩვენ დავწევთ ფასებს, გადავავსებთ სტრატეგიულ მარაგებს და მოვახდენთ ამერიკული ენერგიის ექსპორტს მთელ მსოფლიოში!**

ჩვენ კვლავ ვიქნებით მდიდარი ქვეყანა, რაშიც ხელს შეგვიწყობს ჩვენს ფეხებქვეშ არსებული თხევადი ოქრო! ჩვენ წერტილს დავუსვამთ ახალ მწვანე კურსს ***(იგულისხმება ბაიდენის მწვანე ინიციატივები, მათ შორის, ტრადიციულ საწვავზე მომუშავე ავტომობილების რაოდენობის მკვეთრი შემცირება. რედ.)*** და გავაუქმებთ მანდატს ელექტრომობილების წარმოებაზე, **რითაც გადარჩება ჩვენი მანქანათმშენებლობა** და შევასრულებ დიადი ამერიკელი ავტომუშაკებისათვის მიცემულ წმინდა პირობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **თქვენ შეძლებთ, საკუთარი არჩევანის მიხედვით შეიძინოთ ავტომობილები, რომლებსაც ვაწარმოებთ ისეთი ტემპებით, რაზეც რამდენიმე წლის წინათ ვერავინ იოცნებებდა.** და მადლობა ჩვენი ქვეყნის ავტომწარმოებლებს სტიმულის მომცემი ნდობისათვის, მათი ხმების დახმარებით ჩვენ უდიდეს წარმატებებს მივაღწიეთ.

მე დაუყოვნებლივ დავიწყებ ჩვენი სავაჭრო სისტემის გარდაქმნას, რათა დავიცვა ამერიკელი მუშები და მათი ოჯახები. **იმის ნაცვლად, რომ უცხო ქვეყნების გასამდიდრებლად გადასახადებით დავხუნძლო ჩვენი მოქალაქენი, მათი კეთილდღეობის ასამაღლებლად დავაწესებთ ვალდებულებებსა და გადასახადებს საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის.** ამ მიზნით შევქმნით **საგარეო შემოსავლების სამსახურს** და თავს მოვუყრით უზარმაზარ თანხებს, რომლებიც ჩვენს ხაზინაში უცხოური წყაროებიდან შემოვა.

**ამერიკული ოცნება მალე დაბრუნდება და აყვავდება, როგორც არასოდეს აქამომდე!**

ფედერალური მთავრობის კომპეტენტურობისა და ეფექტურობის აღსადგენად, ჩემი ადმინისტრაცია შექმნის **მთავრობის ეფექტურობის ახალ დეპარტამენტს.** ამავე ფედერალური მთავრობის მიერ აზრის გამოთქმის მრავალწლოვანი უკანონო და არაკონსტიტუციური შეზღუდვის შემდეგ

**მე ასევე მოვაწერ ხელს განკარგულებას სამთავრობო ცენზურის**




**აშშ-ის 47-ე პრეზიდენტის საინაუგურაციო სიტყვა. ვაშინგტონი. 2025 წლის 20 იანვარი**

## *დონალდ ტრამპი:*

# ამერიკული ოცნება მალე დაბრუნდება და აყვავდება, როგორც არასოდეს აქამომდე!

**დაუყოვნებლივ აკრძალვის შესახებ, რაც დააბრუნებს ამერიკაში სიტყვის თავისუფლებას!**

ამიერიდან აღარასოდეს იქნება გამოყენებული სახელმწიფოს უზარმაზარი ძალაუფლება პოლიტიკური ოპონენტების დევნის მიზნით, რის შესახებაც მე ბევრი რამ ვიცი. **ჩემი ხელმძღვანელობით აღდგება თანასწორუფლებიანი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულება, დაფუძნებული უზენაეს კონსტიტუციურ სამართლიანობაზე. და ჩვენ დავაბრუნებთ კანონსა და წესრიგს ჩვენს ქალაქებში!**

ამ კვირაში მე წერტილს დავუსვამ საზოგადოებრივი და კერძო ცხოვრების ყველა სფეროში რასისა და სქესის სოციალური ჩართულობის სამთავრობო პოლიტიკას. **ჩვენ შევქმნით საზოგადოებას, რომელიც არ განასხვავებს ადამიანებს კანის ფერის მიხედვით და დაფუძნებული იქნება მხოლოდ მათ დამსახურებაზე.** დღეიდან აშშ-ის მთავრობის ოფიციალური პოლიტიკა იქნება, რომ არსებობს მხოლოდ ორი სქესი (გენდერი): **მამრობითი და მდედრობითი!**

ამ კვირაში მე თანამდებობაზე აღვადგენ და სრულიად ავუნაზღაურებ განაცდურს ჩვენი შეიარაღებული ძალებიდან უსამართლოდ დათხოვნილ ყველა სამხედრო მოსამსახურეს, რომელმაც უარი განაცხადა **კოვიდის საწინააღმდეგო იძულებით ვაქცინაციაზე.** მე ხელს მოვაწერ ბრძანებას, რომ ჩვენი მებრძოლები არ გაიხლართებიან რადიკალურ პოლიტიკურ თეორიებსა და სოციალურ ექსპერიმენტებში თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. ჩვენი შეიარაღებული ძალები კონცენტრირებული იქნება ერთადერთი მისიის გარშემო — გაიმარჯვოს ამერიკის მტრებზე!

**როგორც 2017 წელს, ჩვენ კვლავ შევქმნით ყველაზე ძლიერ არმიას, რომელიც ოდესმე უნახავს მსოფლიოს. ჩვენ შევაფასებთ ჩვენს წარმატებებს არამარტო ბრძოლებში მიღწეული წარმატებებით, არამედ იმ ომებითაც, რომლებსაც დავასრულებთ და, რაც მთავარია, ომებით, რომლებშიც არასოდეს ჩავერთვებით!**

ჩემი ყველაზე საამაყო მემკვიდრეობა იქნება **მშვიდობისმყოფელისა** და **გამაერთიანებლის** სახელი. აი, ვინ მინდა, ვიყო მე — **მშვიდობისმყოფელი და გამაერთიანებელი!** მოხარული ვარ, გაუწყოთ, რომ უფლებამოსილებაში შესვლამდე ერთი დღით ადრე მძევლები ახლო აღმოსავლეთში საკუთარ სახლებს დაუბრუნდნენ. მადლობა ამისათვის!

**ამერიკა დაიბრუნებს დედამიწაზე ყველაზე დიადი, ყველაზე მძლავრი და ყველაზე პატივსაცემი ქვეყნის კანონიერ სახელს!** ძალიან მალე ჩვენ შევცვლით **მექსიკის ყურის** დასახელებას და მას **ამერიკის ყურე** დაერქმევა. ჩვენ დავუბრუნებთ დიადი პრეზიდენტის **უილიამ მაკ-კინლის** სახელს მაკ-კინლის მწვერვალს, რომელსაც ის დამსახურებულად უნდა ატარებდეს. **პრეზიდენტმა მაკ-კინლიმ** ჩვენი ქვეყანა არნახულად მდიდარი გახადა გადასახადებისა და თავისი ტალანტის წყალობით. მან მისცა ფული **თეოდორ რუზველტს** ბევრი დიადი საქმისათვის, **პანამის არხის** ჩათვლით, რომელიც სულელურად გადაეცა პანამას. არადა, აშშ-მა დაკარგა 38 ათასი ადამიანი ამ არხის მშენებლობის დროს. ამასთან, ჩვენ ძალიან ცუდად მოგვექცნენ, ამ სულელური საჩუქრის გამო, რომელიც არაფრით არ უნდა გაგვეღო. პანამის დაპირებაც დაირღვა, რის გამოც მიზანი და არსი ამ გარიგებისა სრულად გაცამტვერდა. დღეს ამერიკული ხომალდები იხდიან სერიოზულ ფასნამატს და ეს ეხება ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალებსაც. რაც მთავარია, **არხის მართვას ახდენს ჩინეთი, რომლისთვისაც ჩვენ იგი არ გადაგვიცია. ახლა ჩვენ უკან ვიბრუნებთ მას და ჩემი გზავნილი ამერიკელებისადმი იმაში მდგომარეობს, რომ დადგა დრო, კვლავ ვიმოქმედოთ ისტორიაში უდიდესი ცივილიზაციის გამბედაობით, ენერგიითა და სასიცოცხლო ძალით!** ჩვენ ვერ შეგვაჩერებენ და ერთობლივად მოვუღებთ ბოლოს ეპიდემიებსა და ქრონიკულ დაავადებებს, ხოლო ბავშვებს ავადმყოფობებისაგან უსაფრთხო გარემოში ვამყოფებთ.

ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ ჩაითვლება მზარდ ქვეყნად, რომელიც განამრავლებს ჩვენს სიმდიდრეებს, გააფართოვებს ჩვენს ტერიტორიებს, ააგებს ქალაქებს და აიტანს ჩვენს დროშას ახალ ჰორიზონტებზე.

**და ჩვენ მივყვებით ჩვენს აშკარა სწრაფვასა და დანიშნულებას ვარსკვლავებისაკენ, საითკენაც გავუშვებთ ამერიკელ ასტრონავტებს, რათა აღვმართოთ ჩვენი ვარსკვლავზოლოვანი დროშა პლანეტა მარსზე!**

ამბიცია დიადი ნაციის სასიცოცხლო ძალაა! დღეს ჩვენი ერი ამბიციურია სხვა ყველა ერთან შედარებით! არ არსებობს ისეთი ერი, როგორიც ჩვენია! ამერიკელები არიან მკვლევარები, მშენებლები, ნოვატორები, მეწარმეები და პირველგამკვალავნი. ფრონტირის სული ***(ინგ. Frontier — აშშ-ის დასავლეთ ტერიტორიების ათვისების ისტორიული ზონა ან სხვადასხვა რასებისა და რელიგიების, არამსგავსი ენებისა და ცხოვრების განსხვავებული სტილების გადაკვეთის ადგილი. რედ.)*** ჩაბეჭდილია ჩვენს გულებში. გვიხმობენ ახალი და დიადი თავგადასავლები. ჩვენმა წინაპრებმა კოლონიათა პატარა ჯგუფები მძლავრ რესპუბლიკად შეკრეს, რომელიც დასახლებულია დედამიწის ყველაზე არაჩვეულებრივი მოქალაქეებით. ამერიკელებმა გაიარეს ათასობით მილი ველური ბუნების მკაცრ სანახებში. მათ გადალახეს უდაბნონი, დაიპყრეს მთანი, გაუძლეს უთვალავ საშიშროებას, დაამარცხეს ველური დასავლეთი, ბოლო მოუღეს მონობას, ტირანიისაგან იხსნეს მილიონები, ხოლო მილიარდები სიღარიბიდან ამოიყვანეს; მათ შექმნეს ელექტროდენი, გახლიჩეს ატომი, კოსმოსში გაუშვეს კაცობრიობა და მთელი საკაცობრიო ცოდნა ხელისგულზე დადეს. **თუ ჩვენ ერთობლივად ვიმუშავებთ, არ იარსებებს არაფერი, რისი მიღწევაც გაგვიჭირდება, არ იარსებებს ოცნება, რომელსაც ვერ ავიხდენთ!** ბევრი თვლიდა, რომ შეუძლებელი იყო ასეთი ისტორიული პოლიტიკური შემობრუნება, მაგრამ, როგორც ხედავთ, **მე აქა ვარ — ამერიკელმა ხალხმა თქვა თავისი სიტყვა!**

მე დღეს თქვენ წინაშე ვდგავარ, როგორც მტკიცებულება იმისა, რომ **არასოდეს არ უნდა დაიჯეროთ, რომ არსებობს რაიმე მიუღწეველი.** ამერიკაში შეუძლებელი არის ის, რასაც ჩვენ ყველაზე კარგად ვაკეთებთ!

ნიუ-იორკიდან — ლოს-ანჯელესამდე, ფილადელფიიდან — ფინიქსამდე, ჩიკაგოდან — მაიამამდე, ჰიუსტონიდან — ვაშინგტონამდე, ჩვენი ქვეყანა გამობრძმედილი და აშენებული იქნა პატრიოტთა თაობების მიერ, რომლებმაც გაიღეს ყველაფერი ჩვენი უფლებებისა და თავისუფლებისათვის. ისინი იყვნენ ფერმერები და ჯარისკაცები, კოვბოები და ფაბრიკის მუშები, მეფოლადეები და მაღაროელნი, პოლიციელები და პიონერები. ისინი ყოველთვის მიიწევდნენ წინ და არ აძლევდნენ საშუალებას ამა თუ იმ დაბრკოლებას, გაეტეხა მათი სული თუ სიამაყე. **მათ ერთად გაიყვანეს რკინიგზა, აღმართეს ცათამბჯენები, ააგეს დიდებული ავტომაგისტრალები, მოიგეს ორი მსოფლიო ომი, დაამარცხეს ფაშიზმი და კომუნიზმი.** ყოველივე იმის შემდეგ, რაც ერთად გადავიტანეთ, **ჩვენ ვდგავართ ამერიკის ისტორიაში ოთხი დიადი წლის ზღურბლზე.** თქვენი დახმარებით ჩვენ აღვადგენთ ამერიკულ დანაპირებს და ხელახლა შევადუღაბებთ ნაციას, რომელიც ასე ძალიან გვიყვარს.

**ჩვენ ერთი ხალხი ვართ, ერთი ოჯახი და ერთი დიდებული ნაცია უფლის საფარქვეშ.** ამიტომაც თითოეულ მშობელს, რომელიც ოცნებობს თავისი ბავშვის კეთილდღეობაზე და თითოეულ ბავშვს, რომელიც ოცნებობს უკეთეს მომავალზე, ვეუბნები: **მე თქვენთან ვარ, მე ვიბრძოლებ თქვენთვის და გავიმარჯვებ თქვენთვის!** ჩვენ გავიმარჯვებთ, როგორც არასდროს, ისე გავიმარჯვებთ! მადლობა თქვენ! მადლობა! მადლობა! მადლობა!

უკანასკნელ წლებში ჩვენი ქვეყანა ძალიან დაზარალდა, მაგრამ ჩვენ მას კვლავ ვაქცევთ დიად, გაცილებით დიად ქვეყნად. ჩვენ ვიქნებით თანაგრძნობით, სიმამაცით და გამორჩეულობით აღსავსე ერი! **ჩვენი ძალა შეაჩერებს ყველა ომს და ერთიანობის ახალ სულს დაამკვიდრებს მსოფლიოში, რომელიც დღემდე იყო ბოროტი, სასტიკი და სრულიად არაპროგნოზირებადი!**

ამერიკას ისევ სცემენ პატივს და კვლავაც აღფრთოვანდებიან მისით, მათ შორის, რელიგიური, მორწმუნე და კეთილი ნების ადამიანები. ჩვენ ვერ დაგვიპყრობენ, ვერ შეგვაშინებენ და ვერ გაგვტეხენ! დღეიდან ამერიკის შეერთებული შტატები იქნება თავისუფალი, სუვერენული და დამოუკიდებელი ქვეყანა!

**ჩვენ მტკიცედ და გამბედავად ვიდგებით, ვიცხოვრებთ სიამაყით, ვიოცნებებთ თამამად და ვერაფერი გადაგვეღობება, რადგან ამერიკელები ვართ! მომავალი ჩვენია და ჩვენი ოქროს საუკუნე მხოლოდ ახლა დაიწყო. მადლობა! დაე, ფარავდეს ღმერთი ამერიკას!**

გენერალისიმუსი
2025 წლის 27 იანვარი. №4 (300)

სარედაქციო კოლეგია
**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ფეისბუქი: **www. facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

# პეტრე მამრაძე: ზურაბიშვილი დონალდ ტრამპის ინაუგურაციაზე ნიკო ნიკოლაძის ჩემოდანივით იმყოფებოდა!





სალომე ზურაბიშვილი ტრამპის ინაუგურაციაზე

## „ამერიკა ფერად რევოლუციებსა და დესტაბილიზაციის ინსტრუმენტებად გადაქცეულ არასამთავრობო ორგანიზაციებს აღარ დააფინანსებს!“

***პოლიტოლოგი და ანალიტიკოსი, „მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი პეტრე მამრაძე დონალდ ტრამპის საპრეზიდენტო ინაუგურაციას ეხმიანება და იმ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებების შესახებ გვესაუბრება, რომლებიც მთელ მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოშია მოსალოდნელი:***

— **ტრამპის** საინაუგურაციო სიტყვაში ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმის ხაზგასმა, რომ წარსულს ჩაბარდა დრო, როცა ლიბერალური ფაშიზმი, პოლიტკორექტულობის სახელით, მთელ მსოფლიოში ახშობდა თავისუფალ სიტყვას. წარმოიდგინეთ, თანამედროვე ლიბერალურმა ინტერნაციონალიზმმა მსოფლიო იმხელა აბსურდამდე მიიყვანა, რომ **ტრამპისა** და მისი გუნდის წევრების მხრიდან უმარტივესი ჭეშმარიტების დეკლარირება — **ქალისა და მამაკაცის გარდა სხვა სქესი არ არსებობსო,** რევოლუციურ მოვლენად ითვლება.

**— თუმცა, ამ უმარტივეს და ბიბლიურ ჭეშმარიტებას ქართველი ლიბერალები დღემდე არ თუ ვერ აღიარებენ!**

— **ტრამპის** ინაუგურაციის კვალდაკვალ, ვნახე სატელევიზიო სიუჟეტები, რომლებშიც ქართველი ჟურნალისტები ოპოზიციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ეკითხებოდნენ, რამდენი სქესი არსებობსო, რაზეც მათ პასუხი ვერ გასცეს, ელეთმელეთი დაემართათ და საცოდავად გაიძახოდნენ — პროვოკაციულ კითხვებს ნუ გვისვამთო!

დიდი ამბავია, რომ „ფეისბუქის“ დამფუძნებელმა და მეპატრონემ **მარკ ცუკერბერგმა** ტრამპის გარემოცვასთან დაახლოების შემდეგ ერთი ხელის მოსმით გააუქმა ე.წ. ფაქტჩეკერების ინსტიტუტი, რაც იმას ნიშნავს, რომ ლიბერალური ცენზურა სოციალურ ქსელში განსხვავებულ აზრს ვეღარ ჩაახშობს. სხვათაშორის, როცა პირველად გავიგე, რომ საქართველოში ფეისბუქ-ცენზორების ხელმძღვანელებად უცხოელებს **თამარ კინწურაშვილი და სერგი კაპანაძე** ჰყავდათ დანიშნული, მაშინვე ვთქვი — ბარემ პირდაპირ **ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ადეიშვილი** დაენიშნათ-მეთქი!

**— რას იტყვით იმასთან დაკავშირებით, რომ პრეზიდენტმა ტრამპმა ინაუგურაციის დასრულებისთანავე მოაწერა ხელი ბრძანებას აშშ-ის მიერ ყველანაირი საგარეო დახმარების 90 დღით შეჩერების შესახებ?**

— ეს ნიშნავს, რომ ტრამპის გუნდი სამი თვის განმავლობაში დეტალურად შეისწავლის, რაში იხარჯებოდა ამერიკელების ფული ქვეყნის საზღვრებს გარეთ და შეაფასებს, რა მოუტანა ამან შეერთებულ შტატებს — სიკეთე თუ უბედურება? ფაქტია, რომ ბაიდენის ადმინისტრაციის პირობებში მსოფლიოში ანტიამერიკული განწყობები საგრძნობლად გაიზარდა და სხვადასხვა ქვეყანაში გახშირდა საპროტესტო დემონსტრაციები ლოზუნგით — **„იანკებო, გაეთრიეთ!“**

ზოგადად, ტრამპის მმართველობით იწყება სრულიად ახალი ერა, როცა შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი სხვა ქვეყნების შიდა საქმეებში ჩაურევლობა იქნება, ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ ტრამპის ამერიკა ფერად რევოლუციებსა და პოლიტიკური დესტაბილიზაციის ინსტრუმენტებად გადაქცეულ არასამთავრობო ორგანიზაციებს აღარ დააფინანსებს!

**— ტრამპის ინაუგურაციას სალომე ზურაბიშვილი, მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე, გიორგი ვაშაძე და სხვა ნაცლიბერალები რომ ესწრებოდნენ, ამაზე რა აზრის ხართ?**

— ტრამპის ინაუგურაციაზე **ხაზარაძის, ვაშაძისა** და სხვა კოლექტიური ნაცების ჩასვლა გახლდათ ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო აქტი, რაც კი ქართველ პოლიტიკოსებსა და ე.წ. ცნობად სახეებს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ჩაუდენიათ.

რაც შეეხება **სალომე ზურაბიშვილს,** მის დიდ პაპას — **ნიკო ნიკოლაძეს,** რომელიც ჩვენი ოჯახის ახლობელი და ჩემი დიდი პაპის — **დავით აბდუშელიშვილის** მეგობარი იყო, ერთხელ ერთი ახალგაზრდის შესახებ უთხრეს — კარგი ბიჭია, ლონდონშია ნამყოფიო! ბატონი ნიკო წამით დაფიქრდა და მიუგო — ლონდონში ჩემი ჩემოდანიც არის ნამყოფი, თანაც, არაერთხელო! ასე რომ, **სალომე ზურაბიშვილი დონალდ ტრამპის ინაუგურაციაზე ნიკო ნიკოლაძის ჩემოდანივით იმყოფებოდა!**



ქიქე ვაშაძის სელფი ტრამპის ინაუგურაციიდან

**— თქვენი აზრით, ამერიკის შეერთებულ შტატებში დონალდ ტრამპის მმართველობა როგორ ასახვას პოვებს ევროპის კონტინენტზე და რა ცვლილებებია მოსალოდნელი ევროკავშირის სივრცეში?**

— ავტორიტეტიანი ევროპელი ექსპერტები და მეცნიერები ძალიან ბევრს წერენ იმის თაობაზე, რომ ევროპა არამხოლოდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ, არამედ დემოგრაფიულ სტაგნაციასაც განიცდის. ევროკავშირის სივრცეში ოჯახის ინსტიტუტი აღარ არსებობს და მისი წევრი სახელმწიფოების მოსახლეობა სერიოზულად იკლებს. ამასთან, ევროკავშირში რადიკალური ცვლილებები მწიფდება და კრებსითი **ურსულა ფონ დერ ლაიენები** განწირულები არიან იმისათვის, რომ წარსულს ჩაბარდნენ.

**— ყოველივე ამის ფონზე, რა ელით ქართველ „შიგევროპელებს“, რომლებიც ყოველ საღამოს იკრიბებიან რუსთაველის გამზირზე?**

— რადიკალურმა ნაცოპოზიციამ და მისმა უცხოელმა პატრონებმა ხელისუფლების შიდა რღვევასა და სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოშლას ვერ მიაღწიეს! თვალნათლივ ჩანს, რომ „ქართული ოცნების“ სამთავრობო და საპარლამენტო გუნდი, სამართალდამცავი სტრუქტურები და, ზოგადად, სახელმწიფო ინსტიტუტები მონოლითურად დგანან და არანაირ შიდა განხეთქილებას ადგილი არა აქვს.

ამდენად, ყველანაირი პირობა არსებობს იმისათვის, რომ ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობა შენარჩუნდეს, ოპოზიციად წოდებული ანტიეროვნული ძალები კი კრახისათვის არიან განწირული, რადგან მთელი მათი იდეოლოგია და პოლიტიკური კამპანია ტყუილზეა აგებული.

**ერთადერთი მომაკვდინებელი იარაღი, რაც ნაცრადიკალების ხელში დარჩა, ეს არის ლელა კილაძის ქმრების მარში, რომელიც, ალბათ, უახლოეს მომავალში გაიმართება!**

*ესაუბრა*

***ჯაბა ხუბუა***

> **„ტრამპის ინაუგურაციაზე ხაზარაძის, ვაშაძისა და სხვა კოლექტიური ნაცების ჩასვლა გახლდათ ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო აქტი, რაც კი ქართველ პოლიტიკოსებსა და ე.წ. ცნობად სახეებს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ჩაუდენიათ!“**

## კვირგვინოსნები

**მარკო რუბიო**
*აშშ-ის სახელმწიფო მდივანი*



გვინდა, **უკრაინაში ომი დავასრულოთ** ისე, რომ ორ, სამ ან ოთხ წელში **თავიდან აღარ დაიწყოს.**

„აიპრესი“

**გრიგოლ გეგელია**
*კოალიცია „ძლიერი საქართველოს“ წევრი*



**ჯო უილსონს** ვუთხარი, რომ **ქართველი ხალხი აღმერთებს,** რითიც ძალიან ბედნიერი იყო.

„პირველი არხი“

**ირაკლი იაშვილი**
*ბიზნესმენი*



ალბათ გაფიცვების ისტორიაში ჩაიწერება, რომ **საქართველოში დაინერგა გაფიცვის ახალი ფორმა,** როდესაც ეკონომიკური აგენტი თავის თავს უცხადებს გაფიცვას.

„TV იმედი“

**ლელა ჯეჯელავა**
*ანალიტიკოსი*



„ქართული ოცნება“ **ტერორისტულ დაჯგუფებასავით** იქცევა.

„ახალი თაობა“

**პაატა ზაქარეიშვილი**
*ექსპერტი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი*



**ბახარიაზე** თავდასხმით, „ოცნებამ“ მას **რეიტინგი გაუზარდა.**

„ახალი თაობა“

**მაია ნიკოლეიშვილი**
*სამედიცინო ექსპერტი*



დასავლეთი იმდენად გათავხედდა, რომ **ენჯეოებისა და პარტიების სახით აქ ჯაშუშური ქსელი აქვს,** რაშიც უზარმაზარ თანხებს იხდის.

„საერთო გაზეთი“

# ბალტიისპირეთის ქვეყნები

***უკანასკნელ ხანს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა საქართველო მიზანში ამოიღეს. ამ მართლაცდა ბალტიისპირეთის ქვეყნების კვოტით არჩეული ევროპარლამენტარები თუ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირები ქართველებს ყოველდღე უსამართლოდ გვლანძღავენ, შეურაცხყოფას გვაყენებენ. ცხადია, ბალტიისპირელთა ხვანცალსა და კოლექტიური რასა იუკნევიჩიენეებისა და ჟიგიმანტას პავილიონისების კონვულსიებს თავისი მიზეზი აქვს და ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ, მაგრამ ამ სამარცხვინო ისტორიამ და ლანძღვა-გინების კორიანტელმა მე-20 საუკუნის დასაწყისის წიწამურის ტრაგედია გაგვახსენა, როცა, ბედის ირონიით, დიდი ილიას მკვლელობაში სწორედ რუსთხელმწიფის ბალტიისპირელი მოხელე, ლიტველი ბოქაული ძალიან საეჭვოდ ფიგურირებდა.***

1907 წლის 30 აგვისტოს წიწამურთან ილია რომ მოკლეს, შემთხვევის ადგილზე პირველები მეეტლე **თედო ლაბაური** და პოლიციის დაბალჩინოსანი, ეროვნებით ლიტველი, ოკოლოტოჩნიკი **სტანისლავ ბრიციუნასი** მივიდნენ.

ლაბაური გაასამართლეს და ორი წლის შემდეგ, 1909 წლის 21 აგვისტოს, ილიას მკვლელობის მონაწილე **გიორგი ხიზანიშვილთან** ერთად სიკვდილით დასაჯეს, ხოლო ლიტველი **სტანისლავ ბრიციუნასის** შესაძლო როლი ილიას მკვლელობის საქმეში დღემდე არავის გამოუკვლევია. მას არც შეხებიან და ზედმეტი არაფერი უკითხავთ. აქედან გამომდინარე, ზუსტად ისიც კი არ ვიცით, პოლიციის დაბალჩინოსანი **სტანისლავ ბრიციუნასი გიგოლა ბერბიჭაშვილთან, პავლე ფშავლიშვილ-აფციაურთან, ილიკო იმერლიშვილთან, დიმიტრი ჯაშთან, ვანო ინაშვილთან** და სხვა შეთქმულებთან ერთად წიწამურთან „ბერდენკით" ხელში ჩასაფრებული ხომ არ ყოფილა საქართველოს უგვირგვინო მეფის მოსაკლავად.

ილიას მკვლელობის დამკვეთებმა, ვიღაცის უჩინარმა ხელმა, ანუ დღევანდელი ტერმინით თუ განვსჯით, მაშინდელმა დიფ სთეითმა, იგივე ფარულმა დასმა **სტანისლავ ბრიციუნასი** ილიას მკვლელობიდან სულ ცოტა ხანში მოულოდნელად დააწინაურა და მცხეთის პრისტავად, ანუ ბოქაულად აქცია. ამის შემდეგ **ბრიციუნასი** ისევ წინ წასწიეს და ამჯერად მცხეთიდან თბილისში გადაიყვანეს, სადაც ორი საპოლიციო უბნის პრისტავად გაამწესეს. **ბრიციუნასს** ესეც არ აკმარეს და ზემოდან წმინდა სტანისლავის სახელობის მესამე ხარისხის ორდენიც დაუმატეს!

მოკლედ, ხელისუფლება ლიტველ პრისტავს ზუსტად ისე მოექცა, როგორც „ოქროს მოწმეებსა" და „საქმეში გასულებს" ექცევიან ხოლმე... **გვაპატიოს ღმერთმა ამ მკრეხელური შედარებისთვის, მაგრამ კარგად ვხედავთ, თუ როგორ უფრთხილდებიან და სასათბურე პირობებს უქმნიან ზურაბ ჟვანიას პირადი დაცვის წევრებს — მიხეილ ძაძამიასა და კობა ხარშილაძეს, რომლებიც სააკაშვილის მიერ ზურაბ ჟვანიას მკვლელობის ფაქტს შეესწრნენ!**

**ბრიციუნასი** ან ილიას ერთ-ერთი მკვლელია ან ილიას მკვლელობის თვითმხილველი, რომელიც მეფის „ოხრანკამ" წიწამურში იმისთვის მიავლინა, რომ ჟანდარმერიისა და საიდუმლო სამსახურების გენერლებისთვის ჩატარებული სპეცოპერაციის შესახებ ყველაფერი დეტალურად მოეხსენებინა.

უკანასკნელ ხანს ბალტიისპირეთის რესპუბლიკების და განსაკუთრებით ლიეტუველი ევროპარლამენტარებისა და სახელმწიფო თანამდებობის პირების მიერ საქართველოს მისამართით გაკეთებული სამარცხვინო, ცილისმწამებლური და პროვოკაციული განცხადებები ერთ რამეს გვაფიქრებინებს: საქართველოს მტრებმა როგორც ლიეტუველ **სტანისლავ ბრიციუნასს** დაავალეს წიწამურში ილიას გასანადგურებლად ჩატარებული სპეცოპერაციის სავარაუდო ხელმძღვანელობა, სწორედ ისე, დიფ სთეითმაც ლიეტუველებს, ესტონელებსა და ლატვიელებს უბრძანა უკრაინის ომში ჩვენი ქვეყნის შეჩურთვა და ამ გზით მოკლული და განადგურებული საქართველოს შესახებ ევროპარლამენტში ვრცელი სამძიმრის წაკითხვა!

თავიდანვე ვაცხადებთ, რომ სამარცხვინო და უთავმოყვარეო **ბალტიისპირელები**, რომლებსაც თავში ხან გერმანელები წამოარტყამდნენ, ხან — შვედები, ხან — პოლონელები და ხან —სამივე ერთად, საქართველოსა და ქართველ ხალხს ვერც დაამუნათებენ, ვერც ომს ასწავლიან და მითუმეტეს — ვერც ღირსებას... აღარაფერს ვამბობთ კულტურაზე! **ხალხებმა, რომლებიც ევროპულ რუკებზე მხოლოდ მე-12 საუკუნეში გამოჩნდნენ და თავადაც არ იციან, ვის და რას წარმოადგენენ, საქართველოსა და ქართველ ხალხს რა უნდა ასწავლონ?**

**რეჩ-პოსპოლიტაც** კი, ლიეტუვის დიდი მთავრისა და პოლონეთის სამეფოს კონფედერაცია, რომელიც 1569 წელს ლიუბლინის უნიით შეიქმნა და მერე 1772, 1793 და 1795 წლებში რუსეთმა, ავსტრიამ და პრუსიამ სამჯერ დაშალეს, ტიპური სლავური სახელმწიფო იყო და პოლონურთან ერთად სახელმწიფო ენა ლათინური და ბელორუსული გახლდათ... ისტორიის ფოლიანტები რომ არ ვქექოთ და უხსოვარი დროის მტვერი არ ვყლაპოთ, გავიხსენებთ იმას, რაც ჩვენი მამა-პაპების თვალწინ მოხდა! საქმე ეხება საბჭოთა ეპოქას, როცა ჩვენ, ლიტველები, ლატვიელები და ესტონელები ერთ დიდ სახელმწიფოში ვცხოვრობდით.

გასაგებია, რომ 1939 წლის 23 აგვისტოს გაფორმებული **მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი** უკანონო იყო და საერთაშორისო სამართლის ნორმებს უხეშად ლახავდა, მაგრამ საკითხავია, **ბალტიისპირელები** და განსაკუთრებით ლიეტუველები სასიამოვნოდ რატომ გაიტრუნენ, როცა ბესარაბიასთან ერთად საბჭოთა კავშირმა პოლონეთს უძველესი სლავური ქალაქი ვილნო წაართვა და ლიეტუველებს მიუგდო? დღეს სწორედ ქართველი სტალინის მიერ პოლონელებისთვის წართმეული და ლიეტუველებისთვის მიცემული **ვილნო, ანუ ვილნიუსია** იმ ქვეყნის დედაქალაქი, საიდანაც საქართველოსა და მისი ხელისუფლების ლანძღვა-გინება და შეურაცხყოფა ისმის.






ჟიგიმანტას პავილიონისი



რასა იუკნევიჩიენე



ლიეტუვის პრეზიდენტი
გიტანას ნაუსედა



ლატვიის პრეზიდენტი
ედგარს რინკევიჩსი



ესტონეთის პრეზიდენტი
ალარ კარისი

## როგორც მოღალატეებმა და არასანდო ხალხმა, ხანჯალი ზურგში როდემდე უნდა ჩაგვცეთ?

**თქვენ — ბალტიისპირელები საქართველოსა და ქართველ ხალხს დემოკრატიაზე, თავისუფლებაზე, მორალსა და სინდის-ნამუსზე რა პირით უნდა ელაპარაკოთ, როცა 1940 წლის ზაფხულში, როცა საბჭოთა კავშირში ამოყავით თავი, ერთი არ დაგიკნავლებიათ და წითელი დროშა პროტესტის ნიშნადაც კი არ დაგიწვავთ?!** პირიქით, ვილნო რომ გაჩუქათ, ამისთვის მადლობას ეუბნებოდით და უმღეროდით **სტალინს**, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, აქაც კი ფარისევლობდით და გულწრფელობის ნატამალი არ გაგაჩნდათ. ეს ნათლად დაადასტურა **ხრუშჩოვის** ეპოქამ და განსაკუთრებით „პერესტროიკამ", როცა **სტალინის** ლანძღვა-გინება ყველაზე მეტად სწორედ ბალტიისპირეთიდან ისმოდა!

კაცმა დედაქალაქი გაჩუქათ და დღემდე ლანძღავთ!

**ცხადია, გამოშტერებულმა, გადაგვარებულმა და უწიგნურმა ჯენზიმ ამის შესახებ არაფერი იცის, მაგრამ თქვენ ხომ ყველაზე უკეთ უწყით, რომ 1940 წლის ზაფხულში მთელი ევროპა პირდაღებული უყურებდა თქვენს სამარცხვინო სილაჩრესა და „პარაჟენცობას", როცა სტალინმა ჯერ არჩევნების გზით მოიყვანა კომუნისტები ბალტიისპირეთში, ხოლო შემდეგ სამივე რესპუბლიკაში რეფერენდუმი ჩაატარა და სწორედ ამ გზით შეიერთა ლიეტუვაც, ლატვიაც და ესტონეთიც!** როგორც ერთ დიდებულ ქართულ ლექსშია — „არსაიდან ხმა, არსით ძახილი!" კაციშვილს **ბალტიისპირეთში** ეს ამბავი არ გაუპროტესტებია, სისხლი არ დაღვრილა, ტყვია არ გავარდნილა მაშინ, როცა ჩვენთან, საქართველოში, ტყავის ლაბადებში გამოწყობილმა და „მაუზერებით" შეიარაღებულმა „ენკავედეს" ჯალათებმა თაობები ამოწყვიტეს და ოჯახები გაანადგურეს!

ბალტიისპირელებისა და განსაკუთრებით ლიეტუველების ცრუქაქუნობასა და ღალატს საზღვარი არ ჰქონდა ცხონებული ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის ეპოქაშიც. ლიეტუვის ლიდერი **ვიტაუტას ლანდსბერგისი,** როცა ვჭირდებოდით, ზვიადსა და ქართველებს ძმობასა და სიყვარულს გვეფიცებოდა, მაგრამ, როგორც კი **ლიეტუვამ** და **ლანდსბერგისმა** სამშვიდობოს დაიგულეს თავი და ამერიკისგან გარანტიები მიიღეს, რომ ლიეტუვის დამოუკიდებლობას წინ ვერავინ და ვერაფერი დაუდგებოდა, მაშინვე აგვიპანღურეს და საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებაზე ფეხის ათრევა დაიწყეს!

როგორც ჩემთვის ცნობილია, ზვიადის მკვლელობას ლანდსბერგისი იმით გამოეხმაურა, რომ რაღაც მუსიკალური ნაწარმოები — **რეკვიემი** დაწერა. უკაცრავად, მაგრამ აიღეთ მაგ რეკვიემის ნოტები, კარგად დაახვიეთ და **ვიტაუტას ლანდსბერგისის** უკანალმოფახფახებულ და კონჩიტა შვილიშვილს, ლიეტუვის საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრს **გაბრიელიუს ლანდსბერგისს** გაურჭეთ უკანალში!

**მოკლედ, ერთმა ქართველმა დედაქალაქი გაჩუქათ, მაგრამ არ დაუმადლეთ და დღემდე გინებით იკლებთ!**

**მეორე ქართველი თქვენს დამოუკიდებლობას შეეწირა, ბოლომდე გიერთგულათ, მაგრამ მასაც უღალატეთ და ფეხებზე დაიკიდეთ!**

საქართველოში კიდევ ვინ უნდა დაიბადოს ისეთი, თქვენი გული რომ მოიგოს? როგორც მოღალატეებმა და არასანდო ხალხმა, ხანჯალი ზურგში როდემდე უნდა ჩაგვცეთ?

წარმოდგენაც კი გზარავთ, რომ ევროპელმა და ამერიკელმა პატრონებმა შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს უკრაინის ომის ქარცეცხლში შეგრეკოთ, მაგრამ იმდენად ვერაგები, ფარისევლები, ლაჩრები და ჩასვრილები ხართ, ამას ხმამაღლა ვერ ამბობთ და ყველაფერს აკეთებთ საქართველოს დასაზიანებლად და ხელისუფლების წონასწორობიდან გამოსაყვანად, რათა სწორედ აქ ატყდეს უბედურება და ხელისუფლებაში მოათრიოთ საერთაშორისო ფარული დასის ადგილობრივი აგენტები — **ჭუჭუ ვაშაძე, ლიაკა ხოშტარია, თინა ბოკუჩავა, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე, ლევან რამიშვილი, ელტონ ჭყონია, სალომე სამადაშვილი, სოფო ჯაფარიძე, გიგა ბოკერია, ნიკუტუ გვარამია, მამუკა ხაზარაძე** და **ალეკო ელისაშვილი...**

აი, სწორედ ამ აგენტების და გადაგვარებულების იმედი გაქვთ, რომლებიც საქართველოსა და ქართველ ხალხს უყოყმანოდ გაწირავენ და ქვეყანას უკრაინის ომის ქარცეცხლში შეაგდებენ, მაგრამ **დონალდ ტრამპის** გაპრეზიდენტებამ არამარტო ამერიკა, არამედ მთელი მსოფლიო შეცვალა. ასე რომ, ღვთის ნებით და საქართველოს ხელისუფლების დიდი მეცადინეობით, ჩვენ მაინც გადავრჩით, ხოლო თქვენ, დიდი ილიასი არ იყოს, „გლახის ნაამბობში" გაბრიელს რომ ათქმევინებს დათიკოსადმი — „წაგაკალთ თქვენს უნამუსობას!"

**აი, სწორედ ამ უნამუსობით ივლით ამ ქვეყანაზე მანამ, სანამ გამძვინვარებული და საომრად ატეხილი ვლადიმერ პუტინი დიფ სთეითის ბინძურ თამაშებს არ წაგაკლავთ და ბალტიისპირეთს ისევ რუსეთის იმპერიას არ დაუბრუნებს!**

***დიტო ჩუბინიძე***

# „როგორ პატიობთ ან რატომ პატიობთ?“



„ღვინის წამბილწავებს, პურზე შარდის წამსმელებს, კუბოს დამწველებსა და მათ მფარველებს საქართველოში დანდობა არ უნდა ჰქონდეთ!“

## მალხაზ ძიძიგური:

# ბატონო ბიძინა, დამიჯერეთ – ტოტალური შეტევის დროა!

*„დამაიმედებელი ძვრებია ქვეყანაში: პოლიციელზე თავდამსხმელი ციხეშია! ახლო მომავალში საჰაკიანცს საკანში გადაიყვანენ! რუსთაველზე ჯოგის ოდენობა დადნა! შიგევროპელებს უცხოეთიდან დაფინანსება დღითი დღე უმცირდებათ! ეს ყველაფერი იძლევა იმედს, რომ საქართველო პოლიტიკურ რუკაზე არსებობას მომავალშიც გააგრძელებს!“ —* ***ასე აფასებს საქართველოში შექმნილ მდგომარეობას ყოფილი მოკრივე, ეკონომისტი, საბაჟო სამსახურის სპეციალისტი მალხაზ ძიძიგური:***

— მართალია, „ქართულ ოცნებას“ მივუთითებ და ვაკრიტიკებ იმ მოცემულობის გამო, რაც ქვეყანაშია, მაგრამ ამას ჩასაფრებულის კი არა, მოყვრის პოზიციიდან ვაკეთებ, ამიტომ ნუ გაბრაზდებით ჩემზე, რადგან სრულ სიმართლეს მოგახსენებთ, სიმართლე კი თვალის სინათლეა!

**— მაინც, რა ზომების მიღებას ელით მმართველი პარტიისგან?**

— ტოტალური შეტევა უნდა დაიწყოს ჯოგზე, მათ უფროსებსა და დამფინანსებლებზე. ხელისუფლებამ ფინანსური პოლიცია და ეროვნული ბანკის ექსპერტები უნდა შეუსიოს ანტისახელმწიფოებრივად მოაზროვნე ბიზნესმენებს, მდიდარ ენჯეოებსა და უცხოურ ფონდებს. **პრემიერო, განდევნე სოროსის ფონდი და მეორე დღესვე დაწყნარდება ქვეყანა!** ყველა დონის სასწავლო დაწესებულებიდან უნდა განიკვეთონ პოლიტიკოსი მასწავლებელ-ლექტორები. დაფინანსება უნდა შეუწყდეს სატანისტების ბუდეს — ილიაუნს! რეალურად აამოქმედონ გამჭვირვალობის კანონი და გაამკაცრონ პირობები მათთვის, ვინც ფულს გაუმჭვირვალედ ხარჯავს! ბატონო ბიძინა, დამიჯერეთ — ტოტალური შეტევის დროა!

**— შეტევაზე ამ დროს ნაცლიბერალები არიან. სადაც „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსანს დაინახავენ, საჯაროდ შეურაცხყოფენ. როგორ უნდა დაიცვან თავი ამ გამოხდომებისგან?**

— ნერვები აღარ მყოფნის... მართლაც, ქოცებო, შიშით ქუჩაში ვეღარ გადიხართ, ემანდ, ვინმემ არ გაგინოთ, კვერცხი არ გესროლოთ, რესტორანში საჭმელ-სასმელში არ ჩაგიფურთხოთ! **„ქართულო ოცნებავ“, თქვენ არ გყავთ ახალგაზრდული ორგანიზაცია? ჩაუყენეთ სათავეში მოტივირებული, ერთგული ახალგაზრდა კაცი და ვინც ქუჩაში უსაფრთხოდ გავლის საშუალებას არ აძლევს ადამიანებს, დაე, ანალოგიურად მოექცნენ,** თუნდაც კვერცხები ესროლონ!

**ხოშტარიამ რომ პოლიციელებს საჯაროდ შეურაცხყოფა მიაყენა და მხოლოდ განრიდებით შემოიფარგლეთ, გგონიათ, ეს ავტორიტეტს გიმაღლებთ? თავადაც და მამამისიც – ზვიადის მოღალატე გოგი, ოფიციალურად იღებენ რუსებისგან მილიონებს ჯაშუშობისთვის და რატომ არ იბარებთ თუნდაც დასაკითხად?**

აგერ ახლახან დუბაიში ერთმა პროვოკატორმა სულ რუსეთუმეები ეძახა **ზარქუასა და სანიკიძეს,** თავად კი რუსეთის მოქალაქე ჰყოლია ცოლად. გასაოცარი, იცით, რა იყო იმ ჩხუბში, ამ ყველაფერს იღებდა იმ პროვოკატორი გაბიტაშვილის ცოლი, რადგანაც შეკვეთა ჰქონდათ მიღებული, ეს სცენა დანიშნულების ადგილზე გადაეგზავნათ. ასეთ ნაძირალებთან გვაქვს საქმე და როგორმე მსოფლიოს უნდა ვამცნოთ, ვინაა დღევანდელი ოპოზიცია, როგორ მტრობენ ქვეყანას და მის იმიჯს ეს უთავმოყვარეო ნაგვები!

მე რომ „ოცნების“ დეპუტატი ვიყო, დემონსტრაციულად შევიდოდი რომელიმე ცნობილ რესტორანში, გვერდით მეყოლებოდა რამდენიმე ჯანიანი მეგობარი და, როგორც კი ჯოგი სიტყვიერ შეურაცხყოფაზე გადმოვიდოდა, უარეს დღეში ჩავაგდებდი, ვიდრე დუბაიში ვიქტორმა და ირაკლიმ საჰაკიანცის ჩლიქის მწოველი, ის ვიღაც გაბიტაშვილი ჩააგდეს!



**— და მაინც, აგრესია მთლად გამართლებული ვერ იქნება, კერძში ჩაფურთხების ტრენდი როგორ უნდა ჩაახშოს სახელმწიფომ?**

— რესტორნები და მიმტანები ცალკე თემაა.

**კერძში ჩაფურთხება თუნდაც მხოლოდ გონებაში როგორ გაივლეს?! უსწრაფესად უნდა დაიხუროს ის რესტორანი, სადაც ასეთი ამაზრზენი მოწოდება გაჟღერდება.**

ასეთ ობიექტებს უნდა შეესიოს სურსათის უვნებლობისა და ფინანსური პოლიციის სამსახურები!

გვარამია გავიხსენოთ, რომელმაც კახელებს და გაზიანი წყლის მწარმოებლებს უკადრებელი აკადრა და, დახეთ, გამოუჩდნენ მიმდევრები — ღვინო — ქრისტეს სისხლი — სიტყვით შეგვიბილწეს. ახლახან ერთმა ურჯულომ მოუწოდა — შარდიანი ხელი წაუსვით პურს და კლიენტს ისე მიართვითო და მთელმა სანაცეთმა მხარი დაუჭირა! ამ უღმერთოებს ქვეყანა როგორ უნდა დავუთმოთ? არ შევიდეთ არცერთ გაფიცულ რესტორანში! ღვინის წამბილწავებს, პურზე შარდის წამსმელებს, კუბოს დამწველებსა და მათ მფარველებს საქართველოში დანდობა არ უნდა ჰქონდეთ!

**— პატარ-პატარა გოგოშკები რომ იგინებიან, იმაზე რაღას იტყვით?**

— ვიტყვი მხოლოდ ერთს — როგორ პატიობთ ან რატომ პატიობთ? რა თმენის ვალდებულება, რის თმენის ვალდებულება?! მიიღეთ შესაბამისი კანონი! ანდა, მიეცით უფლება ყველას, ვინც სიტყვიერ შეურაცხყოფას განიცდის ამ ბუნების შეცდომებისაგან, თავად დაიცვას თავი, თუნდაც ფიზიკური ძალის გამოყენებით! მაგრამ აქამდე რომ არ მივიდეს საქმე, ხელისუფლებამ გამჭვირვალობის ქართული კანონი უნდა აამოქმედოს, რათა ჯოგს უცხოეთიდან შემოდინებული ფინანსური ნაკადები გადაეკეტოს!

და კიდევ: **გაუზარდეთ უფლებები და ანაზღაურება პოლიციელებს, თორემ დარჩებით დამცველთა გარეშე! არ დაუშვათ პოლიციელის შეურაცხყოფა და მისთვის სილის გაწვნა. ამის პატიება გამოუსწორებელი შეცდომა იქნება!**

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**




## „პრემიერო, განდევნე სოროსის ფონდი და მეორე დღესვე დაწყნარდება ქვეყანა!“

დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2024 წლის №30-53, 2025 წლის №1-2, 3-4

# „2008 წლის აგვისტოს ომი სააკაშვილს კონდოლიზა რაისმა, მეთიუ ბრაიზამ, ჯეიმს აპატურაიმ და ჯონ მაკკეინმა დააწყებინეს!“





მიხეილ სააკაშვილი და ჯონ მაკკეინი

## ლაზარე ჯორბენაძე:

# სააკაშვილმა ჩაიდინა ომის დანაშაული, რომელიც ხანდაზმულობას არ ექვემდებარება და სამუდამო პატიმრობით ისჯება!

***უფლებადამცველი ლაზარე ჯორბენაძე 2003-2012 წლებში სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოსაძიებლად საპარლამენტო კომისიის შექმნას ეხმიანება და აცხადებს, რომ, თუ სააკაშვილს ომის დანაშაულისთვის გაასამართლებ, მაშინ პასუხი უნდა აგებინო მის ხელქვეითებსაც, რომლებიც ავადმყოფი მთავარსარდლის ბრძანებებს ასრულებდნენ:***

— ვაღიაროთ, რომ 2012 წელს ხელისუფლებაში მოსულ „ქართულ ოცნებას“ არ ჰქონდა ისეთი პოლიტიკური ძალა, როგორიც დღეს აქვს. თავიდან მეც ვფიქრობდი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საქართველოს მოსახლეობა გადააგდო, მაგრამ ბოლო დროს გამოაშკარავებულმა პოლიტიკურმა რეალობამ ყველას დაგვანახა, რომ საქართველოს ხელისუფლება ყოფილა საშინელი პოლიტიკური ზეწოლის ქვეშ. თურმე, ისეთ ზესახელმწიფოშიც კი, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, საზიზღარ პოლიტიკურ პრობლემებთან გვქონია საქმე. მოგეხსენებათ, **ბატონი ტრამპი** პრეზიდენტად არჩევამდეც აცხადებდა და არჩევის შემდეგაც აცხადებს, რომ ამერიკის დაუძინებელი მტერია **დიფ სთეითი *(ფარული დასი. რედ.)***. შეხედეთ, რა დონეზეა გარყვნილი შეერთებული შტატების სახელმწიფო სისტემა — კონგრესმენი **ჯო უილსონი** კრიმინალი **ქეზერაშვილის** ტელევიზიიდან გადარიცხული ფულით სოციალურ ქსელებში ათას დოლარად ჯღაბნის ე.წ. პოსტებს და საქართველოს ხელისუფლებას აგინებს! ამას კორუფციაც აღარ ჰქვია — ამერიკისა და ევროპის პოლიტიკური სისტემა დალპა და ტრამპს სწორედ ამ დამპალი სისტემის გასაჯანსაღებლად მოუწევს უმძიმესი ბრძოლა.

**— თქვენ არაერთხელ გაქვთ ჩემთვის ნათქვამი, რომ სააკაშვილი, უპირველეს ყოვლისა, ომის დანაშაულისთვის უნდა გასამართლებულიყო! მგონი, ჩვენი საუბარი იქ, მაღლა, მართლაც შეისმინეს და პარლამენტში შეიქმნა საგამოძიებო კომისია, რომელმაც 2003-2012 წლებში ნაცმოძრაობის დანაშაულები, მათ შორის, 2008 წლის აგვისტოს ომის დანაშაული უნდა შეისწავლოს და შესაბამისი მასალები გენერალურ პროკურატურას გადასცეს! მაინც რა მოხდა საქართველოში 2008 წლის აგვისტოში?**

— სააკაშვილი ომის დაწყებას 2004 წელს აპირებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მაშინ ამერიკელებმა ნაცმოძრაობას გარანტიები არ მისცეს და დიდ ომს გადავრჩით. 2006 წლიდან სააკაშვილი გადავიდა ღია ტერორსა და ძარცვა-გლეჯაზე, ხოლო 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევამ და 2008 წლის იანვარში ტოტალურად გაყალბებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა იგი დაარწმუნა, რომ ქართველი ხალხი აუცილებლად დაამხობდა. ამიტომ ერის ერთიანობა მან მიმართა სულ სხვა მიმართულებით და აგვისტოში დაიწყო ომი. მანამდე **ნინო ბურჯანაძემ** მას გაყალბებული საპრეზიდენტო არჩევნები გაუხადა ლეგიტიმური. 2008 წლის აპრილის ბოლოს **მძარცველმა ქეზერაშვილმა,** რომელიც თავდაცვის მინისტრი იყო, 15 ათასი ერთეული ჯარისკაცის საველე ჩასასვენებელი იყიდა. ვინმემ მითხრას, **მშვიდობიან პერიოდში, თუ რაღაც უბედურებას არ გეგმავდნენ, რაში სჭირდებოდა თავდაცვის სამინისტროს 15 ათასი ერთეული საველე ჩასასვენებლის ყიდვა გარდაცვლილი ჯარისკაცებისთვის?**

სააკაშვილი 2008 წლის აგვისტოში დილემის წინაშე იდგა — ომით ამერიკელებისთვისაც უნდა ესიამოვნებინა და ფულიც ეშოვა! 2008 წლის აგვისტოს ომი სააკაშვილს **კონდოლიზა რაისმა, მეთიუ ბრაიზამ, ჯეიმს აპატურაიმ და**







კონდოლიზა რაისი, მეთიუ ბრაიზა, ჯეიმს აპატურაი

## კვირგვინოსნები

**დავით ვერაავა**
*სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული*



ქალაქის შუაგულში **ნაციონალური მოძრაობის რეჟიმის მიერ დადიანების ისტორიულ ეზოში გასხვისებული მიწა** კვლავ დაუბრუნდა ქალაქს.

„რეზონანსი“

**ანა დოლიძე**
*კოალიცია „ძლიერი საქართველოს“ წევრი*



აუცილებელია, დასავლეთმა გამოყოს **ფინანსური მხარდაჭერის პაკეტი** სამოქალაქო საზოგადოებისთვის.

„ინტერპრესნიუსი“

**ემანუელ მაკრონი**
*საფრანგეთის პრეზიდენტი*



მოდით, ნუ მოვიტყუებთ თავს — **კონფლიქტი უკრაინაში ხვალ და ზეგ არ დასრულდება.**

„ინტერპრესნიუსი“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



საერთაშორისო არენაზე **ზურაბიშვილი ისედაც მაქსიმუმს აკეთებს** და ოპოზიციური პარტიები ტყუილად ფეხებში ნუ ებლანდებიან.

„რეზონანსი“

**მალგოჟატა გოშევსკა**
*ევროპარლამენტარი*



უნდა მოვითხოვოთ **საქართველოს მთავრობის და პარლამენტის საერთაშორისო იზოლაცია,** ყოფილი პრეზიდენტის **სააკაშვილის გათავისუფლება.**

„იმედინიუსი“

**ბონდო მძინარაშვილი**
*ჟურნალისტი*



პოლიტიკოსების არცერთი გუნდი არ ღირს იმად, რომ **ჟურნალისტები ერთმანეთს დავუპირისპირდეთ!**

„საქართველოს რესპუბლიკა“

# „სამართლიანობის აღსადგენად არამარტო სააკაშვილის რეჟიმი, არამედ ენჯეოების მანტიაში გახვეული ქართული დიფ სთეითიც უნდა გასამართლდეს!“




ქართული ენჯეო სექტორის „ელიტა“ – ბაია პატარაია, გიორგი ბურჯანაძე, ლონდა თოლორაია, ნინო ლომჯარია, ეკა გიგაური

**ჯონ მაკკეინმა** დააწყებინეს! **მაკკეინი** მაშინ საპრეზიდენტო არჩევნებში იყრიდა კენჭს. ამ ხალხმა სააკაშვილი მოატყუა და უთხრა — **შენ რომ ცხინვალში შეხვალ და როკის გვირაბს მიადგები, ჩვენ საქართველოში ამერიკის ჯარებს შემოვიყვანთ და რუსეთი შეიარაღებულ წინააღმდეგობას ვერ გაგიწევსო!** სააკაშვილმა ეს მართლაც დაიჯერა და ცხინვალი დაადუღა... საერთოდ, სააკაშვილი ფსიქიკურად შეურაცხადია და, როგორც ყველა გიჟი, შეპყრობილია განდიდების მანიით. მას სჭირდებოდა დიადი გამარჯვება და ამიტომაც ამერიკელების ხელის აქნევაზე შეგრიალდა ცხინვალში, მაგრამ როკის გვირაბამდეც ვერ მივიდა... ამასობაში ამერიკელების ის სამი ტანკერი, რომელიც ხმელთაშუა ზღვიდან შავი ზღვისკენ დაიძრა, რუსულ სამხედრო ფლოტთან შეჯახების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ამერიკელებმა არ გარისკეს, უკან დაიხიეს და საქართველო გაიწირა. სააკაშვილმა გორში იფორთხა, ახალგორი და კოდორი ტყვიის გასროლის გარეშე ჩააბარა, ხალხს რუსთაველზე წაგებული ომი აზეიმა და მერე განაცხადა — ეგ არაფერი, ქვების გროვა დავკარგეთო! სამაგიეროდ, პირადად ბევრი რამ მიიღო...

**— მაინც რა მიიღო?**

— სააკაშვილმა 2008 წლის აგვისტოს ომით შეინარჩუნა ხელისუფლება, ჯიბეში ჩაიდო დევნილებისთვის გამოყოფილი მილიარდები და ამერიკელებს მისცა საშუალება, 2008 წლიდან 2014 წლამდე, ვიდრე უკრაინაში ახალი კონფლიქტი არ გააჩაღეს, რუსეთისთვის ოკუპანტი ეძახათ! ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რასაც აუცილებლად უნდა დავუმატოთ 2007 წელს ზვიად გამსახურდიას დროს გაუქმებული ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღდგენა, 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილმა ჩაიდინა ომის დანაშაული, რომელიც ხანდაზმულობას არ ექვემდებარება, რადგან კონვენციური მუხლია და სამუდამო პატიმრობით ისჯება! **სააკაშვილი სწორედ ომის დანაშაულის მუხლით უნდა გასამართლდეს და სანამ ცოცხალი იქნება, 2008 წლის აგვისტოში ჩადენილი ომის დანაშაული მის თავზე დამოკლეს მახვილივით იქნება დაკიდებული!**

**— მხოლოდ სააკაშვილია დამნაშავე ამ ომში?**

— საკითხი დგას ასე — სამართლებრივი შედეგი სჭირდება ხელისუფლებას თუ პოლიტიკური? „ქართულმა ოცნებამ“ სწორი ნაბიჯი გადადგა, როცა პარლამენტში საგამოძიებო კომისია შექმნა. თუმცა, ცოტა რთულია იმის აღქმა და გამართლება, **რატომ არ უნდა გასამართლდნენ სამხედროები?**

**— ხელისუფლებამ თავიდანვე გამოაცხადა, რომ სამხედროები, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ომში მონაწილეობდნენ, პასუხისგებაში არ მიეცემიან! გათვლა რაზეა?**

— სამხედროებს ხელს არ მოჰკიდებენ იმიტომ, რომ ჩვენებები მიაცემინონ და სააკაშვილს დანაშაული დაუმტკიცონ! მეორეც, **თუ ხელისუფლება სამხედროების გასამართლებას დაიწყებს, მაშინ გენერალიტეტის ნახევარზე მეტი ციხეში იქნება გასაშვები,** რადგან სააკაშვილის დროს ისინი გარბოდნენ და მათი გასამართლება ხელისუფლებისთვის მომგებიანი ვერ იქნება, რადგან ჯარი დაიშლება. **სამართლებრივადაც გაუმართლებელია ამ სამხედროების გასამართლება, რადგან მთავარსარდლის ბრძანებებს ასრულებდნენ.** ცუდი იყო, კარგი, გიჟი თუ სადისტი, სააკაშვილს თანამდებობრივად პრეზიდენტი ერქვა და მისი ბრძანება დაუყოვნებლივ უნდა შესრულებულიყო, რადგან ომის დროს მთავარსარდლის ბრძანების არშესრულება ისჯება ადგილზე დახვრეტით! ამდენად, ყველა სამხედრო თავს გაიმართლებს და იტყვის — **მთავარსარდლის ბრძანება რომ არ შემესრულებინა, ადგილზე დამხვრეტდნენო!** ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ სააკაშვილი ბრძანების არშესრულებისთვის ადგილზე არ დახვრეტდა? პირდაპირ და საჯაროდ დახვრეტდა! მაგრამ აქ მეორე უბედურებაც ტრიალებს... სააკაშვილმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მატერიალურ ნაწილში ცვლილება შეიტანა და **სამშობლოს ღალატის მუხლი** ამოიღო! ანუ **რეალურად სააკაშვილმა გააუქმა ის მუხლი, რომლითაც თვითონ უნდა გასამართლებულიყო.**

**— ე.ი. სამშობლოს ღალატის მუხლით სააკაშვილი ვერ გასამართლდება?**

— ვერა, ვერ გასამართლდება! როგორც გითხარით, **სააკაშვილი უნდა გასამართლდეს ომის დანაშაულისთვის.** ომის დანაშაულად ითვლება მასობრივი მკვლელობების განხორციელება და ადამიანების სიცოცხლისთვის საშიში ვითარების შექმნა. ომის დანაშაული სამუდამო პატიმრობას ითვალისწინებს! სხვათაშორის, ოპოზიციაში მოკალათებულ ვაიდემოკრატებს უნდა შევახსენო, რომ

**ომის დანაშაულის მუხლი საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში, დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში სამუდამო პატიმრობას ან ელექტროსკამით სიკვდილს ითვალისწინებს.**

შეერთებული შტატების 35 შტატში ელექტროსკამი ჯერ კიდევ არსებობს და ომის დანაშაულისთვის სიკვდილით სჯიან! საქართველოში ეს მუხლი სამუდამო პატიმრობით ისჯება...

**— სააკაშვილი ომის დანაშაულისთვის რომც გაასამართლონ, ნაცრეჟიმი გასამართლებული გამოვა?**

— ცხადია, ამ გზით ნაცრეჟიმი ვერ გასამართლდება! ვინმეს ეპარება ეჭვი, რომ გენერალი **მამუკა ყურაშვილი** და გენერალი **ზაზა გოგავა** დამნაშავეები არიან? ანდა ავიღოთ **გიგი უგულავა.** რა უნდოდა მას ცხინვალში? ან **გიგა ბოკერიას** — ამ ომში?

დღევანდელი ქართველი გენერლების დიდი უმრავლესობა გაქანებული ნაცია, რომლებიც სააკაშვილისა და მისი ხროვის დანაშაულებრივ ბრძანებებს ასრულებდნენ. იმავე **ზაზა გოგავამ** 2007 წლის 7 ნოემბერს ჯარი რომ გამოიყვანა და ხალხი დაარბია, ისევ და ისევ სააკაშვილის დანაშაულებრივი ბრძანება შეასრულა. მოკლედ, თუ სააკაშვილს ომის დანაშაულისთვის გაასამართლებ, პასუხი უნდა აგებინო მის ხელქვეითებსაც, რომლებიც ავადმყოფი მთავარსარდლის ბრძანებებს ასრულებდნენ! თუ ამას არ გააკეთებ, მაშინ მუდმივად გექნება საფრთხე, რომ სააკაშვილის მსგავსი ხელისუფლებაში მოვა თუ არა, **მამუკა ყურაშვილი, ზაზა გოგავა და დევი ჭანკოტაძე** იმავეს გააკეთებენ!

**— ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხელისუფლება როგორ უნდა მოიქცეს?**

— ნათქვამია — თავ-ნახევარი საქმე არ უნდა გააკეთო! **ხელისუფლება თავად უნდა ჩამოყალიბდეს, რა უნდა — ნაცმოძრაობის რეჟიმად გამოცხადება და აკრძალვა თუ პოლიტიკური შედეგი?** თუ პოლიტიკური შედეგი უნდათ, ამას ადვილად შეძლებენ, მაგრამ სამართლებრივ შედეგს მხოლოდ სააკაშვილის გასამართლებით ვერ მიაღწევენ! აი, მაგალითად, 17 შინდისელი გმირი გენერალიტეტმა შუა ცეცხლსა და ომში მიატოვა და გამოიქცა. ის გენერლები არ უნდა დავსაჯოთ? მაშინ ეს რანაირი გასამართლება იქნება? ან **კეზერაშვილი, გიგი უგულავა და გიგა ბოკერია** რატომ არ უნდა გავასამართლოთ ომის დანაშაულის მუხლით? მესმის „ქართული ოცნების“ ხელისუფლების, მთლიანად შევდივარ მის მდგომარეობაში, მაგრამ ახლად შექმნილ საპარლამენტო კომისიას მოუწევს ამ კითხვებზე პასუხის გაცემა! კიდევ ერთხელ ვიმეორებ — უკან მიმაქვს ჩემი სიტყვები, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ხალხი გადააგდო, მაგრამ **ტრამპმა** თვითონ გაშიფრა ის ენჯეოაგენტურა, რომელსაც აქამდე ვერ ეხებოდნენ და ახლა მაინც უნდა მიეხედოს! მესმის, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება სასამართლოსა და პროკურატურას ვერ ეკარება, რადგან სახელმწიფო სისტემა ჩამოიშლება, მაგრამ **ენჯეოაგენტურაც** სახელმწიფო სისტემაა? **დალოცვილებო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს 400-გვერდიანი დოკუმენტი წარვუდგინე, თუ ვინ არიან ენჯეოაგენტები და რაღას უყურებთ? პრეზიდენტმა ტრამპმა** პირდაპირ თქვა — ჩვენ ვაფინანსებდით, ჩვენი აგენტები არიანო და მეტი რაღა ქნას?

ასე რომ, სამართლიანობის აღსადგენად არამარტო სააკაშვილის დამნაშავე რეჟიმი, არამედ ენჯეოების მანტიაში გახვეული ქართული **დიფ სთეითიც** (იგივე **ფარული დასი.** რედ.) უნდა გასამართლდეს! უნდა გასამართლდნენ **„ლელო“** და სხვა მსგავსი მოღალატე პარტიები, რომლებიც საქართველოში ამ დიფ სთეითს ქმნიან. თუ „ქართული ოცნება“ ექვს თვეში ამას გააკეთებს, მადლობას საჯაროდ გადავუხდი!

## „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს 400-გვერდიანი დოკუმენტი წარვუდგინე, თუ ვინ არიან ენჯეო-აგენტები და რაღას უყურებთ?“

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**დათო ტურაშვილი**
*მწერალი*



14 იანვარი **ქართული თეატრის დღეაო** და მინდა, გითხრათ, რომ ეს არის ტყუილი. **რუსეთის იმპერიის დროს დაწესდა ეს დღე.** სრულიად გამიზნულად თავსმოხვეული ტყუილია. 1850 წლის **2 იანვარს ძველი სტილით და 14 იანვარს ახალი სტილით** დაიდგა **გიორგი ერისთავის „გაყრა“,** იქიდან არის ათვლის წერტილი.

„ახალი თაობა“

**ჯანრი ლოლაშვილი**
*მსახიობი*



**ადამიანები მტრობენ ერთმანეთს** როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე ყველგან. **ეს ყოფილა ადამიანის შინაგანაწესი,** ამის გამოსასწორებლად შეიქმნა უამრავი წიგნი, მათ შორის მთავარი — **ბიბლია,** რომლის **ათ მცნებასაც** სულ ვკითხულობთ, ზეპირადაც ვიცით, მაგრამ **არასდროს ვასრულებთ და არც მწარე გამოცდილება გვიხელს თვალებს.**

„სარკე“

**ლადო ბურდული**
*როკ-მუსიკოსი, მომღერალი*



დაუსრულებლად რომ გაიძახიან — **სისხლიანი 9 წელიო,** ყველაფერი მესმის, მაგრამ **იმ დროს შეიქმნა ქართული სახელმწიფო.**

„ახალი თაობა“

**გიორგი რუხაძე**
*სტრატეგიული ანალიზის ცენტრის დამფუძნებელი*



**„ქართული ოცნების“** რეჟიმს **იგივე ბედი ელის,** რაც **ასადის** რეჟიმს მოუვიდა.

„ახალი თაობა“

**დავით ქიქინაძე**
*„ტრიბუნის“ თავმჯდომარე*



აღვირახსნილია სასამართლო და ასევე იქცევა ხელისუფლებაც, **ეს ყველაფერი ძალიან საშიშ სახეს იღებს.** ჩვენ ეს ერთხელ, 90-იან წლებში, უკვე ნანახი გვაქვს.

„ახალი თაობა“

*ქართველი მეცნიერი და ჰომეოპათი კახა საბახტარიშვილი ყველაზე საშიშ და უვარგის საკვებ პროდუქტებს ჩამოთვლის და აცხადებს, რომ უკანასკნელ ხანს მომატებული შაქრიანი დიაბეტის, სიმსივნური და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რიცხვი პირდაპირ კავშირშია არამარტო გაუარესებულ ეკოლოგიურ გარემოსთან, არამედ მავნე და უსარგებლო საკვებთან:*



**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე ბაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი ფორტე“, „ტონზილინმა“** ასობით ბავშვი გლანდების ამოჭრას გადაარჩინა. **„იმუნო ჰერბი ფორტემ“** ათასობით ადამიანს გრიპი და კოვიდი თავიდან აარიდა. **„გულის ელექსირი ფორტე“** საიმედო დაცვაა ინფარქტისა და ინსულტისაგან.



**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**

# კახა საბახტარიშვილი:

# როცა შემწვარ ან მოხარშულ კარტოფილს პურს ვაყოლებთ, ამით ორგანიზმს საშინელ ზიანს ვაყენებთ!



— ყველაზე უსარგებლო და საშიში პროდუქტებია: **კარტოფილი, მაიონეზი, მაკარონი, კეტჩუპი, მარგარინი, გაზიანი სასმელები — ლიმონათი და „კოკა-კოლა“, შებოლილი ხორცი და თევზი, ერთჯერადი სუფები, ბულიონები, კანფეტები, ზოგადად, პაკეტში მოთავსებული პროდუქტები — ჩიპსები და ალკოჰოლი, განსაკუთრებით ლუდი.**

**— დავიწყოთ კარტოფილით! მაინც რას გვიშავებს ეს საკვები პროდუქტი, რომელიც შემწვარი ყველას უყვარს?**

— კარტოფილი სახამებლის საბადოა, რომელიც ძალიან ადვილად გარდაიქმნება შაქრად. იგი იმდენად უსარგებლოა, რამდენადაც არ გვანაყრებს და შიმშილის გრძნობას კიდევ უფრო გვიძლიერებს. კარტოფილის ხშირი მიღება არის უმოკლესი გზა შაქრიანი დიაბეტისაკენ! **განსაკუთრებით მავნეა ახალგაზრდებში ძალზე პოპულარული ე.წ. კარტოფილი ფრი და კარტოფილისგან დამზადებული ჩიპსები, რომლებიც ათასგვარი ემულგატორებითა და არომატიზატორებით არის გაჟღენთილი და ადამიანს ძალიან სწრაფად ასუქებს.** არომატიზატორებს შორის განსაკუთრებით საშიშია **ნატრიუმის გლუტამატი** — კვებითი დანამატი, რომელსაც კარტოფილის ჩიპსები შეიცავს. მას 1950 წლიდან მადის აღმძვრელად იყენებენ. ეს არის ძალიან ძლიერი ტოქსინი და, ამავდროულად, ნარკოტიკი, რომლის წყალობითაც ბავშვები და ახალგაზრდები ჩიპსებზე დამოკიდებული ხდებიან.

ნატრიუმის გლუტამატი ასევე შედის ძეხვეულისა და სოსისების შემადგენლობაში. სწორედ ამის გამო ევროკავშირში ძალიან სერიოზული დისკუსია მიდის იმის თაობაზე, საერთოდ ხომ არ შეაჩერონ ძეხვეულისა და კონსერვების წარმოება ანდა დაამზადონ მხოლოდ ისეთი ძეხვეული, რომელიც იქნება მალფუჭებადი. **როცა შემწვარ ან მოხარშულ კარტოფილს პურს ვაყოლებთ, ამით ორგანიზმს საშინელ ზიანს ვაყენებთ.** კარტოფილის ფქვილს ადრე შპალერის გასაკრავად იყენებდნენ. წებოვნებას კარტოფილი ნაწლავებშიც ინარჩუნებს. დიახ, ნაწლავებში მოხვედრილი კარტოფილი ნამდვილი წებოა, რომელიც სხვადასხვა წვენს შეერევა თუ არა, წარმოიქმნება წებოს მსგავსი ბლანტი, სქელი მასა — **კლეისტერი,** რომელიც ნაწლავის ხაოებს თავებს გადაუგლისავს, შეწოვის ფუნქციას დაუკარგავს და იოდის ათვისებას თრგუნავს. ყოველივე ამან შესაძლოა, კუჭ-ნაწლავის დაავადებები და ფარისებრი ჯირკვლის პრობლემები გამოიწვიოს. განსაკუთრებით სახიფათოა კარტოფილი ფრი, რადგან წყალი გამოცლილი აქვს, ხოლო მისი ადგილი უჭირავს ცხიმს, რომელზეც მას წვავენ. კარტოფილი ფრის კალორიულობა, როგორც წესი, ძალზე მაღალია, ის სწრაფად ასუქებს და მასში შემავალი ცხიმი კანქვეშ გროვდება. არსებობს მეორე საშიშროებაც — კარტოფილი ფრის მაღალი ტემპერატურის პირობებში ზეთზე წვავენ, რა დროსაც წარმოიქმნება კიბოს გამომწვევი კანცეროგენები, ანუ ტრანსცხიმები. სწორედ ამით არის განპირობებული შეერთებულ შტატებში ნაწლავური სიმსივნის მატება... ამერიკაში კარტოფილი ფრის ყველაზე მეტად მოიხმარენ. გარდა ამისა, მასში შემავალი ტრანსცხიმები სისხლძარღვებს ახშობს და ვინც ამ პროდუქტს ხშირად მოიხმარს, დემენცია უვითარდება!



# „2001 წლიდან საფრანგეთის სკოლებში კეტჩუპის გაყიდვა აკრძალულია!“

# „მაიონეზის ხშირი ჭამა ცხიმების დაგროვებასა და ღვიძლის უჯრედების გადაგვარებას იწვევს, რაც ციროზისკენ მიმავალი უმოკლესი გზაა!“

**— მაიონეზი რაღას გვიშავებს და რატომ არ უნდა ვჭამოთ?**

— მაიონეზის შექმნის ისტორია დაკავშირებულია **კარდინალ რიშელიესთან.** ომის დროს რიშელიემ ალყა შემოარტყა ესპანურ ქალაქ მაიონს. მოალყეებს მობეზრდათ ერთი და იგივე საკვების მიღება... ამასობაში ფრანგულ ჯარს სურსათიც ამოეწურა და დარჩა მხოლოდ ზეთი, კვერცხი, ლიმონი და მდოგვი. რიშელიემ ჯარის შეფპოვარს უბრძანა, რომ ამ ინგრედიენტებისგან მოემზადებინა რაიმე განსხვავებული საკვები. სწორედ ასე შეიქმნა მაიონეზი, რომელიც შემდეგნაირად მზადდება: *1 უმ კვერცხს შევურიოთ 1 ჩაის კოვზი მდოგვი, ჩავაწუროთ ნახევარი ლიმონის წვენი და დავასხათ 150 გრამი მცენარეული ზეთი — მზესუმზირის ან ზეითუნის. ყოველივე ეს კარგად ავთქვიფოთ და მიღებული მასა შევდგათ მაცივარში. მივიღებთ მაიონეზს.* ერთი შეხედვით, მაიონეზი სასარგებლო პროდუქტია, რადგან მისი ყველა ინგრედიენტი ნატურალურია, კლასიკური მაიონეზის 70 პროცენტი, მართალია, მცენარეულია, მაგრამ მაინც ცხიმია. ამის გამო მისი კალორიულობა ძალზე მაღალია. მზესუმზირის ზეთის კალორიულობა 900 კილოკალორიაა, რაც პურის კალორიულობას ორნახევარჯერ აჭარბებს. ამიტომ მაიონეზის ხშირი ჭამა ცხიმების დაგროვებასა და ღვიძლის უჯრედების გადაგვარებას იწვევს, რაც ციროზისკენ მიმავალი უმოკლესი გზაა. ქარხნული წესით დამზადებულ მაიონეზს შენახვის ვადის გასახანგრძლივებლად მარილს, შაქარსა და ძმარს უმატებენ, რაც თავისთავად მავნეა.

არის ერთი საშიშროებაც — ქათმის კვერცხი ხშირად დაინფიცირებულია სალმონელათი, რომელიც კვერცხის ნაჭუჭის ფორებში ადვილად აღწევს. სალმონელა მხოლოდ კვერცხის მოხარშვის ან შეწვის დროს იღუპება. რადგან მაიონეზს ნედ-

## კვირგვინოსნები

**ვასო კორნიენკო**
*მომღერალი*



**ქართველი ვარ!** ერთხელ უკრაინელი დამიწერეს და ერთი ამბავი ავტეხე. **კი, ქართველი ვარ, უკრაინული ძირებით — კორნიენკო,** თუმცა, სული და გული ქართული მაქვს. **იმ ქალაქში რომ გაიზრდები, სადაც მეფე ერეკლე დადიოდა, იმ სკოლაში რომ ისწავლი, სადაც ვაჟა-ფშაველა სწავლობდა,** ეს სიამაყის განცდას იწვევს... თელავში **მეფე ერეკლეს** სასახლეა ერთადერთი ადგილი, რაც ხელუხლებელი გადარჩა. ჩემს ბავშვობაში მახსოვს, იქაურობას ერთი ავტომატიანი კაცი იცავდა, რომელიც ძირითადად სულ თვლემდა. მაგით ვსარგებლობდით, **შევიპარებოდით და ერეკლეს ხმლით ვთამაშობდით.**

„კვირის პალიტრა“

**ივანე ჩხაიძე**
*იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი, პროფესორი*



საუბარი იმაზე, რომ **მეტაპნევმოვირუსმა** შესაძლოა პანდემია გამოიწვიოს, არასწორია. **მეტაპნევმოვირუსს** ძირითადად გაციების მსგავსი კლინიკური ნიშნები აქვს. ესაა **დაბალი ტემპერატურა, 37,5-38,5 გრადუსის ფარგლებში, ცხვირით სუნთქვის გაძნელება ან ცხვირიდან გამონადენი, ხველა, ყელის ტკივილი.** მას ნაკლებად შეუძლია ფილტვის ანთების, სუნთქვის უკმარისობის გამოწვევა... **მეტაპნევმოვირუსი** ძირითადად სასუნთქ სისტემას აზიანებს და მან შეიძლება ორი გართულება გამოიწვიოს: **ბრონქების ან ფილტვების ანთება.**

„კვირის პალიტრა“

**გიორგი კავლიაშვილი (მესტერი)**
*მომღერალი*



**ძველმა პრეზიდენტმა** არ ისმინა და **ახალ პრეზიდენტს** ვთხოვდი, **შეიწყალოს უკვე ბრალმისჯილი ლევან ზურაბაშვილი** — ადამიანი, რომელიც **ყუმბარის ფორმის სანთებლით შეიჭრა მიკროსაფინანსო ბანკში აზარტული თამაშების გაუქმების მოთხოვნით** და მოწმეების თქმით, მას არ გამოუვლენია არანაირი ბოროტი ზრახვა ვინმეს მიმართ!

„ახალი თაობა“

ლი კვერცხი სჭირდება, ამიტომ სალმონელოზისგან დაზღვეული არ ვართ! მწარმოებლებმა მიმართეს ეშმაკურ ხერხს და თითქმის ყველა მაიონეზს გარეკანზე აწერია, რომ დამზადებულია მწყრის კვერცხისგან, რომელიც სალმონელას არ ატარებს, მაგრამ ესეც ბლეფია... თუ გავითვალისწინებთ იმას, რა ღირს 1 ცალი მწყრის კვერცხი, მაშინ შეუძლებელია, მისგან დამზადებული მაიონეზი იაფი იყოს! სინამდვილეში მწარმოებლები ქათმის კვერცხში მწყრის კვერცხის უმნიშვნელო რაოდენობას ურევენ და მაიონეზს ისე ამზადებენ!

**— რას გვიშავებს მაკარონი, რომელიც მთელი იტალიის ეროვნული კერძია?**

— თუ მაკარონი მაღალი ხარისხის ხორბლისგან არის დამზადებული, სასარგებლოა, რადგან დიდი რაოდენობით უჯრედისს შეიცავს. იტალიაში სწორედ ასეთ მაკარონს მიირთმევენ... მაგრამ მაკარონის უმრავლესობა უხარისხოა, რაც მუცლის შებერვასა და ნაწლავებში საჭმლის დუღილს იწვევს. გარდა ამისა, მაკარონი, როგორც ნახშირწყალი, შეუთავსებელია ცხიმებთან. **ქარაქი, ხორცი და ყველი მაკარონთან დისონანსში მოდის.**

**— კეტჩუპი რატომ არის უსარგებლო პროდუქტი?**

— კეტჩუპი ამერიკაში ჩინელებმა შეიტანეს და მისი სახელიც ჩინურია — **„კეტ ცუაპ".** მისი ინგრედიენტები ნატურალურია — პომიდორი და წიწაკა. კლასიკურად, ოჯახის პირობებში მომზადებული პომიდვრის საწებელა ჯანმრთელობისთვის ძალზე სასარგებლოა, რადგან პომიდორი შეიცავს ლიკოპინს, რომლის რაოდენობაც თერმული გადამუშავების შედეგად იზრდება. სწორედ ლიკოპინი ებრძვის კიბოს უჯრედებს, დაბლა სწევს ცუდ ქოლესტერინს და არაჩვეულებრივია გულ-სისხლძარღვთა სისტემისთვის, მაგრამ ქარხნულად მომზადებულ კეტჩუპს შენახვის ვადის გასახანგრძლივებლად და გემოს მისაცემად ხშირად უმატებენ მარილს, სახამებელს, შაქარსა და კონსერვანტებს. ეს ყველაფერი კი კეტჩუპს ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქტად აქცევს, რადგან უმატებს წნევას და იწვევს წონის მატებას. ამიტომაც არის, რომ 2001 წლიდან საფრანგეთის სკოლებში კეტჩუპის გაყიდვა აკრძალულია. რადგან კეტჩუპი შეიცავს ძმარსა და ლიმონს, ამიტომ ის იწვევს გასტრიტსა და გულწვას. აქედან გამომდინარე, უპირატესობა მივანიჭოთ ოჯახურ პირობებში დამზადებულ საწებელს, რომელიც ყოველგვარი კონსერვანტების, სახამებლისა და შაქრისაგან დაცლილი იქნება!

**— მარგარინი რას გვიშავებს?**

— საერთოდ, სახიფათოა ყველა ის პროდუქტი, რომელიც ტრანსცხიმს შეიცავს. ტრანსცხიმი არის მცენარეული ზეთი, რომელიც თერმული დამუშავების შედეგად მყარ ნივთიერებად გარდაიქმნება და ჰიდროგენიზირებულია, რათა შენახვის ვადა გაეზარდოს. ტრანსცხიმის კლასიკური ნიმუშია მარგარინი, რომელიც, ფაქტობრივად, მკვდარი პროდუქტია. მარგარინი მზეზეც რომ დადოთ, არ გაფუჭდება. მარგარინისგან დამზადებული ლობიანების, ნამცხვრებისა და ტკბილეულის მიღება დაუშვებელია და უმოკლესი გზაა კიბოსკენ!

**— შებოლილი ხორცი და თევზი რა საფრთხის შემცველია?**

— საერთოდ, ნებისმიერი შებოლილი პროდუქტის მთავარი ნაკლი ის არის, რომ შებოლვის პროცესში მასში მეტ-ნაკლები რაოდენობით გროვდება კანცეროგენური ნივთიერება **ბენზოპირენი.** ამიტომ შებოლილი პროდუქტების ხშირი და ჭარბი გამოყენება კიბოს იწვევს! იაპონიაში, როცა შებოლილი თევზის მოხმარება ერთხანს მოდაში შემოვიდა, ძალიან სწრაფად იმატა საჭმლის მომნელებელი სისტემის სიმსივნეებმა. შებოლილ პროდუქტებს ფერის მისაცემად ნიტრატებსაც უმატებენ, რაც არის შხამი. ახალგაზრდა ორგანიზმი ამ ნიტრატებს ასე თუ ისე ერევა, მაგრამ მერე უკვე ნიტრატები



# „მამაკაცები, რომლებიც ლუდს ხშირად სვამენ, პოტენციას კარგავენ და ქალებს ემსგავსებიან!"

## „შებოლილი პროდუქტების ხშირი და ჭარბი გამოყენება კიბოს იწვევს!"



ორგანიზმში იწყებენ ჩალაგებას და უმძიმეს პრობლემებს გვიქმნიან. რაც შეეხება თევზის კონსერვს, იგი სტანდარტულად შემდეგი ნაწილებისაგან უნდა შედგებოდეს: საკუთრივ თევზი, მცენარეული ზეთი ან ტომატის სოუსი, მარილი და ზოგჯერ ხახვი და სხვა სანელებლები... თევზის კონსერვის ძირითადი კომპონენტი გახლავთ თევზში შემავალი ცილა. გარდა ამისა, ის შეიცავს „ომეგა-3"-ს, ცხიმოვან მჟავებს და D ვიტამინს. თევზის კონსერვში შემავალი მცენარეული ზეთი, მხოლოდ და მხოლოდ, მზესუმზირის უნდა იყოს!

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ თევზი, რომელიც დამუშავების შემდეგ თუნუქის ჰერმეტულ ქილაში იდება, გამომშრალია და უგემური, მზესუმზირის ზეთი კი მას ძალიან სასიამოვნო გემოს აძლევს და კალორიულობასაც ზრდის.

**— თევზის კონსერვში უფრო ძვირფასი ზეითუნის ზეთის გამოყენება რატომ არ შეიძლება? მას იგივე ეფექტი არა აქვს?**

— ჯერ ერთი, ზეითუნის ზეთი მზესუმზირის ზეთზე ბევრად ძვირია; მეორე — მხოლოდ მზესუმზირის ზეთში შედის E ვიტამინი, რომელიც ძლიერი ანტიოქსიდანტია და ხელს უშლის სიმსივნის განვითარებას! დაკონსერვებული თევზი, რომელიც ტომატის სოუსშია მოთავსებული, თევზის ზეთიან კონსერვთან შედარებით ნაკლებად კალორიულია. ამიტომაც, ვისაც ჭარბი წონა აწუხებს, ზეთიანი თევზის კონსერვები და, განსაკუთრებით, ძალიან გემრიელი შპროტი დაივიწყოს და უფრო ტომატიანი თევზის კონსერვებით დაკმაყოფილდეს.

**— ე.წ. პაკეტის სუფებზე, ბულიონებსა და კანფეტებზე რას გვეტყვით?**

— უსარგებლო და ჯანმრთელობისთვის საშიშია პაკეტებში მოთავსებული ბულიონები, რომლებიც ათასგვარი შხამქიმიკატებით არის გაჯერებული.პირდაპირ ვაცხადებ: ე.წ. ერთჯერადი ბულიონები ორგანიზმს ანგრევს! მაგალითად, ჩემთვის ცნობილია და მოსახლეობასაც ვაფრთხილებ, რომ საქართველოში ცნობილ და ყველასთვის საყვარელ კერძს — თათარიახნს, რომელიც ნაბახუსევზე საუკეთესო წამალია, ბევრგან ერთჯერადი ბულიონის წვენში კმაზავენ, რაც დაუშვებელია! როდესაც ერთჯერადი და ტრანსცხიმებით გაჯერებული ბულიონი ორგანიზმში ხვდება, ნაწლავების მიერ იმდენად სწრაფად შეიწოვება, ღვიძლი მის გადამუშავებას ვერ ასწრებს. ამდენად, მთელი შლამები და ტოქსინები, რომლებიც ღვიძლს უნდა გაეფილტრა, პირდაპირ სისხლში გადადის და ორგანიზმი იშხამება. ეს ეხება სწორედ ერთჯერად ბულიონებს, რომელთა შენახვის ხანგრძლივობაც სწორედ ტრანსცხიმებითა და ემულგატორებით გახლავთ უზრუნველყოფილი.

ასევე უსარგებლო და მავნეა შოკოლადის ბატონები და ნაირგვარი კანფეტები, რომლებიც **ნატრიუმის გლუტამატს** შეიცავენ. ადრე კანფეტებს მცენარეებისგან დამზადებული ბუნებრივი ფერებით ღებავდნენ, ხოლო ახლა ყველგან გამოიყენება ქიმიური ხსნარები, რაც ორგანიზმის ჯანმრთელობას ანგრევს. რაც უფრო კაშკაშა და არაბუნებრივი ფერითაა შეღებილი კანფეტი, მით უფრო უნდა მოვერიდოთ მას.

**— თქვენ საშიში პროდუქტების სიაში შეიყვანეთ ე.წ. ჩიპსები, რომელიც ბავშვებს ძალიან უყვართ!**

— 2013 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მე-8 გლობალურ კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა იმდროინდელი ჯანმოს გენერალური მდივანი **მარგარეტ ჩენი** და ათი ყველაზე მავნე პროდუქტი დაასახელა. პირველ საშიშ პროდუქტად მან სწორედ **ჩიპსები** დაასახელა... **მარგარეტ ჩენის** მიერ წამოდგენილი საშიში პროდუქტების ათეული ასე გამოიყურება:

1. „ჩიპსები" და კარტოფილი ფრი;
2. ბურგერები და ჰოთ-დოგები;
3. ძეხვი და კონსერვები;
4. პაკეტებში შეფუთული სწრაფი მომზადების კერძები;
5. მაიონეზი და კეტჩუპი;
6. შოკოლადის ბატონები და სალეჭი კანფეტები;
7. ტკბილი, გაზირებული წვენები;
8. პოპკორნი;
9. ალკოჰოლი;
10. დაბალკალორიული და ცხიმგაცლილი პროდუქტები.

ისღა დამრჩენია, გითხრათ, რომ ქალბატონ**მარგარეტ ჩენს** ყველაფერში ვეთანხმები!

**— ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, ცხადია, საშიშია, მაგრამ თქვენ საგანგებოდ გამოყავით ლუდი. განა ასეთი საშიში პროდუქტია?**

— დიახ, ლუდი მართლაც ძალიან სახიფათოა, არადა, ბევრს რატომღაც უწყინარი სასმელი ჰგონია. ლუდის ხშირი მიღება მამაკაცებში იწვევს სასქესო ჰორმონის — **ტესტოსტერონის** შემცირებას და ქალთა სასქესო ჰორმონების — **ესტროგენების** რიცხვის მატებას. ამიტომ მამაკაცები, რომლებიც ლუდს ხშირად სვამენ, პოტენციას კარგავენ და ქალებს ემსგავსებიან!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***





## „მარგარინისგან დამზადებული ლობიანების, ნამცხვრებისა და ტკბილეულის მიღება დაუშვებელია და უმოკლესი გზაა კიბოსკენ!"

### კვირგვინოსნები

**დათო ლიკლიკაძე**
*ჟურნალისტი*



**მაქვს ბინები, ბანკში თანხა** და რამე რომ დამემართოს, **ჩემს შვილსა და ცოლს არაფერი მოაკლდებათ.** სახლში მაცივარი რომ გამოტენილია, მეორე დღეს რამეს ხომ გამოიღებ და პატარა ადგილი განთავისუფლდება, მე უკვე ცუდად ვარ, უნდა წავიდე და მაშინვე შევავსო. **მშვიდად მხოლოდ მაშინ მძინავს, თუ მაცივარში ადგილი არ არის.**

„თბილისელები"

**რამაზ გახოკიძე**
*აკადემიკოსი*



**ენერგეტიკული სასმელები** შეიცავს საკმაო რაოდენობის ნივთიერებებს, რომელთაც შეუძლია **ოფლიანობის, უძილობის გამოწვევა, კუჭ-ნაწლავის გაღიზიანება და წნევის მომატება, ასევე იწვევენ სიმსუქნეს. ენერგეტიკული სასმელები** თავდაპირველად ამაღლებენ ტონუსს, შემდეგ კი **იწყება გამოფიტვა.**

„რეზონანსი"

**მალხაზ დოლიძე**
*„საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის" თავმჯდომარე*



თბილისში არ არის მანქანა, რომელიც **პურს ავტომატურად ჩააწყობს პოლიეთილენის პარკში,** ხელით აწყობენ. **ასეთი ერთი დანადგარი 6 კაცის საქმეს გამოათავისუფლებდა.**

„კვირის პალიტრა"

**ოთარ ანგურიძე**
*ეკონომისტი*



**ლარის მეტად გაუფასურებას არ ველოდები.** დღეს რა სურათიც გვაქვს და რაც ბოლო 4-5 თვეში ვნახეთ, დავრწმუნდით, **რომ ეროვნული ბანკი ისეთ მოწოდების სიმაღლეზეა,** როგორზეც მანამდე არ ყოფილა.

„რეზონანსი"

# მოგელანდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად




# პირი მოიჭრა!

ამისი ყოფილი თანამშრომლები მეუბნებიან — **6 წლის განმავლობაში სელფის გადაღება ვერ ვასწავლეთო! ხან ისეთ რაღაცას გადაიღებდა და გამოდებდა, სირცხვილით ვიწვოდითო... ეგ რო ტელეფონს აიღებდა, გვეშინოდაო.**

თქვენ კიდე იძახით, ქართული ვერ ისწავლაო... კადრის გასწორებას და კლავიშზე თითის მიჭერას ვერ ახერხებს და ქართულს რანაირად ისწავლიდა?

☺

და მაინც, **ამ სურათით რას გვეუბნება?**

**ეგე,** თუ არა ვარ იქ, სადაც



**ტრამპი** გამოდისო!

**ეგე,** ჩემს უკან მაღალში **ტრამპიაო!**

**ეგე,** გასკდით შურითო!

**ეგე,** თუ არა ვარ ლეგიტიმური პრეზიდენტიო!

**ეგე,** ეხლაც იტყვით, ვადა გაგივიდაო?!

☺

რავი, კაცო, თავიდან გვერდით ოთახში იჯდა ტელევიზორთან, ეტყობა, მერე იმ დაქნეულმა სენატორმა შეიყვანა **სურათის გადასაღებად** და მოიჭრა საკუთარი თავი ქვედა ყბის ქვემოთ... მაგრამ რა უჭირს, **ტრამპი** ხომ ჩანს?

# ИДИ НА ИНАУГУРАЦИЮ!

მივიდა, შეხედა, წაიკითხა და ჩაილაპარაკა — **უველაფერი გასაგებიაო!**

**რა არი გასაგები, სოლომონ ისაკიჩ?** ღირდა კი მაგის წასაკითხად აშშ-ში ჩასვლა და თეთრი სახლის მიდამოებში თოხარიკი? გეთქვა **გრიგოლ ვეზელიასთვის** და მაგ სურათს გამოგიგზავნიდა.



# სად მომეჭიდეო?

**ბესიკ ხარანაულს** ახალი ლექსი გამოუქვეყნებია, რომელსაც ნაცთა მოდგმა აპლოდისმენტებით შეხვდა!

გენიოსიო... შედევრიო... კლასიკაო... არაჩვეულებრივიო... ზეშთაგონებულიო... **გალაკტიონი** ჩამოიტოვაო... პოეზიის მეფეო... ზოგიერთს ცრემლებიც კი წასკდა აი, ამ ლექსის წაკითხვისას:

**„ნეტა ვიყო მე ჭალა**
**და მინდორი,**
**ვივლიდი და შენ**
**გიმღერებდი,**
**ჩემო ქვეყანავ,**
**რადგან ფურცელზე**
**ვერ ეტევა ჩემი**
**სათქმელი.**
**ვივლიდი და რიყეს**
**დავუკრავდი:**
**ამყვებოდა ქვა**
**და ქვიშა,**
**მოისმენდნენ სხვა**
**ჭალები, სხვა რიყეები,**
**ხალხი გაიგებდა,**
**ყურში მკვირცხლად**
**შემავალ ხმას**
**მთელი ქვეყნის**
**ჭალა-მინდვრებისა.**
**ამოვიდოდა სისხლი**
**მიწაზე,**
**ცარიელზე ციხეები**
**წამოდგებოდნენ,**
**და, გავიგონებდი**
**წინაპრის ხმას:**
**— მე მომეჭიდე!“**

☺

რავი, აბა? მე, პოეზიის უცოდინარმა, ვერაფერი გავიგე. ეტყობა, ეს ახალი სტილის პატრიოტული ლექსია — არც რითმა, არც რიტმი, არც წყობა, არც არაფერი... ეგებ მართლა არ მესმის? ეგებ მართლა დამიჩლუნგდა გემოვნება და სიტყვის შეგრძნება?

ისე, რაღა დაგიმალოთ და ფინალი მაინც მომეწონა — **„მე მომეჭიდე“!**

ჰო, წინაპარი ამბობს, **მე მომეჭიდეო!**

**სად მომეჭიდეო,** ბესიკა ძიავ, **სადაო?!**

# ხალხი ვერ გაფიცეს!

**გოგიამ — ვინც გაიფიცება და სხვასაც გაფიცავს, მთელი ცხოვრება გავუკეთებ რეკლამასო!**
**იმავე გოგიამ — ვინც არ გაიფიცება და სხვასაც არ გაფიცავს, მთელი ცხოვრება გავუკეთებ ანტირეკლამასო!**
ჩემ ნათქვამს გაგებით მოეკიდეთ, მე არც ბლოგერი ვარ, არც ინფლუსერი, მაგრამ მყავს გამომწერები და ვარ ძალიან ცნობადიო.

☺

**გოგი,** იცი, რას გეტყვი?! ჯერ უნდა გაგესწორებინა ეგ შენი რბილი **„ლ“**, მერე უნდა გაგესწორებინა „ზაჟიგანია“, დაგერეგულირებინა კლაპნები, ასევე უნდა გაგესწორებინა „რაზვალი“, კარგად უნდა გამოგეტირებინა ის ქალი, „კრაოტში“ რომ ეჯაჯგურე და მერე შეგეთავაზებინა გაფიცულ-გამფიცავებისთვის შენი რეკლამა.

☺

ისე კი, არ გამოგივიდათ, **გოგია,** ხალხის გაფიცვა და ერთი-ორი გამოშტერებულის გარდა, არავინ დაგიჭირათ მხარი. **ასე რომ, ახლა გინდა, უკანალზე აიკარი ეგ შენი რეკლამა და გინდა, სააკაშვილს აეკარი უკანალზე პლაკატივით!**



## კვირგვინოსნები

**თამარ კიკნაძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარი*



დასავლეთთან ჩვენი ურთიერთობა გამწვავებულია, რადგან **ისეთი მოთხოვნები აქვთ, რისი შესრულებაც ჰარაკირის ტოლფასია.** კარგი იქნება, თუ **ნაცებს და მის სატელიტებს პოლიტიკაში მოსვლა აეკრძალებათ.**

„საერთო გაზეთი“

**გიორგი სავანელი**
*თეატრის რეჟისორი*



მე თეატრის რეჟისორი ვარ და თეატრიდან გამომდინარე ვიტყვი, რომ **დღევანდელი პოლიტიკური მოვლენები არის სატირისა და დისტოპიური ჟანრის უცნაური ნაზავი.** მგონია, რომ ფინალი იქნება ოპტიმისტური. ჟანრობრივად ამ მოცემულობას **ტრაგედიის ელემენტებიც თან ახლავს.**

„ახალი თაობა“

**ამირან სალუქვაძე**
*ანალიტიკოსი*



ოპოზიციის მიერ **დაშინებული ბიზნესის მიერ ორგანიზებული ე.წ. გაფიცვა, სინამდვილეში, საბოტაჟია.** დანამდვილებით ვიცი, რომ აშინებენ და ამუნათებენ.

„რეზონანსი“

**ია ფარულავა**
*მსახიობი*



არ იქნება **სამართალი** და არ იქნება ჩვენთან **მშვიდობა!**

„ახალი თაობა“

**ნინო ბურდული**
*მსახიობი*



**სად არის ჩვენი ნაქები რეფორმირებული სასამართლო?**

„ახალი თაობა“




# ჩემისიანები

როდესაც ე.წ. ოპოზიციურმა პარტიებმა არჩევნები წააგეს, მეორე დღესვე განაცხადეს — **ორშაბათიდან რეგიონებში ვიწყებთ სიარულს, ყველა ოჯახში შევალთ, თითოეულ ადამიანთან მივალთ და მოვუყვებით, როგორ გააყალბა არჩევნები „ქართულმა ოცნებამ“, ჩათვალეთ, რომ დაგერხათო!**

რეგიონებში დღემდე **არავინ** გამოჩენილა!

როდესაც **სალომე ბაბოს** ვადა გაუვიდა, მეორე დღესვე თავისი ჩიქორთული განაცხადა — **ორშაბათიდან რეგიონებში გავდივარ, ყველა ოჯახში შევალ, თითოეულ ადამიანს შევხვდები და მოვუყვები, რომ მე ერთადერთი ლეგიტიმური პრეზიდენტი ვარ, ჩათვალეთ, რომ დაგერხათო!**

რეგიონებში **სალომე ბაბო** დღემდე არ გამოჩენილა!

ახლა ესენი — ე.წ. რეჟისორი და ე.წ. მსახიობები **(არ მყავდნენ ესენიც მელვინეთუხუცესები და ჩხიკვაძეები!)** გამოხტნენ. ჯერ 23 იანვრამდე იტრიპაჩეს — **ახლა ნახავთ, რასაც ვიზამთო,** გვალოდინეს, მერე თეატრის წინ რაღაც სირთაოზული წარმოდგენა გამართეს, მანამდე **დოიმ** იქნია ხელები და ბოლოს თავისი უნაზესი ხმით დაასრულა: **ორშაბათიდან რეგიონებში გავდივართ, ყველა ოჯახში შევალთ, თითოეულ ადამიანს შევხვდებით და ავუხსნით, რა ძალა აქვს თეატრს, ჩათვალეთ, დარხეული გაქვთო!**

დარწმუნებული ვარ, ამათგან რეგიონებში არავინ გამოჩნდება, ხოლო მაგ **ჩანჩურა დოის** ვინმემ გადასცეს — **დრო შეიცვალა, ახლა ლენინის ხმით რევოლუციას ველარ მოახდენ, მინიმუმ, სპარტაკ ბაღაშვილისა თუ არა, დავით სოკოლოვის ხმა მაინც უნდა გქონდეს-თქვა.**

რატომ იყენებენ ეს მოქალაქენი **რეგიონებს** დამამძიმებელ გარემოებად? რატომ გვემუქრებიან წამდაუწუმ **რეგიონებით?** ეგენი ხომ **რეგიონებში** პანჩურის მეტს არაფერს მიიღებენ? ეგეც რომ არ იყოს, **რეგიონებში** ხომ ახლა მაგათთვის არავის სცალია?

ზუსტად ვერ გეტყვით... ზოგი ამბობს — **ასე ფულს უკეთესად ახევენ თავიანთ პატრონებსო...** ზოგი ამბობს — **ეს თავის დაძვრენის ერთ-ერთი კარგი საშუალებააო...** ზოგი ამბობს — **სცენარი აქვთ ეგეთი და მაგას მიჰყვებიანო.** მე პირადად აქედან ყველაზე „ჭკვიანური“ მაინც **ფულის ახევა** მგონია. აახიონ, მაგათი პატრონი დედაც, ეგ ხო მაინც ლილოში ან ნავთლუღის ბაზარში იხარჯება?

რაც შეეხება რეგიონებს... ფცხიიიიიიინკ! უკაცრავად, დამაცემინა.

☺

ჰო, კიდე ისაო — **ეს ქვეყანა ჩემიაო!** — იძახის **დოი** და იძახიან ვილაცები.

**თქვენი ის არი, ამ დილას მამედას ძროხამ რო დატოვა გაჩიანის გადასახვევთან და შაქრო პაპას ვირმა რო დაყარა ქვემო მაჩხაანის აღმართზე!**




## სხვის ფულებში ცხვირი რატომ უნდა ჩაყოს?!

ალბათ, გახსოვთ, ამას ფარული ჩანაწერი რომ გაუჩალიჩეს ისევ თავისიანებმა. მაშინ მოსთქვამდა — **„ქართულ ოცნებაში“ სუ დაბანილ-დავარცხნილ-განათლებულები არიან და აქეთ კიდე ყველა ჭუჭყიანიაო.** თან დასძინა — **მე ფული მინდა, არსებობა მინდა, ეგრე სად არიო?** ისეთ ბინძურ სიტყვებს ხმარობდა ვიღაც მუდრეგთან საუბარში, ყურო, ნუ გაიგონებ!

გამოხდა ხანი და... ეს გავარვარებული ნაცი **მამუკა ხაზარაძის უბორნიაში** გადასკუპდა... რა თქმა უნდა, ფულის გამო. **ქალბატონ მეხრიბეკიანს ბიძინა ივანიშვილზე** რა ეთქმის?!

გვაჩვენოს თუნდაც ერთი ადამიანი, რომელიც მან გადაარჩინა და ვიტყვი, რომ ის **მეხრიბეკიანი კი არა, ბაგრატიონია.**

გვაჩვენოს თუნდაც ერთი ხე, რომელიც მან სადმე დარგო და ვიტყვი, რომ ის **მეხრიბეკიანი კი არა, ჩოლოყაშვილია.**

რაც **ბიძინა ივანიშვილმა** გაიღო ამ ქვეყნისთვის, **მეხრიბეკიანის** შთამომავლობა იმის მემილიონედს ვერ გაიღებს და **სხვის ფულებში ცხვირი რატომ უნდა ჩაყოს?!**





იმედის კლინიკა
თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა
imediclinic.com
* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი
პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო
სამშობიარო: 032 229-56-50
პედიატრიული კლინიკა: 032 223-85-80
სამშობიარო სახლი და პედიატრიული კლინიკა



მაღაზია «ბუკვიცა»
ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე
574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90
მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.




საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა
გიდმედი
გქონდეთ ჩვენი იმედი!
ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია
თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55




შპს «აივეი»
გთავაზობთ
ბეტონის მშრალი იატაკის დამცავ და წყალგაუმტარ ლაქს შიდა და გარე გამოყენებისათვის
უზრუნველყოფს ბეტონის ზედაპირის დაცვას ამტვერებისაგან და მექანიკური ზემოქმედებისაგან ქარხნებში, საწყობებში, პარკირების ადგილებში, საფეხმავლო ბილიკებსა და ტროტუარებზე. ხელს უშლის ბზარების გაჩენას, არ შეიცავს ტოქსიკურ ნივთიერებებს, მედეგია ქიმიკატების მიმართ.
თბილისი, აგლაძის №32, მაღაზია 29
+995 511 239 088, +995 591 502 580
info@iway.ge


## კვირგვინოსნები

**თეა გოდოლაძე**
*დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორი*



როდესაც **მიჯრით უზარმაზარ კორპუსებს აშენებენ,** უნდა გაიხსენონ, რომ ამ კორპუსებში ხალხმა უნდა იცხოვროს.

„კვირის პალიტრა“

**ელენე ცერცვაძე**
*არქიტექტორი, დიზაინერი*



ჯერ დიდი ცათამბჯენები არ გვაქვს და უკვე ვეღარ ვსუნთქავთ, **50-70-სართულიანი სახლები რომ აშენდება, მერე რა მოხდება?!** უზარმაზარმა კორპუსებმა ქალაქის იერიც დაამახინჯა, **ზოგიერთ უბანში ხალხი ვეღარც მზეს ხედავს და ვეღარც სუნთქავს.**

„კვირის პალიტრა“

**მერიკო კარტოზია**
*ტელეჟურნალისტი*



მსოფლიო მასშტაბის ამბავი იქნება — **კიდევ ერთი ქართველის მნიშვნელოვან მიღწევებსა და წარმატებებზე ალაპარაკდება ყველა!** გაბრწყინებას ვაპირებ ამერიკულ შოუბიზნესში. **ახლა ვაჩვენებ, რისი გაკეთება შემიძლია ამერიკაში.**

„სარკე“

**ზურაბ ანთელავა**
*მსახიობი*



**მსახიობს უნდა შიოდესო** — არსებობს ასეთი გამოთქმა. **რატომ უნდა მშიოდეს?!** საშინელებაა, ძალიან არასწორია.

„თბილისელები“

**ანი კეკუა**
*მომღერალი*



სიყვარულში მთლიანად ვიხარჯები, **მაგრამ მამაკაცები ისეთ გოგონებს აფასებენ,** ვისაც ცხვირი აქვთ აწეული.

„სარკე“

# რით უნდა ამაყობდეს ქართველი?

*დასაწყისი იხ. „ა–დ“, 2025 წლის №1–2, 3–4*

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი საქართველოს პრეისტორიული წარსულის საკვანძო საკითხებს მიმოიხილავს და აცხადებს, რომ ჩვენმა წინაპრებმა ისევე, როგორც შუმერებმა, ბრინჯაოს საიდუმლოს გამჟღავნებით, სხვა ტომებზე უპირატესობა დაკარგეს:***

— ობსიდიანისა და სპილენძის იარაღის მფლობელებს, როგორც სამეურნეო, ისე სამხედრო თვალსაზრისით, დიდი უპირატესობა ჰქონდათ ქვის, ძვლის, რქისა თუ ხის იარაღით აღჭურვილ ტომებთან შედარებით. ბრინჯაოს მეტალურგიის შექმნამ ეს უპირატესობა კიდევ უფრო საგრძნობი გახადა. ეს სხვაობა დაახლოებით იმას ჰგავდა, თანამედროვე ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილ არმიას მშვილდ-ისრით შეიარაღებული ჯარი რომ დაუპირისპირდეს. შესაბამისად, რაკი ბრინჯაოს იარაღი მის მფლობელებს წარმოუდგენლად დიდ უპირატესობას ანიჭებდა, ბრინჯაოს დამზადების ცოდნა უმაღლეს საიდუმლოებას წარმოადგენდა, რომელსაც მხოლოდ ქურუმები ფლობდნენ. ქურუმები, ამავდროულად, პოლიტიკური ლიდერის ფუნქციასაც ითავსებდნენ. ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე ათასწლეულის მეორე ნახევარში ეს ცოდნა მხოლოდ ჭოროხ-მტკვარ-არაქსის ხეობებსა და შუამდინარეთში მცხოვრებ ჩვენს წინაპრებს და მათ ნათესავებს ჰქონდათ. თვით ეგვიპტეშიც კი, ეს ცოდნა მხოლოდ 500 წლის შემდეგ, დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულის დასაწყისში, სწორედ ჩვენი სივრციდან შევიდა.

ცოდნა ბრინჯაოს მეტალურგიის შესახებ ეგვიპტეშიც ელიტის საიდუმლოებას წარმოადგენდა. სხვათაშორის, ეგვიპტეში, სადაც ელიტა და ქვედა ფენები თითქმის ყოველთვის განსხვავებული წარმოშობისა იყვნენ, მოსახლეობის ფართო ფენისთვის, როგორც ბრინჯაოს მეტალურგიის, ისე სხვა სახის სამეცნიერო თუ რელიგიური ცოდნა ყოველთვის მიუწვდომელი იყო და ამ ცოდნის წვდომასა და გამოყენებაზე მონოპოლია მხოლოდ ფარაონებსა და ქურუმებს ეკუთვნოდათ. კავკასიაში, მცირე აზიაში, ზაგროსის მთებსა და შუამდინარეთში ეგვიპტისგან სრულიად განსხვავებული სიტუაცია იყო.

**— რას გულისხმობთ?**

— აქ ელიტა და ქვედა ფენები ერთი და იმავე მოდგმის ხალხი იყო, რომლებსაც ნათესაობა აკავშირებდათ! ამ სივრცეში ქალი უფლებრივად სრულიად გათანაბრებული იყო მამაკაცთან. მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში ქალს უპირატესობაც კი ენიჭებოდა მამაკაცთან შედარებით. ამის საუკეთესო მაგალითად გამოდგება პროტოხეთების, ანუ **ხათების ქვეყანა,** სადაც დედოფალი თავანანა მეფესთან, ანუ თავარნასთან პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტის დროს ერთგვარი უპირატესობით სარგებლობდა. ამის ნათელი დასტურია საქართველოში **ნანას, ანუ დედის** განსაკუთრებული კულტი და მასთან დაკავშირებული ცნებები — **დედამიწა, დედაბოძი, გუთნისდედა, დედაქალაქი, დედაენა** და სხვ. ყველაზე სახელგანთქმული შუმერული ქალაქის — ურუქის მკვიდრთა მთავარი მფარველი იყო ქალი — **ინანა,** ანუ აქადურად **იშთარი** და **არა** — აქადურად **მარდუქი!** როგორც შუმერული წყაროებიდან და ქართული ტრადიციიდან ვხედავთ, ნებისმიერი საიდუმლო ცოდნა, რომელიც მედიცინას, მეტალურგიას ან სხვა რამეს შეეხებოდა, თანაბრად გადაეცემოდათ ქურუმის როგორც ვაჟ, ისე ქალ შთამომავლებს. ამის ნათელი დასტურია თურმანიძეებისა და პაჭკორიების სახელგანთქმული წამლები, რომლებიც ამ ოჯახების ქალებმა მამაკაცებზე არანაკლებად შემოგვინახეს. ამ დემოკრატიულმა და ღირსეულმა ტრადიციამ გადამწყვეტი როლი ითამაშა იმაში, რომ ბრინჯაოს საიდუმლო სხვა ტომებისთვისაც გახდა ცნობილი. მაგალითად, როგორც შუმერული მითი მოგვითხრობს, შუმერ ქალებს შეუყვარდათ და ცოლებად გაყვნენ შუამდინარეთში შემოხიზნულ და მწყემსებად დამდგარ მართუს ტომის მამაკაცებს, რომლებსაც ბიბლია **„წყეულ ამორეველებს“** უწოდებს. სწორედ შუმერი ქალების მეშვეობით აღიჭურვნენ ამორეველები ბრინჯაოს მეტალურგიის საიდუმლო ცოდნით და ამით გაძლიერებულებმა ჯერ ბაბილონი იგდეს ხელთ, ხოლო შემდეგ მთელი შუამდინარეთი დაიპყრეს.

ძველი წელთაღრიცხვის მე-18 საუკუნეში მოღვაწე ცნობილი კანონმდებელი **ბაბილონის მეფე ხამურაბი** (ძვ. წ. აღ. 1792-1750 წ.წ.) შუმერი ქალებისა და ამორეველი მამაკაცების შთამომავალია. სწორედ ხამურაბის ტირანიას გაექცა შუამდინარეთიდან შუმერულ ქალაქ ურში დაბადებული თანამედროვე ჭეშმარიტ ებრაელთა და არაბთა მამამთავარი **აბრაამი,** რომლის შვილებიც იყვნენ — **ისმაილი და ისააკი. ისმაილი აბრაამს** შეეძინა კანონიერი ცოლის — **სარას** მსახური ქალისგან — **აგარასგან,** საიდანაც მოდის სახელი „აგარიანი“, რაც ძველ ქართულში „არაბს“ ნიშნავდა. მას შემდეგ, რაც სარამ აბრაამს **ისააკი** გაუჩინა, სარამ აგარა და ისმაილი განდევნა. სწორედ აქედან მოდის ტერმინები — **„სარკინოზი“ და „სარაცინი“,** რაც ქართულად იშიფრება, როგორც **„სარასგან მემკვიდრეობის გარეშე გაშვებული“.** ისააკს ჰყავდა ორი ვაჟი — **იაკობი და ესავი.** სწორედ იაკობისგან მოდის ისრაელი...

**— მაშინ რა გამოდის, ებრაელები შუმერები არიან?**

— თანამედროვე კოენ ებრაელთა 57 პროცენტის **დნმ** J-2-ია. მეცნიერები ამ **დნმ**-ს **„აბრაამის დნმ“**-საც უწოდებენ. სწორედ ეს **დნმ** ჰქონდათ შუმერებსაც და ხურიტებსაც... ეს **დნმ** აქვს ქართველების 40 პროცენტს და ჩეჩნებისა და ინგუშების დაახლოებით 90-ზე მეტ პროცენტს. ყველაზე მთავარი — **უძველესი ქართველები ებრაელებს მოიხსენიებენ შემდეგი ტერმინებით – ჰურია ან ურია, ხოლო ქართველ ებრაელებს ეწოდებოდათ ჰურიანი ქართველნი. ეს ყველაფერი პირდაპირ მიუთითებს იმ ისტორიულ ფაქტზე, რომ ებრაელთა წინაპრები უძველესი შუმერული ქალაქის – ურის ძირძველი მკვიდრნი იყვნენ!**



## სვიმონ მასხარაშვილი:

## ქართველმა ხალიბებმა, ანუ ხალდებმა რკინის გამოდნობის საიდუმლოს მსოფლიოში პირველებმა მიაგნეს!

საქართველოდან ბრინჯაოს მეტალურგიისა და მედიცინის შესახებ საიდუმლო ცოდნა უცხო ტომელებზე ზუსტად იმავე მიზეზებით გავრცელდა, როგორც ეს შუმერში მოხდა. საქართველოდან ბრინჯაოს მეტალურგიისა და მედიცინის გავრცელება სიმბოლურად აღწერილია **„არგონავტიკაში“.** სწორედ **მედეამ** და სხვა ქართველმა ქალებმა, რომლებმაც მამაკაცებზე არანაკლებად იცოდნენ მეტალურგიისა და მედიცინის საიდუმლოება, ეს ცოდნა გაუმჟღავნეს ინდოევროპელებს, რომლებიც, ბერძნული მითის თანახმად, კოლხეთში **იასონის** მეთაურობით მოვიდნენ. თუმცა, ძველ ბერძნულ ისტორიოგრაფიაში ამ ამბის შესახებ ცოტა განსხვავებული ინფორმაციაც გვხვდება. კერძოდ, **სტრაბონის** მტკიცებით, **იასონმა მედეა** კი არ გაიტაცა, არამედ მედეაზე დაქორწინებისა და ბრინჯაოს მეტალურგიის შესახებ ცოდნის დაუფლების შემდეგ ბალკანეთს არ მიაშურა და მცირე აზიაში დასახლდა.

**— ეს რას ნიშნავს?**

— ჩვენი აზრით, ეს უფრო სწორი ინფორმაციაა და შემდეგნაირად უნდა გაიშიფროს — ზუსტად ხამურაბის ეპოქაში, ანუ ძველი წელთაღრიცხვის მე-19-მე-18 საუკუნეებში მცირე აზიაში დღევანდელი უკრაინისა და რუმინეთის ტერიტორიიდან გადმოსახლდნენ ველური, ჯერ კიდევ ქვის ხანაში მცხოვრები ტომები — ფალაელები და მესიტები. ისინი, ამორეველების მსგავსად, ჯერ მსახურებად დაუდგნენ ხათებსა და პროტოკოლხებს, მერე დაქორწინდნენ მათ ქალებზე, ქალების საშუალებით დაეუფლნენ ბრინჯაოს საიდუმლოს, ხათების მიბაძვით დაირქვეს **ხეთები** და მცირე აზიის ცენტრალურ ნაწილში გაბატონდნენ. თანამედროვე კვლევების თანახმად, როგორც სამეცნიერო ცოდნის, ისე რელიგიური რწმენა-წარმოდგენების გავრცელება ბალკანეთში მოგვიანებით გადმოსახლებულ ინდოევროპელებზე სწორედ ხეთებისგან უნდა მომხდარიყო. სწორედ ეს ინდოევროპელები — აქაელები, დორიელები და სხვები გადაიქცნენ **ელინებად,** ანუ ძველ ბერძნებად.

**— რამ განაპირობა ის ფაქტი, რომ ძველი წელთაღრიცხვის მე-20-მე-18 საუკუნეებში, ერთი მხრივ, ამორეველები გადმოსახლდნენ შუმერში, ხოლო, მეორე მხრივ, ინდოევროპელები გამოჩნდნენ მცირე აზიაში?**

— ამ ორ მოვლენას შორის პირდაპირი კავშირია. მეტიც, სწორედ ამ პერიოდში ჩვენი მონათესავე მწყემსები — ჰიქსოსები ჩრდილოეთ შუამდინარეთიდან ეგვიპტეს შეესივნენ. რუმინეთ-უკრაინის ტერიტორიიდან დაძრული ინდოევროპელი ტომების ერთი ნაკადი, რომელიც კელტებისა და გალების სახელით არის ცნობილი, ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში გადასახლდა. რაც შეეხებათ ე.წ. „ინდო-არიელებს“, სწორედ იმავე პერიოდში ისინი რუმინეთ-უკრაინის დღევანდელი ტერიტორიიდან ცენტრალური აზიის სამხრეთსა და ინდოეთში გადავიდნენ. სავარაუდოდ, ბრაჰმანებისა და ქშათრიების კასტები, მათ შორის, ინდოელი რაჯებიც, სწორედ მათგან უნდა მოდიოდნენ. ძველი წელთაღრიცხვის მე-20-მე-18 საუკუნეებში მოხდა მსოფლიო მნიშვნელობის მიგრაციები, რაც, როგორც ყოველთვის, განპირობებული იყო გლობალური კლიმატური ცვლილებებით.

**— რა ცვლილებები მოხდა ძველი წელთაღრიცხვის მე-20-მე-18 საუკუნეების საქართველოში?**

— ჩვენმა წინაპრებმა ისევე, როგორც შუმერებმა, ბრინჯაოს საიდუმლოს გამჟღავნებით, სხვა ტომებზე უპირატესობა დაკარგეს. როგორც ჩანს, ეს ჩვენი წინაპრების ეკონომიკურ მდგომარეობაზეც აისახა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში საქართველო და კავკასია არავის დაუპყრია, არქეოლოგიური მონაცემები გვიჩვენებს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა ჩაანაცვლა შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთის კულტურამ, რომელიც დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულიდან ძველი წელთაღრიცხვის მე-13 საუკუნემდე გრძელდებოდა. ორივე ეს კულტურა ერთი და იმავე ხალხის შემოქმედების ნაყოფია, მაგრამ კერამიკული ჭურჭლის ანალიზი გვიჩვენებს, რომ თრიალეთის კულტურა ბევრად უფრო ღარიბი და დაცემულია, ვიდრე მტკვარ-არაქსის კულტურა.

ძველი წელთაღრიცხვის მე-13 საუკუნეში კლიმატი გლობალურად შეიცვალა და კვლავ დაიწყო გრანდიოზული მიგრაციული პროცესები, რაც მსოფლიო კულტურაში გრანდიოზული და რევოლუციური პროცესების განმაპირობებელი გახდა. კერძოდ, ძველი წელთაღრიცხვის მე-13 საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა ე.წ. „ზღვის ხალხების“ შემოსევა, რომლის ერთ-ერთი ეპიზოდიც **ჰომეროსმა** თავის „ილიადაში“ აღწერა. სწორედ ამ დროს გამოიყვანა **მოსემ** ეგვიპტელთა ტყვეობიდან ებრაელები და სინას ნახევარკუნძულზე ორმოცწლიანი ხეტიალის შემდეგ ისრაელისკენ გზა აჩვენა. ამავე პერიოდში არსებობა შეწყვიტა ხეთების იმპერიამ და, ფაქტობრივად, დაეცა ძველი ეგვიპტეც. სწორედ ამ წლებში, საქართველოში, კერძოდ, მდინარე ჭოროხის ხეობაში, მცხოვრებმა ჩვენმა წინაპრებმა — **ხალდებმა, ანუ იმავე ხალიბებმა,** სათავე დაუდეს რკინის მეტალურგიას, რამაც მთლიანად შეცვალა კაცობრიობის ტექნოლოგიური და ეკონომიკური განვითარების სურათი!

**— რით დასტურდება, რომ რკინა ქართველების შექმნილია?**

— უპირველეს ყოვლისა, ეს დასტურდება არქეოლოგიური მონაცემებით! მეორე და ყველაზე მთავარი — ბერძნები ფოლადს დღემდე „ხალიბს“ უწოდებენ. არცერთი ძველი ბერძენი ისტორიკოსი არ უარყოფს, რომ ეს ტერმინი სწორედ რკინის მეტალურგიის მამამთავარ ხალიბ-ხალდ ტომებთან არის დაკავშირებული. დაუშვებელია, ერთმანეთში ავურიოთ რკინის მეტალურგია და რკინის მადნის გამოყენება სამკაულების სახით. რკინის მადანი, ანუ ჰემატიტი — $Fe_2O_3$ ძალზე მყიფე მინერალია და ადვილად იმსხვრევა, მაგრამ ქურაში გადადნობის შედეგად მისგან მზადდება თუჯი, ფოლადი და რკინის სხვა სახეობები, რასაც მსოფლიო მრეწველობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. **ქართველმა ხალიბებმა, ანუ ხალდებმა** ჰემატიტიდან რკინის გამოდნობის საიდუმლოს მსოფლიოში პირველებმა მიაგნეს! კავკასიაში ჰემატიტი უხსოვარი დროიდან ითვლებოდა ძვირფას მინერალად. ის ძალაუფლების აღმნიშვნელი ერთგვარი ნიშანი იყო და კვერთხებსა და სხვა მისტიურ ატრიბუტებზე ამაგრებდნენ. ერთ დღესაც აღმოჩნდა, რომ ჰემატიტი ყველაზე გავრცელებული მინერალია, რომელიც ადვილად მოიპოვება, მარტივად დნება და გაცილებით მრავალფეროვან და მრავალფუნქციურ შენადნობებს იძლევა, ვიდრე ძნელად მოსაპოვებელი, დასამორჩილებელი და ნაკლებად გამძლე სპილენძი. რკინის მეტალურგია მის აღმომჩენთათვის სხვა ტომებზე ძალაუფლების გავრცელების ფაქტორად არ ქცეულა. მეტიც, როგორც ჩანს, ხალიბებმა თავად მისცეს ბიძგი ამ ცოდნის სხვა ტომებში სწრაფად გავრცელებას, რითაც ძალიან შეუწყვეს ხელი ხეთების იმპერიის დაცემას და ყოფილ მწყემსთა ტირანიისაგან — მესხების, ქაშქების, კოლხებისა და სხვა ჩვენი წინაპრების გათავისუფლებას!



„ხალიბები“. მოქანდაკე გოთა მეტრევა

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***ახალგაზრდა მომღერალი ნუცა ბუზალაძე 28 იანვარს თავისი ახალი ალბომის პრეზენტაციას გეგმავს და თავის გულშემატკივარსა და მსმენელს ძველის გარდა, ახალ სიმღერებსაც სთავაზობს. მანამდე კი მან საპატრიარქოში, საპატრიარქოს გუნდთან ერთად, შეასრულა გალობა „კირიე ელეისონ“, რომელსაც დაესწრო კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე:***




## ნუცა ბუზალაძე:

# დაყოფილი ხალხი ვერასოდეს იქნება წარმატებული!

— მოგეხსენებათ, მართლმადიდებლური ეკლესია ნათლისღების დღესასწაულს ყოველ წელს აღნიშნავს. უბედნიერესი ვარ, რომ პატივი მხვდა, საპატრიარქოში, სადაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იყო მობრძანებული, მგალობელ გუნდთან ერთად „კირიე ელეისონ“ შემესრულებინა. მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობას ბავშვობიდან ვიღებ, მახსოვს, 13-14 წლის გახლდით, როდესაც საპატრიარქოში ვიმღერე და პატრიარქმა დამლოცა. მისი ლოცვის მადლი დღემდე მომყვება, ძალიან დიდი ძალა აქვს. სიხარულითა და სიყვარულით ვივსები, როდესაც პატრიარქისვე დაწერილ გალობას ვასრულებ, ვგრძნობ უდიდეს პასუხისმგებლობას. როდესაც ამერიკაში „American idol“-ის კონკურსში ვიღებდი მონაწილეობას, მითხრეს, რომ ის ჩემს შედეგებს ყოველთვის კითხულობდა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისგან ისეთი ღვთიური ენერგეტიკა და მადლი მოდის, ამაზე რომ ვლაპარაკობ, მეტირება.

**— 28 იანვარს თქვენი ახალი ალბომის პრეზენტაცია იმართება...**

— **28 იანვარს ჩემი ოქროს დაბადების დღეა, ხუთი წლის განმავლობაში, ეს იქნება პირველი დაბადების დღე, რომელსაც ჩემს მეგობრებთან ერთად აღვნიშნავ და ძალიან ბედნიერი ვარ.** 28 იანვარსვე იქნება ჩემი ახალი ალბომის „ქამელეონის“ პრეზენტაციაც, რომელზეც დიდი ხანია, ვმუშაობდი. ალბომში შესულია სამი ძველი და სხვა ახალი სიმღერები, დარწმუნებული ვარ, ჩემი მსმენელი და გულშემატკივარი ამ ახალ სიმღერებსაც შეიყვარებენ.

**— პრეზენტაციამდე გქონდათ საახალწლო კონცერტები საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, თუმცა, ბათუმში ინციდენტიც მოხდა, როდესაც საპროტესტო აქციის მონაწილეები კონცერტზე შემოიჭრნენ...**

— ყველგან ძალიან კარგად გვხვდებოდნენ, არ ველოდი, ხალხმა ისეთი სითბოთი და სიყვარულით მიგვიღო, ჩვენთან ერთად იმღერეს. მეც მინდა, ასეთივე სიყვარულით ვუპასუხო. ჩემი ხალხი ძალიან მიყვარს, დიდი ბედნიერება და პასუხისმგებლობაა მათ წინაშე გამოსვლა. რამდენიმე თვის შემდეგ კიდევ გავმართავ კონცერტებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში და ჩემს მსმენელს ისევ გავახარებ.

რაც შეეხება ბათუმში კონცერტს, სადაც აქციის მონაწილეები მოვიდნენ და პროტესტი გამოხატეს — ამ მოვლენებზე ყოველთვის ვერიდები პასუხის გაცემას, **თუ რაღაც არ მოგწონს, შეგიძლია, ხმამაღლა გამოხატო, გააპროტესტო, მაგრამ, როცა კონცერტი მიმდინარეობს და ხალხი სიმღერის მოსასმენად არის შეკრებილი, იქ პროტესტის ადგილი არ არის, ამისთვის საჭიროა სხვა ტერიტორია.** მე არ ვარ პოლიტიკოსი, ხელოვანი ვარ, მიყვარს ჩემი მსმენელი და არ მსურს, ჩემი ხალხი იყოს ორად გახლეჩილი და დაყოფილი, ერთმანეთთან დაპირისპირებული, პატივი ვცეთ ერთმანეთს, გვერდში ვედგეთ, ვიცხოვროთ ტკბილად და სიყვარულით, ქვეყანა წინ წავწიოთ. დაყოფილი ხალხი ვერასოდეს იქნება წარმატებული!



**„უბედნიერესი ვარ, რომ პატივი მხვდა, საპატრიარქოში, სადაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იყო მობრძანებული, მგალობელ გუნდთან ერთად „კირიე ელეისონ“ შემესრულებინა!“**

**— სოციალურ ქსელში ერთ-ერთმა აქტივისტმა განაცხადა, რომ „გრემის“ ოფიციალურ გვერდს მისწერა, სადაც სპეციალურად ხართ მიწვეული, არ დაგიშვან დაჯილდოებაზე, სხვებისგანაც მოითხოვა მხარდაჭერა...**

— „გრემი“ ამერიკის ხმის ჩამწერი აკადემიის მუსიკალური ჯილდოა და როცა ამის ცერემონიის ორგანიზატორებთან მუქარის წერილს აგზავნი, რასაც შიგ ჩაწერ, სიმართლე უნდა იყოს. ამერიკა იმიტომ არის მაგარი ქვეყანა, რომ იქ არავინ გბლოკავს შენი შეხედულებების გამო. განურჩევლად იმისა, თეთრი ფერი მოგწონს თუ შავი, შენი აზრის გამოხატვის უფლება გაქვს და ამის გამო არავინ გემუქრება. **ამერიკა მიყვარს, ის მართლაც თავისუფალი ქვეყანაა, სადაც ნიჭს აქვს ფართო გზა და არა აქვს მნიშვნელობა, რომელი ქვეყნიდან ხარ, საიდან მოდიხარ, თუ თავდაუზოგავად შრომობ, აუცილებლად დაგიფასდება და უფლება გაქვს, გქონდეს შენი განსხვავებული აზრი.** ამის გამო იქ არავინ ჩაგქოლავს. ამერიკაში უყვართ ბუნებრიობა, როცა წარმატებისთვის იბრძვი, გამორიცხულია, შენი მსმენელი ვერ იპოვო.

მქონდა პატივი, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, ამერიკაში საქართველოს ელჩის მიწვევით, ვაშინგტონში, კონგრესის ბიბლიოთეკაში გამართულ ღონისძიებაში მიმეღო მონაწილეობა და შემესრულებინა საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ჰიმნები. ეს იყო ძალიან დასამახსოვრებელი საღამო, რომელსაც ესწრებოდნენ ცნობილი პოლიტიკოსები. დამერწმუნეთ, როგორც მე, ისე სხვა ქართველ ხელოვანებს, რომლებსაც საზღვარგარეთ გაგვაქვს ჩვენი ხელოვნება, ამაყნი ვართ, რომ ჩვენი გამოსვლის დროს დიდი ასოებით წერია: ჯორჯია, თბილისი. თავს არ დავზოგავთ, რომ ჩვენი ქვეყნის სახელი გავიტანოთ ფართო ასპარეზზე.

**— ყოველდღიური რეპეტიციები და კონცერტისთვის მზადება დიდ ენერგიას მოითხოვს..**

— დაღლის შეგრძნება არასდროს მაქვს, მთელი დღე საქმით ვარ დაკავებული, საკუთარ თავს გამოწვევებს ვუკეთებ. შრომის უნარი და ენერგია გენეტიკურად მომყვება, დედა ძალიან პოზიტიური ადამიანია, ჩემი ბოლომდე სჯერა და მამხნევებს, ხოლო მამაჩემისგან მომყვება ბრძოლის უნარი და უკან არდახევა. შეუძლებელია, დაბრკოლებებმა გამაჩეროს, ყოველდღიურად ვცდილობ, საკუთარი თავის განვითარებას, როგორ გავხდე კიდევ უფრო უკეთესი. **ყველას ვურჩევ, არ დაყარონ ფარ-ხმალი, საკუთარი საქმითა და შრომისმოყვარეობით მოიპოვონ წარმატება, არ გაბოროტდნენ, ეს მხოლოდ უკან დასწევს მათ სურვილებსა და მიზნებს!**

*ესაუბრა*

***ქეთევან ხამიცაშვილი***

## კვირგვინოსნები

**გიგა კუხიანიძე**
*მუსიკოსი*



**მუსიკის** გარდა, ბევრი რამის ნიჭი მაქვს, ალბათ ვიქნებოდი კარგი **რეჟისორი,** ნებისმიერი საქმის კარგი **მენეჯერი და ორგანიზატორი, ინტერიერის დიზაინერი.** ასევე ვიქნებოდი მაღალი კლასის **მზარეული** და ამაში ისინი დამეთანხმებიან, ვისაც ჩემი გაკეთებული საჭმელი აქვს დაგემოვნებული.

„თბილისელები“

**ანა ჯაბადარი**
*ცოტნე გამსახურდიას მეუღლე*



**სიყვარულზე არანაკლებ ძლიერი გრძნობა სიბრალული ყოფილა,** ურთულეს სიტუაციებში, სადაც ენერგიაც უკვე აღარ მყოფნის, **სიბრალულია ხოლმე იმხელა ბიძგი,** ქანცგაწყვეტილ ცხენს რომ მათრახს შემოარტყამ, ჰოდა, ადგება და აგრძელებს გზას.

„თბილისელები“

**ირმა სოხაძე**
*მომღერალი*



ამ ზაფხულში **ოქროს ქორწილი** გვაქვს. **თუ მშვიდობა გვექნა** და ხასიათზეც ვიქნებით, **გრანდიოზულად მინდა აღნიშვნა.** კაბა, რომლის ჩაცმასაც ვაპირებ, **ვერცხლის ქორწილისთვის** შევიძინე. 11 ივლისს, **თუ მშვიდობა გვექნა,** მაგ კაბაში მიხილავთ.

„სარკე“

**ეკა ქუთათელაძე**
*მსახიობი, თეატრალური უნივერსიტეტის პედაგოგი*



ერთ-ერთ შეხვედრაზე **პატრიარქს ჩემს პროფესიაზე რჩევა ვკითხე.** დისკომფორტი მქონდა — **მოძღვრის მეუღლეც ვიყავი და მსახიობიც.** უწმინდესმა გაიღიმა და მითხრა — ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოსო. **მისმა ამ დარიგებამ ძალაც მომცა და გამაძლიერა კიდეც.**

„სარკე“



# მიხეილ ცაგარელი:
# რეტროგრადული პლანეტა მარსი და მისი ზემოქმედება

*პლანეტა მარსის რეტროგრადული მოძრაობის პერიოდში, ზოგადად, ვის შეიძლება გაუმწვავდეს ურთიერთობა ოჯახის წევრებთან ანდა კოლეგებთან თუ ნაცნობებთან და ჩახლართულ-ორაზროვანი გახდეს? ვისთვის აისახება ეს პერიოდი პირად ფასეულობაზე, შემოსავალზე ან ქვეცნობიერსა და განცდებზე ანდა პროფესიულ საქმიანობაზე? ვინ შეიგრძნობს ზემოქმედებას განსაკუთრებით მწვავედ? ვის მოუწევს პირადად საქმიანი ურთიერთობების გადახედვა ანდა ყოველდღიურ რუტინულ სამუშაოზე ყურადღების გამახვილება? ვინ უნდა მოერიდოს ძველი წყენის გახსენებას, სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებას, პესიმიზმსა და თვითკრიტიკას ან დიდ ფინანსურ ოპერაციებს და ცვლილებას ინტიმურ ცხოვრებაში ანდა გადაღლასა და დიდ დატვირთვებს და რა შეიძლება იყოს კარგი და სასიკეთო თითოეული ზოდიაქოს წარმომადგენლისთვის ამ პერიოდში? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* ***მიხეილ ცაგარელი*** *გვესაუბრება.*

## 27 იანვარი - 2 თებერვლის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
**ხანგრძლივი პროექტები და საქმიანი აქტიურობა მომავალში დიდ შემოსავალს გპირდებათ. გარკვეული შეღავათების, მემკვიდრეობის ან ქორწინების დახმარებით შესაძლებელია სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. მეგობრული კონტაქტები, კულტურული ღონისძიებები მეტად სახალისო და დასამახსოვრებელი გახდება. მოგზაურობა ჯობს დროულად დაასრულოთ. სასიყვარულო პარტნიორთან კი თავშეკავებული იყავით, რათა არ იჩხუბოთ.**

**კურო** (21.04-20.05)
**განთავისუფლდებით ფსიქოლოგიური პრობლემებისაგან და უმტკივნეულოდ ნელ-ნელა შეცვლით ყველაფერს, რაც მოძველდა, რომანტიკული ურთიერთობებით ზედმეტად ნუ გაერთობით, რათა ამის გამო მეუღლესთან დიდი უსიამოვნება არ მოგივიდეთ, რაც არ უნდა დაკავებული იყოთ, იმხიარულებთ თუ საქმეებს შეასრულებთ, ეცადეთ, დრო და დრო შეისვენოთ, რათა ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გაიუარესოთ. კარგი დროა ხანმოკლე მგზავრობისთვის და უძრავი ქონების შესაძენად.**

**ტყუპი** (21.05-22.06)
**თქვენი ენერგია ჯერ კიდევ სუსტია, ამიტომ ეცადეთ, ხშირად დაისვენოთ და არ გადაიღალოთ. სახლის საქმეები და ნათესავებთან ურთიერთობა ბევრ დროს წაგართმევთ. არ აჰყვეთ ცდუნებებს, რადგან შეცდომებს ვერ ასცდებით და შესაძლოა, ბევრი უსიამოვნება შეგხვდეთ. სიფრთხილე გმართებთ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებთან ურთიერთობისასაც, რათა ზიანი არ მიაყენოთ არსებულ სასიყვარულო ან საოჯახო კავშირს. შორეული მოგზაურობა კი ჯობს, გადადოთ.**

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
**იზრუნეთ საკუთარ თავზე, კარიერაში ზრდაზე და მატერიალურ კეთილდღეობაზე. გააფართოვეთ როგორც პროფესიული, ისე პირადი საურთიერთო ჰორიზონტები. რთულ სიტუაციებში ეძებეთ კომპრომისი. ამგვარად ადვილად დაიბევებთ თანამოაზრეებს და გაარკვევთ ყველა საინტერესო დეტალს. ხანმოკლე მოგზაურობა სასიკეთოდ ჩაივლის, დასვენება კი გაგიძლიერებთ ჯანმრთელობას. პირად ცხოვრებაში შესაძლებელია, დაიწყოს სასიამოვნო ცვლილებები.**

**ლომი** (23.07-23.08)
**კარგი დროა ცოდნის მისაღებად და პროფესიის შესაცვლელად. გაგიადვილდებათ ნათესავებთან და მეგობრებთან კონტაქტის დამყარება. პერიოდული მარტოობა ახალი ფასეულობების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს, ხოლო ბუნებასთან სიახლოვე ენერგიით შეგავსებთ. დაღლილობის შეგრძნებისას უმჯობესია, მოვალეობების ნაწილი სხვებს გადააბაროთ და სადმე დასასვენებლად გაემგზავროთ. საყვარელ ადამიანს ნუ გაუბრაზდებით, თუ მას სამსახურის გამო ნაკლები თავისუფალი დრო ექნება.**

**ქალწული** (24.08-23.09)
**იმდენად მიზანდასახული იქნებით, რომ სხვისი აზრი არაკომპეტენტურად მოგეჩვენებათ და არ გაუწევთ ანგარიშს გარშემო მყოფთა კრიტიკას, რის გამოც შეიძლება წინააღმდეგობებს გადააწყდეთ. ეცადეთ, გამოიჩინოთ მეტი დიპლომატია და მოქნილობა, რათა გვერდი აუაროთ კამათსა და კონფლიქტებს. ოჯახის წევრები ყოველმხრივ გაგიწევენ თანადგომასა და დახმარებას. კარგი იქნება, თუ იზრუნებთ ჯანმრთელობაზეც. გზებზე მოძრაობისას დაიცავით წესები და გამოიჩინეთ სიფრთხილე.**

— **განვაგრძოთ საუბარი იმის შესახებ, თუ, ზოგადად, როგორია პლანეტა მარსის ზეგავლენა ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშანზე მისი (ამჟამინდელი) რეტროგრადული (24 თებერვლამდე) მოძრაობის დროს?**

— **2. კურომ ამ პერიოდში მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ქცევებსა და რეაქციებს. რეტროგრადულმა მარსმა** ეს ურთიერთობები იმ შემთხვევაში შეიძლება გაამწვავოს, თუ ამ ნიშნით დაბადებული ვერ გააკონტროლებს აგრესიულობის შემოტევებს და ძველ გულისტკენასა და წყენას გაიხსენებს. **3. ტყუპის შემთხვევაში კი რეტროგრადული მარსის ზემოქმედება აისახება კომუნიკაციის სფეროში ცვლილებებზე და ახლობლებთან, მეგობრებთან, კოლეგებთან თუ ნაცნობებთან ურთიერთობა, შესაძლოა, უფრო ჩახლართული, ორაზროვანი გახდეს.** შესაბამისად, კარგი იქნება, თუ ტყუპის ნიშნით დაბადებული მოერიდება გადაწყვეტილებების სწრაფად მიღებას და სირთულეებს რეალურად შეაფასებს. **ამავდროულად, როცა რეტროგრადული მარსი დაბრუნდება კირჩხიბის ნიშანში,** მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ფინანსებს, შემოსავლებს და ხარჯებს. ასევე იმის გაცნობიერება-შეფასებას, თუ რამდენად მართებულად განაგებს მის ხელთ არსებულ რესურსებსა თუ ფულად სახსრებს. **4. კირჩხიბს ამ პერიოდში თავდაპირველად გაუმწვავდება პირადი ფასეულობის და შემოსავლის საკითხი და იმის აუცილებლობა შეიქმნება, რომ ფინანსების და უნარების მიმართ თავისი დამოკიდებულება შეცვალოს.** ამავე დროს ეს პერიოდი კარგი იქნება დასვენება-მოდუნებისთვის, რადგან ამ დროს აქტიური ქმედებებით მატერიალურ საკითხში პროგრესს ჯერ ვერ მიაღწევს. **5. ლომი კი სხვა ნიშნით დაბადებულებზე უფრო მეტად იგრძნობს (განსაკუთრებით საწყის ეტაპზე) რეტროგრადული მარსის ზემოქმედებას. შესაძლოა, მოეჩვენოს, რომ ნებისმიერ სფეროში მუდმივად რაღაც წინააღმდეგობის დაძლევა უწევს და ამიტომ მეტი ძალისხმევა უნდა გასწიოს.** მაგრამ ასეთ დროს სასურველია, ზედმეტ აქტიურობას მოერიდოს და დროებით მნიშვნელოვანი პროექტები შეაჩეროს, რათა დრო და ენერგია ტყუილუბრალოდ არ დახარჯოს. **6. ქალწულის შემთხვევაში კი რეტროგრადული მარსი სულიერების მე-12 სახლს შეეხება და ქვეცნობიერსა და შინაგან განცდებს გავლენას გაუძლიერებს.** ეს პერიოდი კარგი იქნება პირად ბლოკებზე, ქვეცნობიერ შიშზე, შინაგან კონფლიქტებზე სამუშაოდ. ამ პერიოდში არ არის მიზანშეწონილი აქტიურობა კარიერულ და სოციალურ საკითხებში. **7. სასწორის ცხოვრებაში რეტროგრადული მარსი პროფესიულ სფეროზე, ერთობლივ პროექტებზე, ქმნილურ, სოციალურ და მეგობრულ კავშირებზე მოახდენს ზეგავლენას.** შესაძლოა, ეჭვები და უნდობლობა გაუძლიეროს, რის გამოც მოუწევს, გადახედოს საკუთარ როლს ამ სფეროში და გადაწყვიტოს სამომავლოდ ურთიერთობის საზღვრები კოლეგებთან. უნდა მოერიდოს ნაჩქარევ გადაწყვეტილებებსა და აღიარებისთვის ბრძოლას. ჯობს, ენერგია დახარჯოს თვითგანათლებისა და თვითშეფასების ასამაღლებლად. **8. მორიელი პლანეტა მარსის რეტროგრადულობას განსაკუთრებით მწვავედ შეიგრძნობს, რადგან მიმდინარე პროცესები კარიერულ წინსვლას დაუმუხრუჭებს.** სასურველია, ამ პერიოდში თვითკრიტიკასა და პესიმიზმს მოერიდოს. მოგვიანებით მოვლენათა ვექტორი გადაინაცვლებს განათლებისა და მოგზაურობის მხარეს. კარგი იქნება, თუკი დამატებითი ცოდნის მიღების მიმართ თავის აზრს შეიცვლის და საჭიროების შემთხვევაში მსოფლმხედველობას დააკონკრეტებს. **9. მშვილდოსანს რეტროგრადული მარსი გრძელვადიან მიზნებს დაუმუხრუჭებს. სწრაფი წინსვლის მცდელობისას არსებობს წინააღმდეგობებთან შეჯახების დიდი ალბათობა.** ამიტომ უმჯობესია, ყურადღება მიმართოს სამომავლო გეგმებისა და მიზნების ჩამოყალიბებისაკენ. **10. თხის რქას რაც შეეხება, მოუწევს, პარტნიორთან ერთობლივ ფინანსებზე და კრედიტებზე გაამახვილოს ყურადღება და არსებულ პირად საქმიან თუ ინტიმურ ურთიერთობებს ჩაუღრმავდეს.** კარგი იქნება, თუ დიდ და მნიშვნელოვან ფინანსურ ოპერაციებს და ინტიმურ ცხოვრებაში მკვეთრ ცვლილებებს მოერიდება. შესაძლოა, აღნიშნული პერიოდის მეორე ნახევრიდან გამწვავდეს პარტნიორებთან არსებული პრობლემები, ახალი ან ფარული ხარვეზი გამოიკვეთოს. კარგი იქნება, თუ **თხის რქა** დროულად მოაგვარებს კონფლიქტებს და საჭიროებისას კომპრომისისთვის მზად იქნება. **11. მერწყულმა სასურველია, გაიაზროს და გადააფასოს პირადი და საქმიანი ურთიერთობები და ამ სფეროში თავისი ქმედებების შედეგიანობას გადახედოს. შეაფასოს, თუ რამდენად აკმაყოფილებს ამგვარი კავშირები. ყველა ღონე იხმაროს, რათა კონფლიქტები არ გაამწვავოს და დროებით უარი განაცხადოს ცვლილებებზე.** განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორები ამისთვის მზად არ არიან. **12. თევზების შემთხვევაში რეტროგრადული მარსი ყურადღებას რუტინულ ყოველდღიურ სამუშაოზე გაამახვილებს. შესაძლოა, მიზნის მიღწევისას პროგრესი შეანელოს. ეს განსაკუთრებით შესაძლოა, შეეხოს ფიზიკურ მდგომარეობასა და ჯანმრთელობას.** იმისათვის, რომ ამ ნიშნით დაბადებული იმედგაცრუებული და გულნატკენი არ დარჩეს, სასურველია, საგრძნობლად შეცვალოს ცხოვრების წესი და ამ პერიოდში დიდ დატვირთვებს და ახალ მეთოდებს მოერიდოს.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 27 იანვარი - 2 თებერვლის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
**ძირითადი თქვენი ჩანაფიქრები გარშემო მყოფთათვის გაუგებარი იქნება, თუმცა, ამგვარად შეძლებთ წინააღმდეგობა გაუწიოთ კონკურენტებსა და ფარულ მტრებს. საოჯახო და სასიყვარულო სფეროში ცვლილებები სასიკეთო გადაწყვეტას პოვებს, რაც დამატებით სტიმულს მოგცემთ მოქმედებისთვის. შესაძლოა, დაფიქრდეთ სასიყვარულო ურთიერთობის გაოფიციალურებაზე ან ოჯახის შექმნაზე. მივლინებები და შორეული მოგზაურობები კი დროებით ჯობს, გადადოთ.**

**მორიელი** (23.10-22.11)
**თავს სანაქებოდ იგრძნობთ და მოგინდებათ ახალი მწვერვალების დაპყრობა. მეტად პრაქტიკულად შეხედეთ სინამდვილეს. მეტი დიპლომატიურობა და გულისხმიერება გმართებთ პარტნიორებთან. დიდი ფინანსური გარიგებებისა და ოპერაციებისთვის არახელსაყრელი დროა. ოჯახში, მეუღლესთან ან საყვარელ ადამიანთან არსებული გაუგებრობა ჯობს, დროულად გაარკვიოთ. თავისუფალი დრო კი დასვენებას დაუთმეთ.**

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
**ეცადეთ, აქტიურად ითანამშრომლოდ საზოგადოებრივ საქმეებში და აიმაღლოთ ავტორიტეტი ხელმძღვანელ პირებსა და პარტნიორებთან. შესაძლოა, მოგიწიოთ მონაწილეობის მიღება რაიმე განხილვებში ან სასამართლო პროცესებში. იმპულსური გადაწყვეტილებით შესაძლოა, შორეულ მოგზაურობაში გაემგზავროთ. ახალი სასიყვარულო პარტნიორის შერჩევისას ეცადეთ, იგი აკმაყოფილებდეს ყველა თქვენს მოთხოვნას.**

**თხის რქა** (22.12-19.01)
**როგორც კოლეგებთან, ასევე ახლობლებთან ურთიერთობის უმეტეს ნაწილს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება დაიკავებს. რთულ სიტუაციაში კი მეგობრების რჩევები დაიხმარეთ. კარგი დროა ახალი ნივთების შეძენისა და იმიჯის შესაცვლელად, დიეტის დასაწყებად და გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩასატარებლად. მოგზაურობა ჯობს, დროებით გადადოთ და მეტი ყურადღება დაუთმოთ ჯანმრთელობას და პირადი ფინანსური მდგომარეობის მოწესრიგებას.**

**მერწყული** (20.01-18.02)
**კარგი დროა გავლენიან პირებთან კავშირის დასამყარებლად. ადრე ჩაფიქრებული იდეების განხორციელებაში ოჯახის წევრები დაგეხმარებიან, ოღონდ ყველაფერი ზედმიწევნით უნდა გქონდეთ წინასწარ გააზრებული. შესაძლებელია უცხოეთში გამგზავრება, ახალ თანამდებობაზე გადასვლა ან სამსახურის დაწყება. უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობისთვისაც კარგი დროა, თუმცა, სირთულეებია მოსალოდნელი საბუთებთან დაკავშირებით.**

**თევზები** (19.02-20.03)
**ახალ პროექტებში მონაწილეობა გაგიუმჯობესებთ მატერიალურ მდგომარეობას. გეგმებს საზოგადოების ინტერესებთან თუ შეაჯერებთ, ბიზნესსა და პირად საქმეებში საუკეთესო შედეგებს მიიღებთ. შორეულმა მოგზაურობამ შესაძლოა, სრულიად შეცვალოს თქვენი ცხოვრება. სასიყვარულო გრძნობა შესაძლოა, დაგეუფლოთ სხვა ქვეყანაში ან ქალაქში მცხოვრებ ადამიანთან. ზღვარგადასული დროსტარება ცუდად იმოქმედებს თქვენს ჯანმრთელობაზე.**

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია
## 28, 29 იანვარი და 2 თებერვალი

**29 იანვარი — ახალმთვარეობა**

# ასტროლოგიური კვირა

## 27 იანვარი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.18 საათზე, ჩადის 17.10 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 06.07 საათზე, ჩადის 14.34 საათზე (მთვარის 28-ე დღე იწყება 09.22 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს სიმშვიდე და დადგენილი წესები დაიცავით. მოერიდეთ თვალების გადაღლას. კარგი დღეა ყოველდღიური საქმეებისთვის და მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, კარგად ნაფიქრი საქმეებისთვის, რემონტისთვის, ექიმთან კონსულტაციებისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, მიწათმოქმედებისთვის, ავტომობილის შესაძენად. არ არის სასურველი ქორწინება, ახალი თანამშრომლის მიღება, გაცვლითი ოპერაციები, სტომატოლოგიური პროცედურები, ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, კბილები, კანი, სახსრები, მუხლები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მალაქიტი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, სასწორისთვის.

## 28 იანვარი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.17 საათზე, ჩადის 17.11 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (23.48) მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 06.51 საათზე, ჩადის 15.44 საათზე (მთვარის 29-ე დღე იწყება 09.55 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 19.50 საათიდან 23.34 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** პლანეტა მერკური გადაინაცვლებს (14 თებერვლამდე) **მერწყულის** ზოდიაქოში, რაც გაამახვილებს დემოკრატიულობას, სიახლისკენ და რეფორმებისკენ მიდრეკილებას, ორიგინალურ აზროვნებას, სპონტანური იმპროვიზაციისკენ მიდრეკილებას, პროგრამული სისტემების ათვისებას, ინტერნეტის ნაყოფიერად გამოყენებას. დღეს პროვოკაციებს ერიდეთ. კარგი დღეა მავნე ჩვევისგან გასათავისუფლებლად, სამეცნიერო კვლევისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის. არ არის სასურველი გავლენიან ადამიანებთან კონტაქტი, ქორწინება, ფინანსური ოპერაციები, ახალი კავშირების დამყარება, სტომატოლოგიური პროცედურები, ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, კბილები, თვალები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მალაქიტი, მწვანე იასპი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მერწყულისთვის.

## 29 იანვარი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.16 საათზე, ჩადის 17.13 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია. ამოდის 07.30 საათზე, ჩადის 17.00 საათზე (მთვარის 30-ე დღე იწყება 10.14 საათზე. **ახალმთვარეობა,** პიკი — 15.37 საათზე. ამ დროს იწყება I დღე და I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს აღმოსავლური ზოდიაქოს კალენდრით, თბილისის დროით **16.37 საათზე დაიწყება ხის სტიქიის მწვანე გველის წელიწადი. გილოცავთ! პოზიტიურად განეწყვეთ და მხიარულად შეეგებეთ, რათა წლის მბრძანებლის კეთილგანწყობა დაიმსახუროთ. კარგი დღეა** სურვილების ჩათქმისათვის, რეალურ ფაქტებზე დაყრდნობისთვის, ინტელექტუალური განვითარებისთვის, საიუბილეო საღმოებისთვის, რეკლამირებისთვის. არ არის სასურველი ფულის აღება-გაცემა, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, ახალი საქმის დაწყება, საიდუმლოს გამხელა, თვალების გადაღლა, ფეხზე დიდხანს დგომა. დაძაბული დღეა, მოერიდეთ კონფლიქტებს, ცდუნებებს, ფსევდოდემოკრატიულობას. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, ფეხის კუნთები, ვენები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, გიშერი, ცირკონი, ძოწი, ციტრინი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 30 იანვარი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.15 საათზე, ჩადის 17.14 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია. ამოდის 08.03 საათზე, ჩადის 18.17 საათზე (მთვარის მე-2 დღე იწყება 10.26 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დღეიდან **მთვარის (კარმული) აღმავალი კვანძი გადაინაცვლებს (წელიწადნახევრით) თევზების ზოდიაქოში, ხოლო დაღმავალი კვანძი — ქალწულის ზოდიაქოში.** ეს მოვლენა სწორი კარმული განვითარებისთვის ითხოვს ნაკლებ მატერიალურობასა და მეტ სულიერებას. ევოლუციური განვითარებისთვის უნდა გაიძლიეროთ რწმენა უფლისადმი, სიკეთისადმი, კოსმოსური საიდუმლოებებისადმი. ინტუიციას დაეყრდენით. იყავით კეთილსინდისიერი, ქველმოქმედი, თანაგრძნობა გამოავლინეთ, სხვებს დაეხმარეთ. ნუ იქნებით მატერიალური ფასეულობების მონა. **სულიერი რესურსების განვითარება დაგეხმარებათ ფიზიკური უძლურებისა და დაავადებებისგან განკურნებაში. ილოცეთ და ყველა დალოცეთ!** დღეს დაწყებული საქმე კარგად განვითარდება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, თვალები, ფეხის კუნთები, ვენები. **ქვები:** გიშერი, აკვამარინი, ცირკონი, ძოწი, ჰიაცინტი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ღრიანკალისთვის.

## 31 იანვარი, პარასკევი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.14 საათზე, ჩადის 17.15 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (03.01) თევზების ზოდიაქოში. ამოდის 08.30 საათზე, ჩადის 19.34 საათზე (მთვარის მე-3 დღე იწყება 10.34 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 15.30 საათიდან 23.59 საათამდე. **ტენდენციები:** დღეიდან რეფორმების, სიახლეების, თავისუფლების მმართველი **პლანეტა ურანი** დირექტიული (წინმავალი) ხდება კუროს ზოდიაქოს ნიშანში მოძრაობისას, რაც ხელს შეუწყობს ახალი საქმეების დაწყებას, ახალი პროექტების ჩამოყალიბებას, ახალ მეგობრულ კონტაქტებს, დემოკრატიული პრინციპების განვითარებას, სიახლეებს, არასტანდარტულ მოქმედებას, ახალი ტექნოლოგიების ათვისებას. დღეს ინტუიციას დაეყრდენით. შვილებს მეტი დრო დაუთმეთ. კარგი დღეა ქორწინებისთვის, მოგზაურობა-მგზავრობისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, ქველმოქმედებისთვის. არ არის სასურველი საიდუმლო საქმიანობა, ალკოჰოლის, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების მიღება, ანალიზების ჩაბარება, ექოსკოპია. ორგანიზმი მიმართულია თვითწმენდაზე, ბევრ საკვებს ნუ მიიღებთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ლიმფური და ნერვული სისტემა, ტერფები, თვალები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 1 თებერვალი, შაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.13 საათზე, ჩადის 17.17 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 08.53 საათზე, ჩადის 20.49 საათზე (მთვარის მე-4 დღე იწყება 10.41 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** კარგი დღეა მგზავრობა-მოგზაურობისთვის, შემოქმედებისთვის, ქველმოქმედებისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, ქორწინებისთვის, სასიყვარულო კონტაქტებისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის, ხელოვნებასა და ლიტერატურის ფართო სპექტრთან ურთიერთობისთვის, კულინარიისთვის. არ არის სასურველი მასშტაბური საქმეების დაწყება, საიდუმლო საქმიანობა, ანალიზების ჩაბარება, ექოსკოპიური გამოკვლევები, ალკოჰოლის, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ლიმფური და ნერვული სისტემა, თვალები, ტერფები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, ამეთვისტო, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 2 თებერვალი , კვირა

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.12 საათზე, ჩადის 17.18 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (05.10) ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 09.16 საათზე, ჩადის 22.04 საათზე (მთვარის მე-5 დღე იწყება 10.47 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 02.07 საათიდან 05.11 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს წარმატებას მიაღწევენ აქტიური ადამიანები, რომლებიც სილამაზეს საკუთარი ხელებით შექმნიან. სასიკეთოა სუფთა ჰაერზე დიდხანს ყოფნა. დღეს და ხვალ ვერძის, კუროს, მერწყულის და თევზების ნიშნით დაბადებულებს ვურჩევთ, არ გადაიღალონ, რათა არაადეკვატური ქმედებებით შეცდომები არ დაუშვან. დღეს კარგია სწრაფად შესრულებადი საქმით დაკავება, სპორტული ღონისძიებების ჩატარება, მგზავრობა-მოგზაურობა, საყოფაცხოვრებო ნივთების, ავეჯის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის შეძენა. არ არის სასურველი ქორწინება, სესხის აღება-გაცემა, კაპიტალდაბანდება, ხელშეკრულების დადება, დადგენილი წესების დარღვევა, სულსწრაფობა, კამათი, თმის შეჭრა-შეღებვა, სტომატოლოგიური პროცედურები, აგრესიის გამოვლენა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, გრძნობათა ორგანოები, სისხლძარღვები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

# საეკლესიო კალენდარი

✝ 27 იანვარი. ორშაბათი. **წმიდისა დედისა ჩვენისა და მოციქულთა სწორისა ქალწულისა ნინოსი, ქართველთა განმანათლებელისა;** ღირსთა მამათა, სინასა და რაითს სარკინოზთაგან მოწყვეტილთა ესაიასი, საბასი, მოსესი და მოწაფისა მისისა მოსესი, იერემიასი, პავლესი, ადამისა, სერგისა, დომნესი, პროკლესი, იპატისა, ისააკისა, მაკარისა, მარკოზისა, ბენიამინისა, ევსევისა, ელიასი და სხვათა მათთანა.



27 იანვარი – ხსენება წმიდისა დედისა ჩვენისა და მოციქულთა სწორისა ქალწულისა ნინოსი

✝ 28 იანვარი. სამშაბათი. **ღირსთა ამბა პავლე განშორებულისა, თებელისა და იოანე გლახაკისა;** წმიდათა სალომე უჯარმელისა და პეროჟავრა სივნიელისა; ღირსმოწამისა პანსოფი ალექსანდრიელისა; ღირსთა პროხორე პშინელისა და გაბრიელ ლესნოველისა.

✝ 29 იანვარი. ოთხშაბათი. **თაყვანისცემა პატიოსანთა ჯაჭვთა წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა პეტრესი, რომელთაგან განთავისუფლებულ იქნა საპყრობილეში ანგელოზისა მიერ.** მოწამეთა: პევსიპესი, ელასიპესი, მესიპესი და მამისდედისა მათისა ნეონილასი; მოწამისა დანაქტი წიგნისმკითხველისა.



29 იანვარი – თაყვანისცემა პატიოსანთა ჯაჭვთა წმიდისა და ყოვლად-ქებულისა პეტრესი

✝ 30 იანვარი. ხუთშაბათი. **ღირსისა და ღმერთშემოსილისა ანტონი დიდისა, მეგვიპტელისა.** მოწამეთა იუნილასი და ტურვონისა; კეთილმსახურისა მეფისა თეოდოსი დიდისა, წარმომავლობით იბერიელისა; ღირსისა ანტონი ახლისა, სასწაულმოქმედისა; წმიდისა მარტირისა; მოწამისა გიორგი იოანინელისა; ღირსისა აქილე აღმსარებელისა, მეგვიპტელი განდეგილისა; ღირსისა ანტონისა; ღირსისა ფილოთეოსისა.

✝ 31 იანვარი. პარასკევი. **მიცვალება წმ. მეფე თამარისა;** ათანასესი და კირილესი, ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსთა; ღირსისა ეფრემ მცირისა, ფილოსოფოსისა; ღირსისა ალექსი მღვდელმონაზონისა; ღირსისა მარკიანე კვირინელისა.

✝ 1 თებერვალი. შაბათი. **ღირსისა მაკარი დიდისა, მეგვიპტელისა;** ღირსისა ანტონი მესვეტისა, მარტყოფელისა, სასწაულმოქმედისა; მარკოზ ევგენიკოსისა, ეფესელი მთავარეპისკოპოსისა; ქალწულმოწამისა ევფრასიატ ნიკომიდიელისა; ღირსისა მაკარი ალექსანდრიელისა. რომაელისა, ქალაქელისა; არსენისა, კერკირელი მთავარეპისკოპოსისა; მოწამისა ამბა ანტონისა, რომელსა ერქვა რავახ; გრიგოლ ღმრთისმეტყველის წმიდათა ნაწილთა აღმოყვანება ნაზიანზიდან კონსტანტინოპოლს.

✝ 2 თებერვალი. კვირა. **ღირსისა და ღმერთშემოსილისა ექვთიმე დიდისა; ღირსისა ექვთიმე აღმსარებელისა (კერესელიძე).**

ლეგენდარული **დიმიტრი ალავიძე**
ლეგენდარული **ვასილ მჟავანაძის**
პირველი სტუმრობიდან **58-ე წელია,**

# მცხეთის სალობიეში გეპატიჟებათ!




**32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: **1. ჟოკეი; 6. რუტინა; 11. გრიმასა; 12. გრაცია; 13. მაფია; 14. პალაცო; 15. ვიადუკი; 16. გვინეა; 17. ისანი; 20. რანეტი; 21. კილიტა; 24. კვანტი; 25. პიკასო; 26. ვიოლა; 28. პასკალი; 29. სილიო; 30. დელინო; 31. ზარალი; 33. ლანთანი; 34. ინა; 35. აი; 37. წიწილა; 40. ტუნიკა; 42. ბიკინი; 45. ჩელო; 47. გრაფიკა; 48. რაინდი; 50. ტატრები; 52. პი; 53. პერო; 54. იზოლატორი; 57. ნო; 58. როლი; 60. ნაილონი; 63. სლალომი; 66. პინკი; 67. იქ; 68. ანტიგუა; 70. ბიგამია; 71. ფა; 72. ილინოისი.**

შვეულად: **1. ჟამნი; 2. კაფკა; 3. იგავი; 4. დინასი; 5. კაპური; 67 რაპირა; 7. ტალანტი; 8. აგოგიკა; 9. პატიმარი; 10. ბისექტრისა; 18. სტილეტი; 19. ნიადაგი; 21. კოპოლა; 22. ლესინგი; 23. ტრამალი; 26. ვიზიტი; 27. ოხრანკა; 29. სინა; 32. ლიკანი; 36. იდო; 37. წიგნი; 38. წყარო; 39. ლაიზა; 41. ძე; 42. ბატონი; 43. კეტი; 44. ნიელო; 45. ჩიპოლინო; 46. ლორენი; 48. რიდი; 49. იპონი; 51. არ; 55. ზალპი; 56. ლელია; 57. ნიკ; 59. ლეგა; 61. ანტი; 62. იქსი; 64. მეი; 65. ონო; 66. პაი; 69. იფ!**

**ლაბადასტაჟივაგონიხრიკიმონოკლიმატიანეტროსი**
**ბრემენიანგიომარიალიკაპილარიქსილოლიტამანგო**

| საწვიმარი | სამუშაო წლების რაოდენობა | მატარებლის შემადგენელი ნაწილი | ოინი | უმარტივესი ფოტო ობიექტივში | ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიური ჩანაწერი | გვარლი |
|---|---|---|---|---|---|---|

| რქებ-დახრილი ხარი | მედუდუკეთა ანსამბლი | პასტერნაკის – „ექიმი ...“ | ტარიფი | იაპონური სამოსი | ჰავა | მსახიობი ... ბენინგი | იტალიელი ექს-ფეხ-ბურთელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|




თარაზულად: 1. დოღში მონაწილე პროფესიონალი მხედარი; 6. უძრაობა, ჩამორჩენილობა; 11. სახის მანჭვა; 12. სინარნარე, მოხდენილობა; 13. სიცილიური საიდუმლო ორგანიზაცია; 14. სასახლე იტალიაში (ზოგად.); 15. ხეობაზე გაყვანილი ხიდისებრი ნაგებობა; 16. აფრიკის სახელმწიფო; 17. მეტროს სადგური თბილისში; 20. ერთგვარი ზამთრის ვაშლი; 21. ფოლგა; 24. რაიმე ენერგიის უმცირესი რაოდენობა; 25. ესპანელი ფერმწერი; 26. ვიოლინოს წინაპარი; 28. ფრანგი ფიზიკოსი; 29. ერთგვარი საჭმელი სოკო; 30. აშშ-ის ექსპრეზიდენტი ფრენკლინ ... რუზველტი; 31. ქონებრივი დანაკლისი; 33. ქიმიური ელემენტი, ლითონი; 34. თმის ერთგვარი საღებავი; 35. ჩვენებითი ნაწილაკი; 37. ქათმის ნაშიერი; 40. ძველი რომაული სამოსი; 42. ქალის საბანაო სამოსი; 45. ვიოლონჩელი, ანუ; 47. ხაზებით, შტრიხებით ხატვის ხელოვნება; 48. ე. ნინოშვილი „ჩვენი ქვეყნის ...“; 50. მთათა სისტემა ევროპაში; 52. მათემატიკური მუდმივა; 53. ფრანგი მეზღაპრე; 54. ნივთიერება, რომელიც არ ატარებს ელენერგიას; 57. იაპონური თეატრი; 58. მსახიობის დრამატული სახე; 60. ხელოვნური ბოჭკო; 63. შეჯიბრება თხილამურებით მთიდან სწრაფდაშვებაში; 66. ამერიკელი მომღერალი; 67. იმ ადგილზე, ანუ; 68. კუნძული კარიბის ზღვაში; 70. ორცოლიანობა, ორქმრიანობა; 71. მეოთხე ნოტი; 72. აშშ-ის შტატი.

შვეულად: 1. ზოგიერთი საეკლესიო ლოცვის კრებული; 2. ავსტრიელი მწერალი; 3. მოკლე ალეგორიული მოთხრობა; 4. ცეცხლგამძლე აგური; 5. ინდოელი მსახიობი რაჯ ...; 6. საფარიკაო იარაღი; 7. დიდი ნიჭი; 8. ტემპის მცირე შეცვლა მუსიკალური ნაწარმოების შესრულების დროს; 9. ტუსაღი; 10. კუთხეზე გამავალი და მისი შუაზე გამყოფი ხაზი (მათ.); 18. სამწახნაგოვანი პირის მქონე პატარა ხანჯალი; 19. დედამიწის ქერქის ზედა შრე; 21. რეჟისორი ფრენსის ფორდ ...; 22. გერმანელი მწერალი; 23. ველი, მინდორი; 26. სტუმრობა; 27. საიდუმლო პოლიციის ორგანო მეფის რუსეთში; 29. ავიცენა, იგივე აბუ ალი იბნ ...; 32. კურორტი ბორჯომთან; 36. ერთ-ერთი ხელოვნური ენა; 37. წერილი, ბარათი (ძვ.); 38. მიწიდან გამომდინარე წყლის ნაკადი; 39. ამერიკელი მსახიობი, მომღერალი ... მინელი; 41. ვაჟიშვილი; 42. წაგრძელებული ფორმის თეთრი პური; 43. დიდი ჯოხი; 44. მოსავადების ტექნიკა; 45. ზღაპრული ხახვისთავა ბიჭუნა; 46. მსახიობი სოფი ...; 48. მოკრძალება, მორიდება; 49. სუფთა გამარჯვება ძიუდოში; 51. ფილმი „... დაიდარდო“; 55. რამდენიმე თოფის დაცლა ერთდროულად; 56. ჟ. სანდის რომანი; 57. მსახიობი ... ნოლტი; 59. მუქი ნაცრისფერი; 61. წინსართი, აღნიშნავს საწინააღმდეგოს; 62. ფრანგული ანბანის ბოლოდან მესამე ასო; 64. ბრიტანელი მევიოლინე; 65. ლენონის ქვრივი იოკო ...; 66. წილი საერთო საქმეში; 69. მოწონების შორისდებული.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ქალაქი გერმანიაში | კეთილთვისებიანი სიმსივნე | ირანის ფულის ერთეული | წვრილი სისხლძარღვი | ორგანული ნაერთი, გამხსნელი | პ. მერიმეს ნოველა |
|---|---|---|---|---|---|

| გერმანელი ფეხბურ-თელი | დიდი ქვეწარმავალი | ზღვის დიდი კიბო | ხის ალვირი | ფიჭვისებრთა ოჯახის მცენარე | ნაბოკოვის რომანი | ტროპიკული ხილი |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




WWW.ASAVALI.COM
mail@asavali.com

რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2025 წლის 27 იანვარი -2 თებერვალი №5 (1576)

გამოდის ორშაბათობით

მეღიაჰოლჰინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**
**mail@asavali.com**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**
გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

